

ქართული ენა და ლიტერატურა

VII

მასწავლებლის წიგნი

გრიფინიჭიჭიულია საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მიერ 2019 წელს

ავტორები: ვახტანგ როდონია,
ნინო ნაკუდაშვილი,
ავთანდილ არაბული,
მარინე ხუციშვილი,
დალი ბენაშვილი,
მანანა რაზმაძე



თბილისი – 2019

ქართული ენა და ლიტერატურა
VII კლასის მასწავლებლის წიგნი



ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინე ხუციშვილი
დალი ბენაშვილი
მანანა რაზმაძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

© შპს „საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, 2019 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“

მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39

ტელ.: 2 36 91 85

www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9603-6-9

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khucishvili, D. Benashvili, M. Razmadze

GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE 7

Teacher's book

First Edition, 2019

Published by STSAVLANI Publishing

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი.....	5
2. ქართული ენა და ლიტერატურა. საბაზო საფეხურის სტანდარტი	7
3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	25
ა) თემატური საკითხები და მათი კავშირი სასწავლო მიზნებთან; ბ) თემის/თემატური ბლოკის შესაბამისი საკვანძო კითხვები, გ) თემის/თემატური ბლოკის შესაბამისი ცნებები, დ) მკვიდრი წარმოდგენები	
4. გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები	43
5. სანიმუშო გაკვეთილების სცენარები.....	44
6. ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგიერთი პარაგრაფის ენობრივი მასალის კომენტარები	91
7. მოსწავლის შეფასების პრინციპები, შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები	106
8. ენის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების პასუხები.....	112
9. მასწავლებლისთვის საჭირო რესურსები	125

შესავალი

VII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს კომპლექტი აგებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

კომპლექტი ოთხი ერთეულისაგან შედგება. ესენია: **ქართული ლიტერატურა — I ნაწილი**; **ქართული ლიტერატურა — II ნაწილი**; **ქართული ენა და ქართული ენა და ლიტერატურა — მასწავლებლის წიგნი**.

ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საკითხავი მასალა შერჩეულია და დაყოფილია თავებად (თემატურ ერთეულებად) ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემატური ბლოკების მიხედვით. თითოეული თავი (თემა), თავის მხრივ, იყოფა პარაგრაფებად (ქვეთემებად), რაც თემის უფრო ფართო კონტექსტში წარმოდგენის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს თემის ფარგლებში სტანდარტით დაგეგმილი ყველა შედეგის გათვალისწინებას.

საკითხავ მასალად შემოთავაზებულ თითქმის ყველა ტექსტს თან ახლავს ენობრივი სავარჯიშოები, რომელშიც გაშუქებულია ის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური საკითხები (მართლწერის საკითხებთან ერთად), რის თვალსაჩინო მაგალითებაც წარმოგვიდგენს შესასწავლი ტექსტი. ეს საკითხები მეორედება პარაგრაფიდან პარაგრაფში და ენობრივი სავარჯიშოების შესრულებისა და ტექსტების დამუშავების კვალდაკვალ მოსწავლეს უვითარებს ენის გრძობას, სწორი, გამართული ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარს. ეს არის ენის ათვისების ბუნებრივი გზა. სახელმძღვანელო გვთავაზობს ენის პრაქტიკულ შესწავლას ენობრივი სავარჯიშოების შესრულების გზით.

სახელმძღვანელო ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული. მასში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა მოტივაციას. თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნამდე მიყვანას აღმოჩენის გზით. პარაგრაფები სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილის ფუნქცია ერთგვარად შემამზადებელია და მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ: „ტექსტის ნაკითხვამდე“ (ეს ნაწილი მოიცავს: პარაგრაფის მიზანს, სამოტივაციო კითხვარსა და ლექსიკონს). პარაგრაფის მიზანი მასწავლებელმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს კლასში, შემდეგ დასვას სამოტივაციო კითხვები. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ლექსიკონზე მუშაობას. კერძოდ, მათ ეძლევათ დავალება, გადაიკითხონ სიტყვათა განმარტებები, სახლში კი (სპეციალურად განკუთვნილ რვეულში) ამოინერონ ის სიტყვები, რომლებიც პირველად გაიგეს. ასე შეეჩვევიან მოსწავლეები ლექსიკის გამდიდრებაზე მუშაობას და წლის ბოლოს სოლიდური ლექსიკური მარაგი დაუგროვდებათ.

ამის შემდეგ იწყება ტექსტის კითხვა. რთული ტექსტები (მაგალითად, პუბლიცისტური ტექსტები) და პოეტური ნაწარმოებები, სასურველია, მასწავლებელმა დასაწყისში თავად წაიკითხოს ხმამაღლა. შედარებით იოლი ტექსტები კი მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ჩუმად (ინდივიდუალურად ან წყვილებში). მასწავლებელი ამ დროს აკვირდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს კითხვის პროცესში.

ტექსტის ნაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს ტექსტის გაგებას თანდ-

ართული კითხვარის მეშვეობით. აქედან იწყება პარაგრაფის მესამე ნაწილი: „ტექსტის წაკითხვის შემდეგ“. ტექსტის გაგებაზე ორიენტირებულ კითხვარს მოსდევს სავარჯიშოები და რუბრიკები: „ეს საინტერესოა!“, „დაიმახსოვრეთ!“; ჩარჩოშია ჩასმული ცნებათა განმარტებები და სხვადასხვა სახის ინფორმაცია (მაგალითად, „თეზისი-არგუმენტი-დასკვნა“; „თხრობის სქემა“ და სხვ.).

ენობრივი სავარჯიშოები წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკებით: „ლექსიკა და ფრაზეოლოგია“, „გრამატიკა“, „სინტაქსი“, „პუნქტუაცია“, „მართლწერა“.

პარაგრაფს აგვირგვინებს ძირითადად საშინაო დავალებად განკუთვნილი წერიტი სამუშაო, რომელსაც ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი ინსტრუქცია ახლავს. ამ ინსტრუქციის დანიშნულებაა, გაუადვილოს მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულება და მისცეს ინსტრუმენტი თვითრეფლექსიისათვის. მასწავლებელს კი შეუძლია ამ ინსტრუქციაზე დაყრდნობით შეიმუშაოს საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოს კომპლექტში შედის **ქართული ენის** ცალკე გამოყოფილი სახელმძღვანელო, რომელიც ენის სტრუქტურის (გრამატიკის) სისტემურ კურსს წარმოგვიდგენს. ამ სახელმძღვანელოში გამთლიანებული, სისტემური სახითაა გადმოცემული ის, რაც მოსწავლეებმა მეხუთე და მეექვსე კლასის სახელმძღვანელოებიდან უკვე იციან და ამჯერად ეს ყველაფერი გაცნობიერებული და უფრო ჩაღრმავებული დაკვირვების საგნად უნდა აქციონ. კერძოდ, ამ სახელმძღვანელოში გაშუქებულია და სისტემაშია მოყვანილი **არსებით სახელთან, ზედსართავ სახელთან, რიცხვით სახელთან და ნაცვალსახელებთან** დაკავშირებული საკითხები (ზმნასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური განხილვა VIII კლასშია დაგეგმილი, IX კლასში კი მოსწავლეები სინტაქსის სისტემურ კურსს გაეცნობიან).

ენის სახელმძღვანელოც ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული და ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორცაა **ვარაუდების გამოთქმა, დაკვირვება, დასკვნის გამოტანა**. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ მასწავლებლებს, გვერდი არ აუარონ ინტერაქტივს და არ წავიდნენ მხოლოდ წესების დასწავლისა და სავარჯიშოების შესრულების გზით. თუმცა დასასწავლი წესები სახელმძღვანელოში ნაკლებადაა მოცემული, მოსწავლეებს თავად მოეთხოვებათ მაგალითებსა და თვალსაჩინო სქემებზე დაყრდნობით განსაზღვრონ შესაბამისი წესები ან თავადვე შექმნან სამახსოვრო თვალსაჩინოებები.

ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფები მათი სპეციფიკის გამო დიდი მოცულობისაა და მათი „გაკვეთა“, ანუ გაკვეთილებად დაყოფა, მასწავლებლებისათვის მიგვიჩნდება, ენის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პარაგრაფები კი ძირითადად ორ 45-წუთიან გაკვეთილზეა გათვლილი.

VII კლასის ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საბაზო სკოლის საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო ტექსტების (ქართული ლიტერატურის ნიმუშების) 30%, დანარჩენი VIII და IX კლასებში გადანაწილდება.

რაც შეეხება საათების განაწილებას, ჩვენი ვარაუდით, 180 საათიდან საორიენტაციოდ 48 საათი უნდა დაეთმოს ენის სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას, 110 საათი კი ლიტერატურის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალის შესწავლას. რჩება 22 საათი, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება საკონტროლოებისა და შემჯამებელი სამუშაოებისათვის გამოიყენოს.

ქართული ენა და ლიტერატურა საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება;
- ე) დანართი.

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-განალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
- მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;
- მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;
- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;
- მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მადიებელი პიროვნების ფორმირებას.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგან „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ფარგლებში?

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება ოთხი მიმართულების მიხედვით:

ტექსტის გაგება-განალიზება – გულისხმობს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის გაგებას და მრავალმხრივად გააზრებას (სასწავლო გეგმაში ტერმინი

„ტექსტი“. გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს როგორც ბეჭდურ, ისე აუდიოვიზუალურ/მულტიმედიაურ, აუდიო- და ვიდეოფორმატის ტექსტებს).

ცოდნისა და იდეების გაზიარება – ფოკუსირებულია მოსწავლის პროდუცირების უნარებზე. ეს გულისხმობს, რომ მოსწავლემ, წერილობითი ან ზეპირი ტექსტების სახით, უნდა წარმოადგინოს და გააზიაროს თავისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ, არგუმენტირებულად იმსჯელოს ნაცნობ თემებზე, საკითხებზე/პრობლემებზე; წარმოაჩინოს ცოდნა, იდეები ან/და ტექსტის გაცნობის შედეგად მიღებული საკუთარი უნიკალური გამოცდილება, ტექსტის მისეული ინტერპრეტაცია, დამოუკიდებლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები.

ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება – გულისხმობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს) ენობრივი საშუალებებისა და ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას.

სტრატეგიების გამოყენება – სწავლა-სწავლებისას გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების შერჩევისა და გააზრებულად გამოყენების უნარი კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღინერება სავალდებულო ცნებების, თემატური ბლოკებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

საკითხავი ლიტერატურა შეთავაზებულია 3 ძირითადი თემატური ბლოკის სახით. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით. აქვეა წარმოდგენილი ჩამონათვალი სავალდებულო ნაწარმოებებისა, რომლებიც დამუშავდება შეთავაზებული თემატური ბლოკების ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

სწავლა-სწავლების პროცესში სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ცნებები და საკითხები ინტეგრირებულად დამუშავდება ყველა კონკრეტულ სასწავლო თემაში.

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში განერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს, მაგ., ქართ. საბ. 1.

- „ქართ.“ - აღნიშნავს საგანს „ქართული ენა და ლიტერატურა“.
- „საბ“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;
- „1“ - მიუთითებს საგნობრივი სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება	ცნებები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	

ქართ.საბ.1.	ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;	ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები
ქართ.საბ.2.	ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;	კომპოზიციური ელემენტები
ქართ.საბ.3.	ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;	სტრუქტურული და
ქართ.საბ.4.	ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.	ორგანიზაციული ელემენტები
მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები
ქართ.საბ.5.	ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით);	ტექსტის კონტექსტი
ქართ.საბ.6.	ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;	მიმართებები
ქართ.საბ.7.	საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;	ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა)
ქართ.საბ.8.	სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერილი მეტყველების დროს).	ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)
მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	სტრატეგიები: ზეპირმეტყველების სტრატეგიები
ქართ.საბ.9.	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერილი მეტყველების დროს);	სტრატეგიები
ქართ.საბ.10.	სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერილი მეტყველების დროს).	კითხვის სტრატეგიები წერის სტრატეგიები მეტაკოგნიტური სტრატეგიები
მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	გრამატიკა
ქართ.საბ.11.	ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;	გრამატიკა
ქართ.საბ.12.	სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.	

ცნებები და საკითხები

ტექსტი

◇ ტიპები – მხატვრული, არამხატვრული

◇ ჟანრები

- მხატვრული: მოთხრობა, ნოველა, იგავი, მითი, ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, პოემა.
- არამხატვრული: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი; ისტორიული წყარო; ესე; პუბლიცისტური წერილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული მასალა (მაგ., საინფორმაციო ქრონიკა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, სტატია, რეკლამა); მემუარული პროზა; ბიოგრაფიული/ ავტობიოგრაფიული ტექსტი; პირადი/არაფორმალური წერილი; საჯარო გამოსვლა, ინსტრუქცია; ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტები (მაგ., განცხადება, რეზიუმე/CV, ავტობიოგრაფია, ფორმალური წერილი).
- ◇ კომპოზიციური ელემენტები – თემა, ქვეთემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; თხრობა, აღწერა; პერსონაჟები; დიალოგი; ავტორისეული დახასიათება; პეიზაჟი; პორტრეტი; ხედვის კუთხე/პერსპექტივა (ავტორის, მოთხრობელის, პერსონაჟის); ლირიკული გადახვევა; მორალი/შეგონება (იგავის); სიუჟეტი და მისი განვითარების საფეხურები; კონფლიქტი; რითმა, მეტრი, სტროფი, ტაეპი.
- ◇ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები – სათაური; თავი; რუბრიკა; აბზაცი; მიმართვა; ხელმოწერა; არავერბალური ელემენტები (ილუსტრაცია, ლოგო, სქემა, შრიფტის სახესხვაობა და ზომა).

კონტექსტი – ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი; ეპოქის ზოგადი კონტექსტი (მაგ., რეალიზმი, ფასეულობები, ცოდნის დონე); ავტორის ცხოვრებისეული და სულიერი გამოცდილება (მაგ., შეხედულებები, დამოკიდებულებები).

მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა) – ალუზია; ციტირება.

ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია) – კომუნიკაციის ადგილი; კომუნიკაციის მიზანი; ავტორი; აუდიტორია, მკითხველი; მონაწილეები (დისკუსიის, დებატების); არავერბალური მეტყველება (მაგ., სხეულის ენა, ხმის ძალა, ინტონაცია).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (ლექსიკა, სტილი, მხატვრული ხერხები, რიტორიკული ხერხები)

- ლექსიკა, სტილი – ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი; აფორიზმი; სიტყვანარმოება; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სტილისტური ხარვეზი (ტავტოლოგია, კალკი, პარონიმები); სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი,

სამეცნიერო);

- მხატვრული სტილის ენობრივი ფიგურები – ტროპები (ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალიტერაცია, ალეგორია, ირონია).
- რიტორიკის ელემენტები – თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული შეკითხვა, რიტორიკული მიმართვა, განმეორება; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია).

სტრატეგიები

- ზეპირმეტყველების (ლაპარაკის, მოსმენის) სტრატეგიები (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა, წინარე ცოდნის მობილიზება, რეპეტიციის გავლა, პარაფრაზირება; წინასწარი ვარაუდების გამოთქმა, დამაზუსტებელი კითხვების დასმა, ჩანაწერების კეთება).
- კითხვის სტრატეგიები (მაგ., წინარე ცოდნის გააქტიურება, დაკავშირება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის ვიზუალიზაცია, შეჯამება, შეკითხვების დასმა, ხელახლა წაკითხვა, დაჯგუფება- დახარისხება, კონტექსტზე დაყრდნობით/ლექსიკონის გამოყენებით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა- დადგენა).
- წერის სტრატეგიები (მაგ., კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლების განსაზღვრა; იდეების გენერირება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება; გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და წარდგენა-გაზიარება).
- მეტაკოგნიტური სტრატეგიები (მაგ., აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა).

მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

ქართული ენის ისტორია: მსოფლიოს ენათა ოჯახები; ქართული ენა, ქართულის მონათესავე ენები, ქართული ენის დიალექტები; ქართული სალიტერატურო ენა, ქართული დამწერლობა (ანბანი).

გრამატიკის საკითხები

მორფოლოგია

ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- სახელზმნები (საწყისი და მიმლეობა).

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:

- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- კავშირი და მისი ჯგუფები;
- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- შორისდებული და მისი ჯგუფები.

სინტაქსი

- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები – შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი წევრები;
- წინადადება: წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია.

საკითხავი ლიტერატურა

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საკითხავი ლიტერატურის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ქართული მწერლობა. მათგან ცალკე ჯგუფს ქმნის სავალდებულო ნაწარმოებები – ქართული მწერლობის კლასიკოსთა დროში გამოცდილი თხზულებები, რომლებმაც მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და წარმოადგენენ საყრდენ ტექსტებს ცალკეული თემების შესწავლის დროს (სავალდებულო ნაწარმოებების ჩამონათვალი იხ. თემატური ბლოკების ქვემოთ).

სწავლა-სწავლების პროცესში, ამა თუ იმ თემატური ბლოკის ან/და სასწავლო თემის ფარგლებში, სავალდებულო ნაწარმოებებთან ერთად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არასავალდებულო ლიტერატურაც – მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში.

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

I თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება

ადამიანის ცხოვრების გზა (მაგ., ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიანთან), ადამიანის შინაგანი სამყარო (მაგ., ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები; წარმოსახვა-ფანტაზია);

საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ., ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, საზოგადოების ზეგავლენა ადამიანზე, ადამიანის ზეგავლენა საზოგადოებაზე).

II თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

მშობლიური სამყარო (მაგ., მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; ენა, კულტურა, ტრადიციები; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება);

ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ., ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები; ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში);

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (მაგ., ახლის/სიახლის აღმოჩენის გზები, ახლის ნახვით/აღმოჩენით მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ურთიერთმიმართება ახალსა და ნაცნობს/ჩვეულს შორის).

III თემატური ბლოკი – მარადიული ძიებები

სიკეთე და ბოროტება (მაგ., სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში);

ცხოვრების საზრისი (მაგ., ადამიანის არსებობის მიზანი, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).

სავალდებულო ნაწარმოებები

1. ლეონტი მროველი – „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“. მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება (ადაპტირებული სახით);
2. შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“. „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“. „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“. „ანდერძი ავთანდილისა“ (მითითებული სახით), „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“. „თათბირი ავთანდილისა“. „თათბირი ტარიელისა“.
3. სულხან-საბა ორბელიანი – „ნიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. ცალკეული იგავები, შერჩეული სამი ძირითადი თემატური ბლოკის გათვალისწინებით (ადაპტირებული სახით);
4. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“. 3 თავი (ლექთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (მითითებული სახით);
5. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ბედი ქართლისა“. „ფიქრნი მტკვრის პირას“. „სული ობოლი“.
6. ილია ჭავჭავაძე – „ბაზალეთის ტბა“. „სარჩობელაზედ“. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.(მითითებული სახით), „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“. (მითითებული სახით);
7. აკაკი წერეთელი – „განთიადი“. „თორნიკე ერისთავი“. „ბაში-აჩუკი“.
8. ვაჟა-ფშაველა – „ჩემი ვედრება“. „კაი ყმა“. „ხმელი წიფელი“.
9. მიხეილ ჯავახიშვილი – „ემშაკის ქვა“.
10. გალაკტიონ ტაბიძე – „ქარი ქრის“. „გაგონდება თუ არა“. „წამყე ბეთანიისაკენ“. „მამული“.
11. კონსტანტინე გამსახურდია – „მთვარის მოტაცება“. ფრაგმენტი (მითითებული სახით);

12. გიორგი ლეონიძე – „ნატურის ხე“. მარტა;
13. კოლაუ ნადირაძე – „25 თებერვალი“.
14. ანა კალანდაძე – „ვაჟაო, დილის მზის სხივო...“.
15. ჭაბუა ამირეჯიბი – „დათა თუთაშხია“. მოსე ზამთარაძის ნაამბობი.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები:

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს აკავშირებს შედეგებთან:

- რა მიზნით ვკითხულობ? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ უკეთ გავიგო/გავიაზრო ტექსტი? (/როგორ მოქმედებენ კარგი მკითხველები, როდესაც არ ესმით ტექსტი?)
- რატომ/რა მიზნით იყენებს ავტორი ამა თუ იმ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ საშუალებებს, მხატვრულ და სტილურ ხერხებს? რატომ არის ეს ტექსტი მოთხრობა (/ პოემა, იგავი, პირადი წერილი და ა.შ.)?
- რამდენად და როგორ მეხმარება ნაწარმოების სტრუქტურა ტექსტის გაგება-გააზრებაში?
- როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის გამოხატვას, პოზიციის დასაბუთებას? რამდენად ეფექტურია მისი მცდელობები?
- რას მეუბნება/რა ინფორმაციას მანვდის ტექსტი მისი შექმნის ეპოქაზე, ავტორზე?
- რითია ეს ტექსტი გამორჩეული, უნიკალური (/რით გამოირჩევა ეს ტექსტი ამავე თემაზე, საკითხზე, პრობლემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან?)?
- რამდენად/როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის შემეცნებაში, სხვა ტექსტის (წიგნის, ფილმის) გაგებაში? / რამდენად და რითია ეს ტექსტი საინტერესო პირადად ჩემთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის?
- როგორ გამოვხატო საკუთარი აზრები, იდეები, ფიქრები და დამოკიდებულებები ამ კონკრეტულ ნამუშევარში/საკომუნიკაციო სიტუაციაში? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენო ამ კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციაში (/ამ კონკრეტული ნამუშევრის შესადგენად)? როგორ დავეხმარო მკითხველს/მსმენელს ჩემი ნაწერის/ნათქვამის უკეთ გაგებაში?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტაციები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას;

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას);

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	ეთიკური ნორმების დაცვა; სოლიდარობის განცდა; ემპათია; განსხვავებულობის მიმღებლობა; საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	ქსელური ძიება; სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის ელექტრონული ტექსტების შექმნა (მაგ., სლაიდშოუს, PowerPoint-პრეზენტაციის); ელექტრონული ტექსტების დამუშავება, e-წიგნებისა და აუდიოწიგნების გამოყენება; პერსონაჟის ფეისბუქი/ფეისბუქ-პროფილი; მკითხველის ფორუმი, წიგნის/წაწარმოების ბლოგი.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აბეჯის პრინციპები

წლიური პროგრამა სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება და გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდაციის სახით შეთავაზებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს – თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>ცნებები, ტექსტები, საკითხები ტექსტებისა და საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>საკვანძო შეკითხვები თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.</p>
<p>აქტივობები მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გაიაზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. კომპლექსური/პროექტული დავალებათა იდეების ჩამონათვალი კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>
<p>შეფასების ინდიკატორები შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.</p>
<p>მკვიდრი წარმოდგენები მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.</p>

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. სტანდარტის ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება საკვანძო შეკითხვები და

შეფასების ინდიკატორები, შეიქმნება ტექსტები, შემუშავდება იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის. ამის შემდეგ განისაზღვრება საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებათა ტიპები/ნიმუშები. თითოეულ თემაზე მუშაობის პროცესი მოემსახურება ზოგადი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

ქვემოთ თემის ასაგებად გადასადგმელი ნაბიჯები წარმოდგენილია სქემატურად, ცხრილის სახით.

ცხრილი. სასწავლო თემის აგების პროცესი

ნაბიჯი 1. მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა
ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა
ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
ნაბიჯი 4. თემის ტექსტების/რესურსების შერჩევა
ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების იდეების შემუშავება
ნაბიჯი 6. საკითხების განსაზღვრა
ნაბიჯი 7. მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვა

თემატური ერთეულების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- შერჩეული მასალა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და შესაძლებლობებს;
- ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებების გარდა, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ მაღალი ხარისხის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ასახავს მათთვის ნაცნობ რეალიებს, პრობლემატიკას; თანამედროვე ადამიანის შინაგან სამყაროს, ფიქრებს, დამოკიდებულებებს, ოცნებებსა და მისწრაფებებს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ უკეთ გაიაზრონ თანამედროვე სამყარო, იპოვონ პასუხები მათთვის აქტუალურ და არსებით შეკითხვებზე, დასახონ პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმეცნონ საკუთარი თავი და დაიმკვიდრონ ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა კი ნოციერ ნიადაგს შექმნის მსჯელობისთვის და დაეხმარება მოსწავლეებს იმაში, რომ სიღრმისეულად გაიაზრონ საგნობრივი ცნებები და საკითხები შეთავაზებული კონტექსტების (თემების) ფარგლებში.
- ქართული ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს შესაძლებელია შევთავაზოთ უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიც, რაც დაეხმარება მათ, გაიაზრონ მშობლიური ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (სხვადასხვა კულტურის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენის გზით). ეს გააფართოებს მოსწავლეთა კულტურულ ჰორიზონტს და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ინტერკულტურული კუთხით.
- ენობრივ-გრამატიკული ცნებებისა და საკითხების სწავლება არ გულისხმობს

გრამატიკული ცოდნის თვითმიზნურ დაგროვებას. სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის სინთეზირება და ფუნქციურად გამოყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის დროს). ამდენად, მოსწავლეებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ენობრივი ცოდნა განსხვავებულ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენის გზით.

- საკითხავი მასალის რაოდენობა უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მისი (მასალის) საფუძვლიანად დამუშავებისა და გააზრებისათვის.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“. იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა, მაგ., სურათები? სანამ ტექსტს წავიკითხავთ, ხომ არ სჯობს, ჯერ სურათებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ინფორმაციის შემცველია ეს სურათები? და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებსა და ქმედობაუნარიანობას.

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს

მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივად აგების (კონსტრუირების) საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას შეასწავლის ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

მოსწავლე:

- ამოიცნობს ლოგიკურ მიმართებებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციას შორის (მაგ., ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, პირობისეულობა);
- ახარისხებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნით;
- გამოყოფს საკვანძო სიტყვებს, ადგილებს/ეპიზოდებს და ხსნის, რითია ისინი მნიშვნელოვანი;
- ტექსტში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამოიცნობს ნაგულისხმევ ინფორმაციას;
- ამოიცნობს თემას/ქვეთემას, მთავარ იდეას, ძირითად პრობლემას/საკითხს;
- აანალიზებს პერსონაჟ(ებ)ის ქცევას, მსჯელობს პერსონაჟ(ებ)ის მოტივაციაზე, მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე;
- ახასიათებს პერსონაჟს/ამბის გმირს ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით (მაგ., გარეგნობის, მეტყველების, ქცევის, აზრების, ავტორისეული დახასიათების, საცხოვრებელი გარემოს მიხედვით);
- ერთმანეთს უდარებს პერსონაჟ(ებ)ს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- აკვირდება, როგორ იცვლებიან მოვლენები/პერსონაჟები სიუჟეტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- ამოიცნობს კონცეპტუალურ ინფორმაციას (მაგ., მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს, არამხატვრულ ტექსტებში ამოიცნობს ძირითად თეზისებს/დებულებებს), გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
- გაიაზრებს ტექსტის სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას;
- განასხვავებს ფაქტსა და მოსაზრებას/შეფასებას, თეზისსა და არგუმენტს, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- განასხვავებს მთავარ და არამთავარ ინფორმაციას, გაიაზრებს მიმართებას მათ შორის;
- საუბრობს მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების დანიშნულებაზე (მაგ., პერსონაჟის სახასიათო თვისების წარმოჩენა, მოქმედების დროისა და ადგილის სპეციფიკის ჩვენება);

- განსაზღვრავს კონფლიქტს/ძირითად პრობლემას ტექსტში, საუბრობს მის გამომწვევ მიზეზებზე;
- მსჯელობს, როგორ იყენებს ავტორი თემისა და მთავარი იდეის წარმოსაჩენად კომპოზიციის ელემენტებს (მაგ., მოქმედების დროსა და ადგილს, პერსონაჟებს, სიუჟეტს);
- ამოიცნობს სპეციფიკურ დრო-სივრცულ მახასიათებლებს, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის კონტექსტში;
- გაიაზრებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ კონფლიქტს/პრობლემას, ასევე ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- საუბრობს, რა დასკვნა გამოიტანა ტექსტის საფუძველზე (/რა ასწავლა ტექსტმა);
- პოულობს მსგავსება-განსხვავებას ტექსტში ასახულ რეალებს, პერსონაჟებს/ ამბის გმირებსა და რეალურ ცხოვრებას/რეალურ ადამიანებს შორის, გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- გაიაზრებს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი დრო-სივრცული ფაქტორების ცვლილებამ;
- ამოიცნობს და ხსნის სხვაობას ავტორის/მთხრობელის, პერსონაჟების ხედვის პერსპექტივებს შორის;
- ამოიცნობს ავტორის შეხედულებებს/დამოკიდებულებებს, საუბრობს, რა მიმართებაა ტექსტსა და ავტორის გამოცდილებას შორის;
- წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა ფორმით (მაგ., ინსცენირებით, გამომსახველობითი კითხვით);
- ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას ტექსტიდან შესაბამისი ადგილების მოხმობით;
- ასახელებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ/მიმზიდველ ადგილებს და ხსნის, რითია ისინი გამორჩეული;
- ამოიცნობს, რით ჰგავს/რით განსხვავდება ერთსა და იმავე თემაზე/ პრობლემაზე შექმნილი ტექსტები ერთმანეთისგან (მაგ., მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების კუთხით), გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- ამოიცნობს, რა განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის/ჟანრის ტექსტებში ერთი და იმავე თემის/საკითხის, პრობლემის წარმოსაჩენად;
- აფასებს, რამდენად დამაჯერებლად ასაბუთებს ავტორი თვალსაზრისს/ პოზიციას;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასებს ტექსტში ასახულ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- წამოაყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტს;
- იყენებს არგუმენტაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ფაქტობრივ, მიზეზ-შედეგობით, ანალოგიაზე დამყარებულ არგუმენტებს);
- ადგენს სტანდარტით განსაზღვრული ტიპის ტექსტებს ნაცნობ თემაზე/

საკითხზე სხვადასხვა მიზნით (მაგ., ანალიზის შედეგების წარმოჩენის, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მოწოდების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, გამოცდილების გაზიარების);

- ადეკვატურად იყენებს გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნას სხვადასხვა მიზნით (მაგ., წაკითხულის გაანალიზების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის);
- ადეკვატურად იყენებს ცალკეული ჟანრების ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების ცოდნას;
- ამოიცნობს ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც ავტორი იყენებს განწყობის, ემოციური ფონის შესაქმნელად;
- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ., ჰიპერბოლას, მეტაფორას, სხვ.) და ხსნის მათს დანიშნულებას;
- ამოიცნობს და ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებში ბგერწერითი ეფექტის შემქმნელ ელემენტებს (რიტმას, რიტმს, ალიტერაციას);
- ამოიცნობს მიმართებებს ტექსტის სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ელემენტებს შორის, გაიაზრებს მათ მთლიანი ტექსტის ფარგლებში (მაგ., სათაური-ტექსტი, წამყვანი აბზაცი-დამხმარე აბზაციები).

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულებამოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

განმსაზღვრელი შემაჯამებელი დავალება ინტეგრირებულად ამონმებს/აფასებს ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლებისას შეძენილ ცოდნასა თუ უნარებს.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს.

შემაჯამებელი დავალებების სახით, მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კომპლექსური სახის აქტივობები. ყოველი სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ, სულ მცირე, ერთი შემაჯამებელი კომპლექსური დავალება.

კომპლექსურ დავალებებს მიეკუთვნება:

- დისკუსია;
- დებატები;
- ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული სალონი;
- პრეზენტაცია, ზეპირი მოხსენება/ზეპირი გამოსვლა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- ნაწარმოების ინსცენირება;
- ანალიტიკური წერიტი ნამუშევრები (მაგ., ტექსტის ანალიზი; ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი, პერსონაჟის დახასიათება, პერსონაჟების შედარებითი დახასიათება);
- თხრობითი ტექსტის შედგენა (რეალურ ან/და წარმოსახვით გამოცდილებაზე);
- დამარწმუნებელი ტექსტების შედგენა (არგუმენტირებული ესე, სარეკლამო, სარეკლამო-საინფორმაციო ტექსტი, წერილი რედაქციას, რედაქტორს);
- ახსნა-განმარტებითი/საინფორმაციო ტექსტის შედგენა;
- პროექტი / კვლევა (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/საკითხზე);
- წერილობითი რეზიუმეს შედგენა (ნაცნობი ტექსტის);
- ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წინარე ისტორიის აღდგენა, ტექსტის გადანერა სხვა ჟანრში;
- წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;
- წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან;
- ანოტაციის, რეკომენდაციის შედგენა (მაგ., წიგნის, ფილმის);
- წერილობითი ტექსტების შედგენა თვითგამოხატვის მიზნით (მაგ., ჩანახატი, ნოველა, პირადი გამომხმარება/შთაბეჭდილება);
- ალტერნატიული ფორმის ტექსტების შედგენა თვითგამოხატვისთვის, პირადი დამოკიდებულების წარმოჩენისთვის (მაგ., ნახატი, პოსტერი, კოლაჟი, გრაფიკა, ვიდეორგოლი, მუსიკალური კლიპი შესწავლილი ტექსტების საფუძველზე) და მისთ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკის შედგენისას გამოიყენება: თემის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი პრიორიტეტები (იხ. ცხრილი);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

ნიმუში. შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა:

გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც:

- ა) წარმოადგენთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;
- ბ) მოიყვანთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;
- გ) გამოიტანთ დასკვნას/დასკვნებს.

ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური დროა 5 წუთი.

	ქულა	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 – 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 – 0, 5 – 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 – 1- 2	
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 – 1- 2	
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 – 1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ფესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0-1	
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ. განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.)	0 – 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 – 1	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)		

ე) დანართი

ამონარიდებისა და ფრაგმენტების მითითებები საბაზო საფეხურის სავალდებულო ლიტერატურისთვის

შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“. ანდერძი ავთანდილისა – 6 სტროფი (1. „დაჯდა წერად ანდერძისა...“. 2. „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ...“. 3-5. „არდავინწყება მოყვრისა... სიკვდილი სახელოვანი“. 6. „მაქვს საქონელი ურიცხვი...“..

დავით გურამიშვილი, „დავითიანი“. 3 თავი (ლეკთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა) (სიტყვებიდან: „მე ვიყავ ერთი თავადი...“..

ილია ჭავჭავაძე, სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე:

ა) დასაწყისიდან/მიმართვიდან ვიდრე სიტყვებამდე: „... უფრო მდიდარია, უფრო სავსეა“.

ბ) სიტყვებიდან: „მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო?...“ .სიტყვებამდე: „...ცოდნა ჰქვიან“.

გ) სიტყვებიდან: „ცოდნა ხერხია...“ . სიტყვებამდე: „...უფრო ძლიერია“.

დ) სიტყვებიდან: „კაცი უნდა ხერხი იყოს...“ .სიტყვებამდე: „...ჭკუა ცოდნით გაუღესია“.

ე) სიტყვებიდან: „ცოდნა სიმდიდრეა..“ .სიტყვებამდე: „...დაიწყებს ლაპლაპს“.

ვ) სიტყვებიდან: „...სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს...“ .სიტყვებამდე: „უფრო გაძლიერებული“.

ზ) სიტყვებიდან: „როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი...“ .სიტყვებამდე: „... გზას მე გიჩვენებთო!“.

თ) სიტყვებიდან: „ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია..“ .სიტყვებამდე: „ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს“.

ი) სიტყვებიდან: „აქედან ჩვენი შვილები...“ .სიტყვებამდე: „გასაზრდელად, გასალვიძებლად“.

კ) სიტყვებიდან: „ღმერთმა შეგასწოროთ იმ დროს...“ .სიტყვებამდე: „...მეც დავასრულე (!), რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს“.

ილია ჭავჭავაძე, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

სიტყვებიდან: „აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი...“ . აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „რა არ გადაგვხდენია თავს...“ . აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ყველა ეს შევძელით...“ . აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმოხინა...“ . აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

სიტყვებიდან: „ეხლაც ომია...“ . ტექსტის დასასრულამდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“.

კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“. ფრაგმენტი (მე-2 კარი, I თავი. სიტყვებიდან: „შევცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია...“ .სიტყვებამდე: „...ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“..

სახელმძღვანელოს შესატყვისოზა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

სახელმძღვანელოს თითოეული თავი (სასწავლო თემა) დაგეგმილია და აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით:

პირველი ნაწილი

I თავი. ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს	17 საათი
<p>§1 ისმინე, სწავლის მძებნელო!</p> <p>§2 სიტყვით საჩვენებელი მაგალითი</p> <p>§3 როგორ ვიკითხოთ საინფორმაციო ტექსტი</p> <p>§4 წიგნი თუ კომპიუტერი?</p>	
სასწავლო თემა: ცოდნა, სწავლა-აღზრდა, ცოდნის მიღების გზები, ახლის აღმოჩენა/შემეცნება.	
II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება.	
<p>საკითხავი მასალა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ილია ჭავჭავაძე, სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე (ნაწყვეტები) • სულხან-საბა ორბელიანი, იგავები: სოფლის მაშენებელი, ძალა ერთობისა, გლახაკი და ქილა ერბო, უგუნური მცურავი, კუ და მორიელი • დავით გურამიშვილი, დავითიანი, სწავლა მოსწავლეთა • ეზოპე, კუ და კურდღელი • ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე (ნაწყვეტი) • შოთა ძიძიგური, ენის წარმოშობა • უმბერტო ეკო, წიგნი თუ კომპიუტერი? • მარსელ პრუსტი, წიგნის კითხვა 	
ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>ისტორიული ცნობა, იგავი, ალეგორია, ეზოპეს ენა; საინფორმაციო ტექსტი, კითხვის სახეები: გაცნობითი და შესწავლითი; საკვანძო სიტყვები; ფაქტი და მოსაზრება; განსჯითი ხასიათის ტექსტი; თეზისი — არგუმენტი — დასკვნა; საჯარო გამოსვლა; კომპოზიციური სქემა; საჯარო სიტყვის წარმატების განმაპირობებელი სტრატეგიები; შეფასების რუბრიკა; აქტიური მკითხველი, თვითშეფასების ანკეტა (როგორი მკითხველი ვარ); ზეპირი გამოსვლის მომზადების სტრატეგიები; რეზიუმეს და მსჯელობის ტიპის ტექსტის დაწერა; ტექსტის გავრცობა და შემოკლება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • რით ასაბუთებენ სხვადასხვა ეპოქის ავტორები ადამიანისათვის ცოდნის მიღების აუცილებლობას? განსხვავდება თუ არა ერთმანეთისაგან მათი არგუმენტები? • როგორ ფიქრობთ, დღესაც აქტუალურია ეს საკითხი თუ არა? დღეს რა არგუმენტი შეიძლება დაემატოს მათ არგუმენტებს? • როგორ სცემენ სხვადასხვა ეპოქის ავტორები პასუხს უძველეს შეკითხვას: ნიჭი უფრო მნიშვნელოვანია თუ გულმოდგინება? თქვენ რა პასუხი გაქვთ ამ კითხვაზე?

<p>გრამატიკის საკითხები: ლექსიკა, სიტყვის ისტორია, მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნება; ზმნის როლი მოქმედების გადმოცემაში; სულხან-საბას ქართული; უნახავი მოქმედების გადმოცემა (ნაწილაკი „თურმე“); განმაზოგადებელი ჩართულები ტექსტში; მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები და კავშირები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ სწავლობს ადამიანი, ანუ რა მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებას სწავლის პროცესში? რა სასწავლო ფუნქცია აქვს იგავს? • ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, როგორ წარმოგიდგენიათ მხატვრული ლიტერატურის სასწავლო ფუნქცია? • რა როლს ასრულებს დამარწმუნებელი სახის ტექსტში შედარებები? რა შედარებებს იყენებენ თქვენს მიერ შესწავლილი ტექსტების ავტორები? • რით არის განპირობებული იგავის ტექსტებში ზმნების სიჭარბე? • რატომ არის მნიშვნელოვანი კითხვის სახეების ცოდნა? • რა შეიცვალა ცოდნის მიღების თვალსაზრისით დროთა განმავლობაში? • რამდენად პასუხობენ ეს ტექსტები კითხვებს, რომელიც გქონდათ სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებით? • რა გასწავლათ ამ ლიტერატურის გაცნობამ? • დაგეხმარათ თუ არა თქვენი პრობლემების გაცნობიერებაში თვითშეფასების ანკეტა?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>ვფიქრობთ, სასწავლო თემის ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობები და კომპლექსური დავალებები სრულად შეესაბამება საგნის სწავლა-სწავლების პრინციპებს, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია დეკლარირებული:</p> <p>ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას:</p> <p>ამ ფუნქციითაა აღჭურვილი სასწავლო მიზნების დეკლარირება ყოველი პარაგრაფის დასაწყისში და ე.წ. სამოტივაციო კითხვები; ამავე მიზანს ემსახურება ჯგუფურად და წყვილებში შესასრულებელი სამუშაოები; ვფიქრობთ, განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ამ თვალსაზრისით დავალება, რომელიც ტვინის ნერვული უჯრედების მუშაობის ამსხველი თვალსაჩინო ვიდეორგოლის ნახვას გულისხმობს ინტერნეტში. ამავე მიზნით ვთავაზობთ მოსწავლეებს თვითშეფასების ინსტრუმენტებს (ანკეტა, რუბრიკა).</p> <p>ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.</p>	

ამ პრინციპის გათვალისწინებითაა აგებული ლიტერატურისა და ენის სახელმძღვანელოს ყოველი პარაგრაფი; ასევე ტექსტზე დართული კითხვარები, რომელიც ბლუმის ტაქსონომიაზე დაყრდნობითაა შედგენილი. ფაქტებსა და მოვლენებზე დაკვირვება და დასკვნის გამოტანა ცოდნის მიღების ის არსებითი გზაა, რომელსაც სახელმძღვანელოს ავტორები სთავაზობენ მოსწავლეებს.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

წინარე ცოდნაზე მითითებით და მისი გააქტიურებით იწყება თითოეული სასწავლო ერთეული (პარაგრაფი); ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისათვის კი სისტემატურად ვთავაზობთ მოსწავლეებს ცნებათა რუკების, სქემების, ტაბულების გამოყენებას და შექმნას (განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ენის სახელმძღვანელოში).

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

სწავლის სტრატეგიებს დიდი ადგილი ეთმობა სახელმძღვანელოში (განსაკუთრებული მამატაბურობითაა ყურადღება გამახვილებული კითხვის სტრატეგიებზე, რომელსაც მოსწავლეები წინა კლასებშიც ეცნობოდნენ, ამჯერად კი ეს სტრატეგიები საგანგებო დაკვირვების საგანი ხდება: ყურადღება მახვილდება, როგორც სხვადასხვა მიზნით, ისე სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის კითხვის სტრატეგიებზე. ამ თავში, მაგალითად, საინფორმაციო ტექსტის კითხვის ხერხებზე ვამახვილებთ ყურადღებას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

ის, რომ თითოეული პარაგრაფი ცოდნის სამივე კატეგორიას მოიცავს, თავად პარაგრაფების მიზანშიც არის ასახული, რომელიც ძირითადად სამი პუნქტისაგან შედგება და თითოეული პუნქტი გარკვეულ კატეგორიას შეესაბამება. პირველი პუნქტი ასახავს იმას, რას გაეცნობიან (ნაიკითხავენ, შეისწავლიან) მოსწავლეები, მეორე ამ ცოდნის სავარჯიშოებში გააქტიურებას, ანუ პროცედურული ცოდნის შექმნას გულისხმობს, მესამე კი არსებითად კომპლექსური დავალებაა, რომელიც სწორედ პირობისეული ცოდნის შექმნის გზაა.

შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ცოდნაზე, სწავლა-აღზრდაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (**ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11**);
- ცოდნაზე, სწავლა-აღზრდაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (**ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12**);
- ცოდნაზე, სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (**ქართ. საბ. 7, 9, 10, 11**);

- ცოდნაზე, სწავლა-აღზრდაზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (**ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11**);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (**ქართ. საბ. 12**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- ცოდნაზე, სწავლა-აღზრდაზე შექმნილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს სწავლების განსხვავებული ტრადიციები და რეალიები, განსხვავებული წარმოდგენები სწავლა-აღზრდაზე, ადამიანის ზრდის პროცესზე.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები სწავლა-აღზრდაზე; გაგვიცოცხლონ სწავლასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება, კონკრეტული რეალიები; მოახდინონ გავლენა მკითხველზე, დაარწმუნონ ისინი.
- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სწავლა-აღზრდაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნაცნობი/ნასწავლი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა

II თავი. ჩვენი ემოციები	14 საათი
<p>§1 რა შეუძლიათ ლექსებს? §2 როდის არის ცრემლი ლამაზი? §3 რა არის სასაცილო?</p>	
<p>სასწავლო თემა: ადამიანის შინაგანი სამყარო: ემოციები, გრძნობები, განცდები, ოცნებები, წარმოსახვა-ფანტაზია; ურთიერთობა სხვა ადამიანთან.</p>	
<p>I თემატური ბლოკი: ადამიანი და მისი ცხოვრება</p>	
<p>საკითხავი მასალა</p>	
<ul style="list-style-type: none"> • ლადო ასათიანი, ვაჟა-ფშაველას ნაამბობი • ანა კალანდაძე, რა ვარ? სტვირი ვარ! • ომა ნიკლაური, საფლავზე მოვა ლექსის ხე • ტიციან ტაბიძე, რია-რია • ბესიკ ხარანაული, ლექსები • რევაზ ინანიშვილი, ლამაზი ცრემლები • ნოდარ დუმბაძე, წერილი (ნაწყვეტი რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) 	

ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>პროზა და ლექსი; როგორ ვიკითხოთ ლექსი (ლექსის კითხვის სტრატეგიები); ლექსის თემა, ლირიკული გმირი; ვერლიბრი (თავისუფალი ლექსი); რითმიდან ურით-მობამდე; რა არის მოთხრობა? პირადი წერილის ელემენტები, ადრესატი და ადრესანტი;</p> <p>გრამატიკა და ლექსიკა: ზუსტი სინონიმები; სიტყვათა სიჭარბე ლექსში; როგორ გაჩნდა სიტყვა ლექსი; მიმართვა; ზმნის ფუძის ცვლილება მრავლობით რიცხვში; პარონიმები.</p> <p>წერის სტრატეგიები (მოთხრობის შექმნა წერის პროცესის ყველა ეტაპის გათვალისწინებით); ტექსტის შექმნა მოდელის მიხედვით (თეთრი ლექსის დანერა); ტექსტის შექმნა ამ ჟანრის ტექსტის ელემენტების გათვალისწინებით (თხოვნის და სამადლობელი წერილების დანერა).</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ ფიქრობთ, რატომ წერენ ადამიანები ლექსებს? რა ადამიანურ ემოციას შეიძლება გამოხატავდეს ლექსი? • ადამიანები საკუთარ ემოციებს უსიტყვოდ გამოხატავენ. ემოციის გამოხატვის რომელ უსიტყვო ხერხებს იცნობთ? • რა ინვეს მწუხარებას, როგორ გამოხატავს ადამიანი ამ განცდას? • რა ინვეს სიცილს, რა არის სასაცილო ადამიანის ქცევაში? • თქვენ რა საშუალებებს მიმართავთ ხოლმე თქვენი ემოციების გამოსახატავად? • როგორ ფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა არ დაფაროს და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება (მაგალითად, სიყვარული) სხვა ადამიანის მიმართ? • რით შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ერთ თემაზე შექმნილი ერთი ტიპის ნაწარმოებები? • როგორ, რა საშუალებებით ახერხებენ პოეტები განწყობის გამოხატვას ლექსებში? • დაგეხმარათ თუ არა ლექსის კითხვის სტრატეგიების ცოდნა ლექსების უკეთ გაგებაში? რა იყო აქ თქვენთვის ახალი? • როგორ გეხმარებათ სათაური ნაწარმოების მთავარი სათქმელის გააზრებაში? • დაგეხმარათ თუ არა ამ ტექსტების გაცნობა თქვენი პრობლემების გაცნობიერებაში? როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს გამოცდილება ცხოვრებაში?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან I თავი; ასევე II თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში.</p>	

შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ადამიანის ემოციებსა და მის შინაგან სამყაროზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (**ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11**);
- ადამიანის ემოციებსა და მის შინაგან სამყაროზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (**ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12**);
- ადამიანის ემოციებსა და მის შინაგან სამყაროზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (**ქართ. საბ. 7, 9, 10, 11**);
- ადამიანის ემოციებსა და მის შინაგან სამყაროზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (**ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11**);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (**ქართ. საბ. 12**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- ადამიანის ემოციებსა და მის შინაგან სამყაროზე შექმნილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული ემოციები და განსხვავებული დამოკიდებულება ცხოვრებისეული პრობლემებისადმი.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი ემოციები; გამოხატონ ადამიანის შინაგანი სამყარო და მისი დამოკიდებულება ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ.
- ადამიანის ემოციებსა და შინაგან სამყაროზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები ჩემი და სხვა ადამიანების ემოციებზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნაცნობი/ნასწავლი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

III თავი. რას გვიამბობენ სიყვარულზე	12 საათი
<p>§1 ლექსად გადმოცემული ამბავი</p> <p>§2 სიყვარულისთვის ჩადენილი გმირობა</p> <p>§3 ორი მოთხრობა პირველ სიყვარულზე</p>	
<p>სასწავლო თემა: ადამიანის გრძნობები (სიყვარული), დამოკიდებულება სხვა ადამიანთან, ურთიერთობები.</p>	
<p>I თემატური ბლოკი: ადამიანი და მისი ცხოვრება</p>	
<p>საკითხავი მასალა</p>	
<ul style="list-style-type: none"> • შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: თათბირი ნურადინ ფრიდონისა, თათბირი ავთანდილისა, თათბირი ტარიელისა 	

<ul style="list-style-type: none"> • ხალხური ბალადა, თავფარავნელი ჭბუკი • ამირან ჭიჭინაძე, სუფლიორი, ცარცის წრე 	
ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>ეპითეტი, სიუჟეტი, ბალადა, მოარული (მოხეტიალე) სიუჟეტები; სიუჟეტის გავრცობა; კითხვის სტრატეგიები: სიტყვის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით, წაკითხულის ხელახლა გადაკითხვა და კითხვის გაგრძელება; პერსონაჟი, პერსონაჟის „ხატვის“ ხერხები; პერსონაჟის დახასიათება;</p> <p>გრამატიკისა და ლექსიკის საკითხები: ნასახელარი ზმნები, ძველებური მრავლობითი „ვეფხისტყაოსანში“, ბარბარიზმები, ორმაგი უარყოფა, სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს? • როგორ შეიძლება ამოვიცნოთ სიყვარული? • ცვლის თუ არა ადამიანს სხვა ადამიანის მიმართ სიყვარული? როგორ გგონიათ, რატომ? • რას ნიშნავს, გიყვარდეს? როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი ჩვენს სიყვარულს სიყვარულითვე არ პასუხობენ? • რამდენად პასუხობენ ეს ტექსტები იმ კითხვებს, რომლებიც მაქვს სიყვარულთან დაკავშირებით? • რამდენად დამეხმარა ამ გრძნობაზე წარმოდგენის შექმნაში მოცემულ ნაწარმოებთა პერსონაჟების სულიერი გამოცდილების გაცნობა? • რამდენად ეფექტურად იყენებენ ავტორები სათანადო განწყობის შესაქმნელად ენობრივ საშუალებებს? • როგორ ფიქრობთ, რატომაა სიყვარული ერთ-ერთი მთავარი თემა სხვადასხვა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში? (მაგ., მოარული სიუჟეტი ჰეროსა და ლეანდროსის სიყვარულის შესახებ). • რა მსგავსება-განსხვავება შენიშნეთ სიყვარულის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის? რითია ისინი განპირობებული?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან I თავი; ასევე III თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში.</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის გრძნობებზე, კერძოდ, სიყვარულზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11); 	

- ადამიანის გრძნობებზე, კერძოდ, სიყვარულზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (**ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12**);
- ადამიანის გრძნობებზე, კერძოდ, სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (**ქართ. საბ. 7, 9, 10, 11**);
- ადამიანის გრძნობებზე, კერძოდ, სიყვარულზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (**ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11**);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (**ქართ. საბ. 12**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- სიყვარულის თემაზე შექმნილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული წარმოდგენები სიყვარულზე.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა უკეთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ, უკეთ წარმოაჩინონ სიყვარულთან დაკავშირებული განცდები და მოქმედებები, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე.
- მწერლის, ლირიკული გმირის/პერსონაჟის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მეხმარება ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში.
- სიყვარულის თემაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემოიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ წარმოვადგინო/გავაზიარო საკუთარი მოსაზრებები და იდეები აღნიშნულ თემაზე, შემოიძლია გამოვიყენო ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

IV თავი. ჩვენი ურთიერთობები	10 საათი
§1 ჩემი ოჯახი § ჩემი სკოლა	
სასწავლო თემა: ადამიანის ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, სხვა ადამიანებთან, თანატოლებთან, უფროსებთან და უმცროსებთან.	
I თემატური ბლოკი: ადამიანი და მისი ცხოვრება	
საკითხავი მასალა	
<ul style="list-style-type: none"> • ნოდარ დუმბაძე, სისხლი • რევაზ ინანიშვილი, დამრიგებელი • მერაბ ბერძენიშვილი, დამნაშავე დასჯილია • გუგული ტოგონიძე, ხისმაცქერალი კაცის ამბავი 	

ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>სიმბოლო, აქტიური კითხვის სტარტეგეიები (კითხვების დასმა ტექსტის კითხვის დროს); დისკუსია, დისკუსიის წამყვანის სამახსოვრო.</p> <p>ლექსიკისა და გრამატიკის საკითხები: შემოკლებანი ლექსიკონში, ფრაზეოლოგიზმები, ზმნის სანყისი ფორმის პრაქტიკული დანიშნულება, როგორ გადმოიცემა ფიქრი? რიცხვითი სახელი არსებითის როლში, კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება არსებითთან ერთად, -ავ თემის ნიშნის მართლწერა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • რა შეიძლება ისწავლოს უფროსმა თაობამ უმცროსი თაობისაგან ან/და პირიქით? • რით განსხვავდებიან თაობები ერთმანეთისაგან, რით ჰგვანან ერთმანეთს? • რა პრობლემები გვაქვს უფროსებთან ურთიერთობაში მე და ჩემს თანატოლებს? რა განაპირობებს ამ პრობლემებს? შესაძლებელია თუ არა, მათი თავიდან აცილება? • როგორ შეიძლება კონფლიქტის თავიდან აცილება? არის თუ არა თანამშრომლობა პრობლემის გადაჭრის გზა? • რამდენად ეხმიანება ეს ტექსტები კითხვებს, რომლებიც მაქვს ადამიანთა შორის ურთიერთობების შესახებ? • რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებსავტორი ენობრივსაშუალებებს? • დამეხმარება თუ არა ამ ტექსტების გაცნობა ჩემი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან I თავი; ასევე IV თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში.</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოზარდებზე, თაობათა შორის ურთიერთობებზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11); • მოზარდებზე, თაობათა შორის ურთიერთობებზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12); • მოზარდებზე, თაობათა შორის ურთიერთობებზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11); • თანატოლებზე, თაობათა შორის ურთიერთობაზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11); • სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ. საბ. 12). 	

მკვიდრი წარმოდგენები:

- უფროსი და უმცროსი თაობების ცხოვრების სტილი, ინტერესები, შესაძლებლობები, მოვალეობები, გამოცდილებები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.
- თაობათა შორის ურთიერთობებზე შექმნილი ტექსტები შესაძლოა სხვადასხვა კუთხით აშუქებდნენ და სხვადასხვანაირად უდგებოდნენ ამ საკითხს.
- ჩემს თანატოლებზე შექმნილი ლიტერატურა შეიძლება დამეხმაროს კონკრეტული პრობლემების გაცნობიერებასა და გადაჭრაში, კონფლიქტის მართვაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ მოზარდების სამყარო, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- მოზარდებზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად, მათზე აზრის გამოსახატავად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- მოზარდებზე შექმნილი ლიტერატურის, თანატოლებზე ჩემი მოსაზრებების, საკუთარი გამოცდილების გადმოსაცემად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

მეორე ნაწილი

I თავი. სამშობლო უფრო ღმადაა...	11 საათი
<p>§1 სიმღერებად ქცეული ლექსები</p> <p>§2 არ გავცვლი!</p>	
<p>სასწავლო თემა: სამშობლო, მშობლიური სამყარო, ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსთან</p>	
<p>II თემატური ბლოკი: სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება</p>	
<p>საკითხავი მასალა</p>	
<p>ტექსტები</p> <ul style="list-style-type: none"> • ანა კალანდაძე, საქართველოო ლამაზო • მედეა კახიძე, ჩემი მინის სადღეგრძელო • მურმან ლებანიძე, სამშობლო, ბევრს არ დაგპირდები • აკაკი წერეთელი, სულიკო • ნოდარ დუმბაძე, ჰელადოს • რაფიელ ერისთავი, სამშობლო ხევსურისა • ოტია იოსელიანი, სამშობლოს თაობაზე (ნაწყვეტი) 	

ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>ციტატა და პერიფრაზი, რეფრენი, ეპიგრაფი. გრამატიკის საკითხები: ზმნისწინის ფუნქცია, მართლწერა: ტირეს ფუნქცია ტექსტში. ლექსიკა: ხატოვანი გამონათქვამები და მათგან მიღებული რთული სიტყვები, უცხო ენის გავლენის მაგალითები, „გაგიგიათ“ თუ „გაგიგონიათ“?</p>	<ul style="list-style-type: none"> • რა არის სამშობლო? რატომ და რითია სამშობლო მნიშვნელოვანი/ განსაკუთრებული ადამიანისათვის? • რას ნიშნავს, იყო სამშობლო ქვეყნის შვილი? • რა ვალი მაქვს სამშობლოს წინაშე, როგორც მოქალაქეს? • რითია ჩემი სამშობლო საინტერესო, ღირსშესანიშნავი? • რამდენად და როგორაა დღეს შესაძლებელი, ვიზრუნოთ ქვეყნის ხვალისდელ დღეზე? • რამდენად უპასუხებს ეს ტექსტები კითხვებს, რომლებიც მაქვს სამშობლოსთან დაკავშირებით? • რა მსგავსება-განსხვავებაა სამშობლოს თემაზე დანერგულ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული? • რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებენ ავტორები ენობრივ საშუალებებს? • რას მასწავლის სამშობლოს თემაზე შექმნილი ლიტერატურა?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, პირველი ნაწილის I თავი; ასევე, მეორე ნაწილის I თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული იდეები კომპლექსური დავალებებისათვის.</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11); • მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12); • მშობლიურ ქვეყანაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11); 	

- მშობლიურ ქვეყანაზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (**ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11**);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (**ქართ. საბ. 12**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- მშობლიური ქვეყნის სიყვარულზე დაწერილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ავტორები სხვადასხვა კუთხით წარმოგვიჩენენ მშობლიურ ქვეყანას.
- სამშობლოს თემაზე შექმნილი ლიტერატურა შეიძლება დამეხმაროს სამშობლოს მიმართ ჩემი დამოკიდებულების გაცნობიერებასა და საზოგადოებაში ჩემი ადგილის პოვნაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ, რა არის მათთვის სამშობლო, გამოსატონ თავიანთი დამოკიდებულება ამ თემის მიმართ, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- სამშობლოს თემაზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად, მათზე აზრის გამოსახატავად შეიძლება გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ, შეიძლება გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

II თავი. კავშირი ბუნებასთან	7 საათი
<p>§1 ბუნების სურათები §2 მკითხველის თეატრი</p>	
<p>სასწავლო თემა: ბუნებასთან ურთიერთობა, ბუნების მშვენიერება, ჰარმონიულობა; წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის; კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები.</p>	
<p>II თემატური ბლოკი: სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება</p>	
<p>საკითხავი მასალა</p>	
<ul style="list-style-type: none"> • ვაჟა-ფშაველა, ხმელი წიფელი • ალექო შენგელია, შველი • რევაზ ინანიშვილი, ტყის შვილები • მარკუს ტულიუს ციცირონი, ადამიანის ხმა 	

ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>გაპიროვნება, ეპიტაფია, მკითხველის თეატრი, პერსონაჟის ხასიათის ენობრივი შტრიხები, როგორ აისახება ემოციები ადამიანის ხმაში, გამომეტყველებითი კითხვა, გამომეტყველებითი კითხვის შეფასება, პირველ პირში თხრობა.</p> <p>ლექსიკა და გრამატიკა: ნაწილაკი „დიალ“, ზედსართავისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება, საკუთარი სახელები, ხმოვანმონაცვლე ზმნების დანერგობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • რატომაა ბუნება მწერლობისა და ხელოვნების შთაგონების წყარო? • რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისაგან? • რა მიზანს ისახავენ მწერლები, როცა ბუნების ქმნილებებს ადამიანის თვისებებს მიაწერენ და ადამიანის ენაზე ამეტყველებენ? • რა როლს აკისრებენ ისინი ადამიანს ბუნებასთან ურთიერთობაში? • რას გვასწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტები? • რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებენ მწერლები ენობრივ საშუალებებს? • რა პასიხისმგებლობა მაკისრია მე, როგორც ინდივიდს, ბუნების წინაშე? • როგორ შემიძლია ვიზრუნო ბუნებაზე?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, პირველი ნაწილის I თავი; ასევე, მეორე ნაწილის II თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული იდეები კომპლექსური დავალებებისათვის.</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნების თემაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11); • ბუნების თემაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12); • ბუნების თემაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11); • ბუნებაზე და ბუნებასთან დამოკიდებულებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11); • სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ. საბ. 12). 	

მკვიდრი წარმოდგენები:

- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ასახულია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ავტორები წარმოგვიდგენენ ბუნებას სხვადასხვა კუთხით, განსხვავებული საშუალებების (ბუნების პოზიციიდან, ადამიანის პოზიციიდან) გამოყენებით.
- ბუნების თემაზე შექმნილი ტექსტები გვცხადებენ გავიაზროთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ბუნების მიმართ, მოახდინონ ზემოქმედება მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტების უკეთ გასაგებად, მათზე აზრის გამოსახატავად შემოიღია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ბუნების მიმართ, ჩემი მოსაზრებები ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე, შემოიღია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

III თავი. პერსონაჟის პორტრეტრი ინტერიერში და მის გარეთ**14 საათი**

- §1 პერსონაჟის პორტრეტი
- §2 ლიტერატურული პარალელი
- §3 რისთვის წერენ მემუარებს?

სასწავლო თემა: ადამიანის ცხოვრების გზა**I თემატური ბლოკი:** ადამიანი და მისი ცხოვრება

საკითხავი მასალა

- **ილია ჭავჭავაძე**, კაცია-ადამიანი? (ნაწყვეტები)
- **ალფონს დოდუ**, ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი (ნაწყვეტები)
- **ნიკო ბაგრატიონი**, ბურებთან (ნაწყვეტი)

ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>ავტორის კომენტარი, პორტრეტი, ლიტერატურული პარალელი, ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია, მემუარული ჟანრის ლიტერატურა, აღწერითი ხასიათის ტექსტის შექმნა.</p> <p>გრამატიკა და ლექსიკა: ზედსართავი სახელების დანიშნულება, ნაზმნარი ზედსართავი სახელები, როდის გამოიხატება სიმრავლე მხოლობითის ფორმით, -ოსან დაბოლოება, რიტორიკული შედახილი, კუთვნილების გამოხატვის საშუალებები. მართლწერა (სასვენი ნიშნები): მრავალწერტილი და ორწერტილი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს და გვიჩვენებს თუ არა ადამიანის ხასიათს მისი გარეგნობა და საცხოვრებელი გარემო? • კიდევ როგორ/რაში ვლინდება ადამიანის შინაგანი სამყარო? • რა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას (ბიოგრაფიას) — მისი პირადი არჩევანი თუ სხვა ფაქტორები (აღზრდა, გარემო, ბედისწერა, ხასიათი)? • როგორ შეიძლება გაუმკლავდეს ადამიანი ცხოვრებისეულ განსაცდელს? • რატომ მოგვითხრობს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრების გზაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე? როგორ შემოიძლია გამოვიყენო ეს ცოდნა რეალურ ცხოვრებაში? • რა მიზნით იქმნება მემუარული ჟანრის ლიტერატურა? • რაში და რამდენად მეხმარება ავტორის ემოციებში გარკვევა? • რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებენ მწერლები ენობრივ საშუალებებს? • რა მსგავსება-განსხვავებაა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, პირველი ნაწილის I თავი; ასევე, მეორე ნაწილის III თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული იდეები კომპლექსური დავალებებისათვის.</p>	
<p>შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანის ცხოვრების გზაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11); • ადამიანის ცხოვრების გზაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12); • ადამიანის ცხოვრებაზე/ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11); 	

- საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (**ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11**);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (**ქართ. საბ. 12**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- ადამიანის ცხოვრებაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მოგვითხრობს განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილება, შესაძლებელია, განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.
- ავტორის/პერსონაჟის ცხოვრებისეული გამოცდილება მეხმარება რეალური ცხოვრების სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრებაში, ადამიანების/სკუთარი თავის უკეთ შეცნობაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს იმისათვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი.
- ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად, მათზე აზრის გამოსახატავად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გადმოვცე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, შემიძლია გამოვიყენო ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

IV თავი. გმირები	25 საათი
<p>§1 ხალხური ლეგენდა — პოეტური შთაგონების წყარო §2 ისტორიული პოემა §3 მოგზაურობა სულიერი გმირობის სავანეში</p>	
სასწავლო თემა: გმირები	
III თემატური ბლოკი: მარადიული ძიებები, ცხოვრების საზრისი	
საკითხავი მასალა	
<ul style="list-style-type: none"> • ილია ჭავჭავაძე, ბაზალეთის ტბა • აკაკი წერეთელი, თორნიკე ერისთავი • ათონი — გზამკვლევი 	

ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები
<p>ლეგენდა, პოემა, პროლოგი, ეპილოგი, ისტორიული ფაქტი და მხატვრული გამონაგონი, ფაბულა და სიუჟეტი; ტექსტის ტიპები: გზამკვლევი, ენციკლოპედიის სტატია; მხატვრული თხზულების შექმნა ლეგენდის მიხედვით, მხატვრული თხზულების შექმნა ისტორიულ ფაქტის მიხედვით, გზამკვლევის შედგენა.</p> <p>გრამატიკა და ლექსიკა: როგორ გადმოსცემს პოეტი ხალხურ ლეგენდას, ომონიმები, სინონიმები, მეტყველების გამომხატველი ზმნები, განსაზღვრება-ეპითეტები, -ნენ დაბოლოება, მიზეზისა და მიზნის გარემოების გარჩევა, მისი, თავისი, თავიანთი ნაცვალსახელების სწორი გამოყენება, დარგობრივი ლექსიკა, შედგენილი ტერმინები, ზმნისწინთან ხმოვნების თავმოყრა, შემოკლებათა განმარტება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვის შეიძლება ვუწოდოთ გმირი? რა არის გმირის ხასიათის არსებითი თვისება? • რატომ ნატრულობენ გმირის გამოჩენას, რატომ სცემენ მას პატივს და ინახავენ მის ხსოვნას? • რა როლს ასრულებენ გმირები საზოგადოების ცხოვრებაში? • შეიძლება თუ არა ვუწოდოთ გმირი მას, ვისაც ბრძოლა არ მოუგია, მაგრამ საკუთარი ცხოვრება საზოგადოების კეთილდღეობას მიუძღვნა? • რა მსგავსება-განსხვავებაა გმირებს შორის? მათზე შექმნილ ტექსტებს შორის? • რამდენად მეხმარება მწერლის გამონაგონი რეალური გმირობის გაგება-გააზრებაში? • რატომ უნდა ვიცნობდეთ გმირებს? • რა მიმართებაა გმირსა და ლიდერს შორის? • ვინ არიან თანამედროვე გმირები? • რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებენ მწერლები ენობრივ საშუალებებს? • რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო იმისათვის, რომ შექმნა ტექსტი გმირზე/გმირობის თემაზე, წარმოვაჩინო ჩემი ცოდნა, გამოვხატო პირადი დამოკიდებულება გმირის/გმირობის მიმართ?
<p>აქტივობები და კომპლექსური დავალებები</p> <p>იხ. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, პირველი ნაწილის I თავი; ასევე, მეორე ნაწილის IV თავის აქტივობები და დავალებები მოსწავლის წიგნში. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული იდეები კომპლექსური დავალებებისათვის.</p>	

შეფასების ინდიკატორები — მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11);
- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ. საბ. 6, 9, 10, 11, 12);
- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7, 9, 10, 11);
- გმირებზე/გმირობაზე საკუთარი მოსაზრებების/დამოკიდებულების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ. საბ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ. საბ. 12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- გმირები დადებით გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, უკეთესობისაკენ ცვლიან ადამიანების/ქვეყნის ცხოვრებას უდიდესი ძალისხმევით, შესაძლოა, თავგანწირვის ფასად.
- გმირებზე შექმნილია სხვადასხვა ჟანრისა და ტიპის ტექსტები.
- გმირებს აქვთ საერთო და განსხვავებული ნიშან-თვისებები, კონკრეტული გმირის სახეს განსაზღვრავს ეპოქა (კულტურა).
- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი ტექსტები მეხმარება რეალური ცხოვრების სხვადასხვა პერსპექტივიდან გააზრებაში, ადამიანების/საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში, ლიტერატურული გამოცდილების გამდიდრებაში.
- მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს გმირის სახის უკეთ წარმოსაჩენად, მკითხველის დასარწმუნებლად, შთაბეჭდილების მოსახდენად.
- გმირებზე/გმირობაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად, მათზე აზრის გამოსახატავად შემოიძლია გამოვიყენო ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები/დამოკიდებულება გმირებსა და გმირობაზე, შემოიძლია გამოვიყენო ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

მეთოდულ კაში ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები ანუ ფაზები:

- ა. მოტივაცია;
- ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
- გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება;
- დ. ძირითადი მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით, თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. მასწავლებელმა უნდა დაეყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს: გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა სამი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

1. რა შედეგს ველი ამ გაკვეთილისგან? ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ (განავითარონ) მოსწავლეებმა?
2. როგორ უნდა მივიღო სასურველი შედეგი?
3. როგორ გავიგო, რომ შედეგი მივიღე?

პასუხი პირველ კითხვაზე არის **გაკვეთილის მიზანი**; მეორე კითხვა გაკვეთილზე შესასრულებელი **აქტივობების** დაგეგმვაში დაგვეხმარება; მესამე კითხვა კი **შეფასების ფორმების** განსაზღვრისთვის არის საჭირო.

ამავე ეტაპზე უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო **აუცილებელი პირობები**, ანუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა, რომ დასახული ამოცანის შესრულება შეძლონ (სჭირდებათ თუ არა მათ წინასწარ გარკვეული საკითხების დამუშავება, ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს აგრეთვე, რა მასალა დასჭირდება მას გაკვეთილის ჩასატარებლად (ნიგნები, ციტატები, თვალსაჩინოება...).

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის აღწერა.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სცენარს.

სანიშნო გაკვეთილების სცენარები

გაკვეთილი 1

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ მე-7-კლასი

თემა: სიყვარული – რას გვიამბობენ სიყვარულზე (თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება).

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: ხალხური ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აანალიზებენ და აფასებენ მხატვრულ ნაწარმოებს ტექსტის აგების კომპოზიციური ელემენტების გათვალისწინებით.

გაკვეთილის გეგმის შემუშავებამდე მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო თემების აგების პრინციპი. მაგალითად, გაკვეთილზე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი შედეგების (ქართ. საბ. 2, 3, 10,12) მისაღწევად უნდა შეისწავლონ ხალხური ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“. ლიტერატურული ტექსტის შესასწავლად მიმდინარე აქტივობებისა და დავალებების განსაზღვრა-დაგეგმვამდე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, „რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად“ (ქართული ენა და ლიტერატურა /საბაზო საფეხურის სტანდარტი – გვ. 10). დასვას საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები და შეიმუშაოს კომპლექსური დავალება/დავალებები, რომლის მისაღწევად უნდა დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები. კომპლექსური დავალება შემონმდება სტანდარტიდან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით.

საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგი:

მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება

ქართ. საბ. 3. ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

ქართ. საბ. 7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება

ქართ. საბ. 10. სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება.

ქართ. საბ. 12. სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, განაალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

სამიზნე ცნება /მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

სტრატეგიები (წერის სტრატეგიები)

კომპოზიციური ელემენტები

- სიყვარულზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა.

მეტაკოგნიტური სტრატეგიები

- მწერლის, ლირიკული გმირის / პერსონაჟის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მეხმარება ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა.

როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს?

რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?

რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს? კომპოზიციურ და სტრუქტურულ ელემენტებს?

კომპლექსური დავალება/დავალებები

მოსწავლეს შეუძლია მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინება; ჩატარებული სამუშაოს შედეგების – ძლიერი მხარე/ სუსტი მხარე/ შესაძლებლობები/ საფრთხეები – განხილვა; წერილობითი ტექსტის პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება ჟანრული და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

მოარული (მოხეტიალე) სიუჟეტების პრინციპის გათვალისწინებით „თავფარავნელი ჭაბუკისა“ და „ჰეროსა და ლეანდროსის სიყვარულის“ მსგავსი ნაწარმოების/ამბის შექმნა სიუჟეტის აგების სქემის გათვალისწინებით.

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.

- სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ. საბ. 7);

- სიყვარულზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ. საბ. 3, 10)

- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ. საბ. 12).

საგაკვეთილო აქტივობები

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება „შესასვლელი ბილეთებით“. ესაა მცირე ზომის ბარათები, რომელზეც წერია 1-2 მოკლე შეკითხვა. ამით მოსწავლეები გაიაზრებენ თუ რომელი თემის განხილვას ვაპირებთ ამ და შემდეგ რამდენიმე გაკვეთილზე. ასეთი ბარათებით მასწავლებელი აფიქსირებს, თუ რა იციან თემის ირგვლივ, ან რა არის მათი ინტერესის სფერო, მაგალითად:

- გაიხსენეთ სიყვარულის თემაზე შექმნილი, თქვენი აზრით, ყველაზე შთამბეჭდავი ნაწარმოები;
- ბოლო ნაწარმოები, რომელიც სიყვარულის თემაზე წაიკითხეთ;
- სასიყვარულო ამბავი, რომელიც წაიკითხეთ, სევდიანი იყო, თუ მხიარული;
- როგორ მთავრდებოდა სიყვარულის ისტორია, ბედნიერად თუ ტრაგიკულად და სხვა.

აქტივობა 2. მოსწავლეები იაქტიურებენ განსახილველი ტექსტის საკვანძო მოვლენასთან დაკავშირებულ წინარე ცოდნას ტექსტის საკვანძო იდეასთან დაკავშირებული ერთი სიტყვით. მასწავლებელი დაფაზე დაწერს სიტყვას. ეს სიტყვა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს წასაკითხი ტექსტის საკვანძო თემას/იდეას და ამავდროულად მრავალფეროვან ასოციაციებს იწვევდეს მოსწავლეებში. ამ შემთხვევაში ასეთი სიტყვა/ცნება შეიძლება იყოს მაგ. **ავსული ბებერი/სარკმელზე ანთებული სანთელი/ან უბრალოდ კელაპტარი**. მოსწავლეები განმარტავენ, რას ნიშნავს სიტყვა და გაიხსენებენ სიტუაციას, რომელიც მათთვის ამ ცნებასთანაა დაკავშირებული. ამის შემდეგ ბავშვები წერენ სამ წუთში რაიმე ამბავს ამ სიტუაციაზე დაყრდნობით (3-წუთიანი ესე). წერის დაასრულების (სამი წუთის) შემდეგ, თავიანთ ნამუშევარს უზიარებენ მეწყვილეს. 2-3 მსურველი საკუთარ ნაწერს ხმამაღლა უკითხავს თანაკლასელებს. ბოლოს, მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ამ სიტყვებს/ცნებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ იმ სიყვარულის ისტორიაში, რომელსაც დღეს უნდა გაეცნონ.

აქტივობა 3. მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ შეკითხვას ახალი ცოდნის შესაძენად. მაგალითად ამგვარს:

- როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს?
- რა დაბრკოლება შეიძლება გადაელობოს წინ სიყვარულს?

მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, როგორ ესმით მათ ჭეშმარიტი სიყვარული და როგორ გამოხატავენ მას ადამიანები.

აქტივობა 4. ტექსტი/ტექსტის ტიპები და ჟანრები.

ლექსის წაკითხვამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ სასიყვარულო თემაზე დაწერილი, ან ნებისმიერი შინაარსის ლექსი და განმარტონ, რა არის ლექსებით გადმოცემული – ემოცია, განწყობა, მუსიკა თუ რაიმე ამბავი. მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს და ამის შემდეგ მასწავლებელი განმარტავს, რომ ლექსებს, რომლებიც ერთდროულად გამოხატავენ განწყობასაც, ემოციასაც და რაღაც ამბავსაც გადმოგვცემენ ბალადა ჰქვია. რომელსაც ხშირად

ლეგენდა, ისტორიული ან ცხოვრებისეული ამბავი უდევს საფუძვლად და დღეს სწორედ ბალადად ქცეულ ერთ-ერთ ასეთ ხალხურ გადმოცემას გაეცნობიან თავფარავნელი ჭაბუკის ტრაგიკული სიყვარულის შესახებ.

აქტივობა 5. ლექსის ხმამაღლა კითხვა.

მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ლექსს, რის შემდეგაც სვამს შეკითხვას: რამ მოახდინა მათზე უფრო დიდი ზეგავლენა, ბალადით გადმოცემულმა ამბავმა თუ იმან, როგორ არის ეს ამბავი გადმოცემული, სიტყვების ჟღერადობამ, ლექსის კეთილზმოვანებამ. მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ პოზიციებს და ცდილობენ ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე.

აქტივობა 6. ბალადის ტექსტის გაგება- გააზრება.

ტექსტის გაგება-გააზრების მიზნით, მოსწავლეები განიხილავენ ბალადას სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით.

პირველი ფაზა – შესავალი. განსახილველი თემის (ლექსის მხატვრული ანალიზი) გაცნობისა და ჯიქსოუს ტექნიკის შეხსენების შემდეგ, იქმნება ძირითადი ჯგუფები. თითოეულში შედის 4-5 მოსწავლე (განსხვავებული შესაძლებლობის მოსწავლეები გენდერული ბალანსის დაცვით).

მეორე ფაზა: ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიქსოუს ჯგუფების შიგნით. თითოეული ძირითადი/ჯიქსოუს ჯგუფი ამუშავებს ერთსა და იმავე თემას (ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“.. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა თემის შესაბამისი საკითხი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად ამუშავებს, კერძოდ: 1. ენობრივი მახასიათებლები 2. სიუჟეტური ქარგა, კომპოზიცია, ტექსტის აგებულება; 3. მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების მიმოხილვა; 4. პერსონაჟთა ხასიათზე, თვისებებზე, ქცევაზე დაკვირვება/მათი დახასიათება. 5. სალექსო საზომი, რიტმი, რითმა.

მესამე ფაზა: თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში.

მოსწავლეები, რომლებმაც დაამუშავეს ერთი და იგივე საკითხი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად. კომპლექტდება ექსპერტთა 5 ჯგუფი, რადგან 5 ნაწილად იყო დაყოფილი თემა.

მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად /ჯიქსოუს ჯგუფებში.

მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიქსოუს ჯგუფებში, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ თემის მათ მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფებში გაღრმავებული ნაწილი. მოსწავლეები ამ ნაწილებს აერთიანებენ და ეპიზოდის მხატვრულ ანალიზს ერთ მთლიანობად მოიაზრებენ.

მეხუთე ფაზა: თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება. ჯგუფიდან შემთხვევითი გამოკითხვის მეტოდით ფასდება ერთი მოსწავლე. მითითებები ჯგუფის წევრებისათვის:

- დააკვირდით ლექსს, და იმსჯელეთ მის ენობრივ მახასიათებლებზე. მოულოდნელ და/ან ნაცნობ მაგრამ მოულოდნელ კონტექსტში თუ არატრადიციული

ფორმით გამოყენებულ სიტყვებზე. რატომ გამოიყენა მწერალმა ეს ენობრივი საშუალებები?

- დააკვირდით მოვლენათა განვითარებას ტექსტში და იმსჯელეთ, სიყვარულის ეს ისტორია როგორ და რატომ იძენს მოულოდნელ გაგრძელებას, როგორ იძაბება თანდათან მოვლენები, სად აღწევს ეს დაძაბულობა კულმინაციას და ბოლოს როგორ სრულდება იგი.

- იმსჯელეთ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების (ეპითეტი, ჰიპერბოლა და სხვ.) დანიშნულებასა და იმაზე, თუ როგორ ეხმარება მკითხველს ეს ხერხები გააცოცხლოს პოეტის მიერ დახატული სურათები;

- იმსჯელეთ პერსონაჟთა ქცევაზე, ქცევის მოტივზე, თვისებებზე. რამდენად ბუნებრივად და გამართლებულად მიგაჩნიათ მათი ქცევა. როგორია მწერლის დამოკიდებულება, მისი აზრით, სიყვარული თავისთავად გულისხმობს მსხვერპლის გაღებას? იმსახურებს თუ არა ჭაბუკის თავგანწირვა თქვენს სიმპათიას და რატომ?

- ყური მიუგდონ ლექსის მუსიკას, შეიგრძნონ მისი ჟღერადობა და რიტმი. დააკვირდნენ რა ქმნის ლექსის დინამიურობას და იცვლება თუ არა იგი ლექსის შინაარსის ცვლილებასთან ერთად. ამ ჟღერადობის საშუალებით ხომ არ გადმოგვცემს მწერალი ბალადის აზრსა და განცდას. დააკვირდნენ რითმებს და იმსჯელონ რამ განაპირობა კონკრეტული ლექსიკური ერთეულების (მგ. კელაპტარობდა, ნიავეპარობდა, ჩქამობდა და სხვ.) გაჩენა.

(მითითებები ჯგუფის წევრებისათვის შეგიძლიათ შეცვალოთ კლასის საჭიროების შესაბამისად).

აქტივობა 7. მეთოდის შეჯამება. მოსწავლეები მართავენ საკლასო დისკუსიას, განიხილავენ ჩატარებული სამუშაოს შედეგებს – ძლიერი მხარე/ სუსტი მხარე/ შესაძლებლობები/ საფრთხეები. SWOT ანალიზი დაეხმარება მოსწავლეებს გამოყენებული აქტივობის რეფლექსიაში.

აქტივობა 8. არაფორმალური წერის გრაფიკული ინსტრუმენტით, მოსწავლეები შემოქმედებითი ფორმით გამოხატავენ საკუთარ ცოდნასა და პირად განცდებას და განწყობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას, დამოკიდებულებას ბალადის მხატვრული ქსოვილის მიმართ.

1-ლ ხაზზე წერენ არსებით სახელს (ამ შემთხვევაში მთავარი ან არამთავარი პერსონაჟი-თავფარავნელი ჭაბუკი, ასპანელი ქალი, ბებერი) – საკვანძო სიტყვას, ბოლო ხაზზე კი საკვანძო არსებითი სახელის შემცვლელ სიტყვას/სინონიმს. მეორე ხაზზე წერენ ორ ზედსართავ სახელს /ეპითეტს, რომლებიც ახასიათებს საკვანძო სიტყვას. მესამე ხაზზე – სამ ზმნას, რომლებიც გამოხატავს საკვანძო სიტყვის მოქმედებებს. ანალოგიურად, ბოლოდან მეორე ხაზზე დაწერილი ზედსართავებით ახასიათებენ საკვანძო სიტყვის შემცვლელს, ხოლო ბოლოდან მესამე სტრიქონზე დაწერილი სამი ზმნით გამოხატავენ საკვანძო სიტყვის შემცვლელი სინონიმის მოქმედებებს. „ბრილიანტის“. ცენტრალურ (თავიდან მე-4) სტრიქონზე წერენ ოთხსიტყვიან ფრაზას, რომლითაც გადმოსცემენ განხილული საკითხის და/ან პერსონაჟის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას/ შეხედულებას/ განწყობას,

რომელიც მათ გაუჩნდათ.

აქტივობა 9. მოარული (მოხეტიალე) სიუჟეტების პრინციპისა და ნიმუშის გაცნობა და მისი გათვალისწინებით წერენ „თავფარავნელი ჭაბუკისა“ და „პეროსა და ლეანდროსის სიყვარულის“ მსგავს ამბავს, სიუჟეტის აგების სქემის გათვალისწინებით.

განმსაზღვრელი შეფასება: ჯიქსოუს ჯგუფების თითო წარმომადგენელი – შეფასების კრიტერიუმების ცხრილი;

ეპიზოდის მხატვრული ანალიზის შეფასების რუბრიკა

დავალების პირობის გააზრება (3 ქულა):

- დავალების პირობა სწორადაა გააზრებული;
- დავალების პირობა გააზრებულია, მაგრამ ნაწერს აკლია პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი;
- დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული.

ანალიზი – არგუმენტირება /მაგალითები (3 ქულა):

- საკითხი გაანალიზებულია სრულყოფილად; გამყარებულია შესაბამისი მსჯელობით და ადეკვატური მაგალითებით;
- პრობლემა გაანალიზებულია, მაგრამ მსჯელობა არაა გამყარებული ადეკვატური (შესაბამისი) მაგალითებით;
- პრობლემა არ არის გაანალიზებული, მხოლოდ ჩამოთვლის ცალკეულ მხატვრულ ხერხებს;

ახდენს ცალკეული დავალებებისა და მთლიანი ტექსტის რეზიუმირებას (2 ქულა):

- ახდენს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა საექსპერტო ჯგუფში განხილული საკითხის რეზიუმირებას;
- ახდენს საკუთარ საექსპერტო ჯგუფში განხილული საკითხის რეზიუმირებას, თუმცა უჭირს სხვა საექსპერტო ჯგუფებში განხილული დავალების გადმოცემა.

მეტყველების კულტურა (2 ქულა):

- მეტყველებს გამართულად, მართლმეტყველების წესების დაცვით. დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა;
- დაშვებულია 3-ზე მეტი შეცდომა.

#	კრიტერიუმი	3	2	1
1	დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა სწორადაა გააზრებული.	დავალების პირობა გააზრებულია, მაგრამ ნაწერს აკლია პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი.	დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული.
2	ანალიზი (არგუმენტირება მაგალითები)	საკითხი გაანალიზებულია სრულყოფილად; გამყარებულია შესაბამისი მსჯელობით და ადეკვატური მაგალითებით.	პრობლემა გაანალიზებულია, მაგრამ მსჯელობა არაა გამყარებული ადეკვატური (შესაბამისი) მაგალითებით.	პრობლემა არ არის გაანალიზებული, მხოლოდ ჩამოთვლის ცალკეულ მხატვრულ ხერხებს.
3	ახდენს ცალკეული დავალებებისა და მთლიანი ტექსტის რეზიუმირებას		ახდენს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა საექსპერტო ჯგუფში განხილული საკითხის რეზიუმირებას.	ახდენს საკუთარ საექსპერტო ჯგუფში განხილული საკითხის რეზიუმირებას, თუმცა უჭირს სხვა საექსპერტო ჯგუფებში განხილული დავალების გადმოცემა.
4	მეტყველების კულტურა		მეტყველებს გამართულად, მართლმეტყველების წესების დაცვით. დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა.	დაშვებულია 3-ზე მეტი შეცდომა.

მხატვრული წერილობითი ტექსტის შეფასების სქემა:

დავალების პირობის გააზრება (3 ქულა):

- დავალების პირობა სწორადაა გააზრებული;
- დავალების პირობა გააზრებულია, მაგრამ ნაწერს აკლია პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი.
- დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული.

მხატვრული ტექსტის სიუჟეტის აგების სქემა (3 ქულა):

- ტექსტი აგებულია სიუჟეტის სქემის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით;

- ტექსტი ძირითადად აგებულია სიუჟეტის სქემის კომპონენტების გათვალისწინებით;

- ტექსტი არაა აგებული სიუჟეტის სქემის კომპონენტების გათვალისწინებით.

შემოქმედებითობა/ნიგნიერება (2 ქულა):

- წერილობითი ტექსტი ავლენს მოსწავლის ნიგნიერებას და თემისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას;

- წერილობითი ტექსტი ნაკლებად ავლენს მოსწავლის ნიგნიერებას და თემისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას.

მართლწერა (2 ქულა):

- წერს გამართულად, მართლწერის წესების დაცვით. დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა.

- დაშვებულია 3-ზე მეტი შეცდომა.

#	კრიტერიუმი	3	2	1
1	დავალების პირობის გააზრება	დავალების პირობა სწორადაა გააზრებული.	დავალების პირობა გააზრებულია, მაგრამ ნაწერს აკლია პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი.	დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული.
2	მხატვრული ტექსტის სიუჟეტის აგების სქემა	ტექსტი აგებულია სიუჟეტის სქემის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.	ტექსტი ძირითადად აგებულია სიუჟეტის სქემის კომპონენტების გათვალისწინებით.	ტექსტი არაა აგებული სიუჟეტის სქემის კომპონენტების გათვალისწინებით.
3	შემოქმედებითობა/ნიგნიერება		წერილობითი ტექსტი ავლენს მოსწავლის ნიგნიერებას და თემისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას.	წერილობითი ტექსტი ნაკლებად ავლენს მოსწავლის ნიგნიერებას და თემისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას.
4	მართლწერა		წერს გამართულად, მართლწერის წესების დაცვით. დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა.	დაშვებულია 3-ზე მეტი შეცდომა.

გაკვეთილი 2

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ მე-7-კლასი

თემა: სიყვარული – სიყვარულისთვის ჩადენილი გმირობა (თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება).

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: „ვეფხისტყაოსანი“ („თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“).

საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგი:

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

ქართ.საბ. 7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოსატყვამ და ახსნა-დასაბუთება;

მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება

ქართ.საბ. 11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;

ცნება/მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

ცნება – ტექსტის კონტექსტი;

მწერლის, ლირიკული გმირის / პერსონაჟის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მეხმარება ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში.

ცნება – ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები (მხატვრული ხერხები, რიტორიკული ხერხები)

მწერლები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას იმისთვის, რომ უკეთ წარმოაჩინონ თავიანთი დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ, სიყვარულთან დაკავშირებული განცდები და ქმედებები, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა.

როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს?

რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?

რამდენად მეხმარება მწერლის/ლირიკული გმირის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა?

რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?

კომპლექსური დავალება/დავალებები:

შეყვარებული რაინდის (პერსონაჟის/გმირის) დასახასიათება გმირის რუკის გამოყენებით და საკუთარ დამოკიდებულების გამოსატყვამ ტექსტში ასახული ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მიმართ.

ტექსტის შეცვლა: გავრცობა – შევსება. მეორეხარისხოვანი პერსონაჟის თვალთ მოყოლილი ამბავი. ქაჯეთის ციხის მცველად დარჩენილი მეომრები აღწერენ/საუბრობენ სიყვარულის სახელით ჩადენილი გამირობის შესახებ.

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.

- სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7);
- დაკვირვება პერსონაჟზე (მის ქცევაზე, მეტყველებაზე, ემოციებზე);
- სიყვარულზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 11);

საგაკვეთილო აქტივობები

აქტივობა 1. ნაცნობი ინფორმაციის გახსენება.

შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურების მიზნით მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს, იხსენებენ პოემა „ვეფხისტყაოსნის“. წინა კლასებში შესწავლილ ეპიზოდებს, რაც დაეხმარებათ პოემის სხვა ეპიზოდის სწორად გააზრებაში. კითხვები მოცემულია ელექტრონული ტექსტის ფორმატით ან PP-პრეზენტაციით, რომელზეც ჩანს შეკითხვები მე-5 -მე-6 კლასებში შესწავლილი თავებიდან („ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმისა საძებრად“, შესაბამისი ილუსტრაციებით, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებს არა მხოლოდ ვერბალური ინფორმაციის გახსენებაში, არამედ წარმოსახვითი უნარების გააქტიურებაშიც.

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას ახალი ცოდნის შესაძენად, მაგალითად ამდაგვარს:

როგორ შეიძლება ამოვიცნოთ გულწრფელი გრძნობა? – იმსჯელეთ თინათინის მიერ სატრფოსათვის სიყვარულის გამხელის მაგალითზე.

მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს და გამოთქვამენ ვარაუდებს, როგორ შეიძლება გაგრძელდეს/ დასრულდეს ეს ურთიერთობა.

აქტივობა 3. მცირე ზომის წერილობითი ტექსტის შექმნა.

მოსწავლეები წერენ ტექსტს შეთავაზებული სიტყვების მნიშვნელობის გააზრების, მათ შორის კავშირის დამყარების საფუძველზე და გამოხატავენ პირად განცდებსა და განწყობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას. ტექსტიდან შერჩეულია 4-5 სიტყვა (მაგალითად: შეხვედრა, თავგადასავალი, სატრფო, მეგობარი, სასონარკვეთა და სხვ.), რომლებიც ამოკრეფილია შეძლებისდაგვარად ზუსტი ვარაუდების მისანიშნებლად, მაგრამ, ამავე დროს, არ ამჟღავნებს ნაწარმოების საიდუმლოს. ამ სიტყვების გამოყენებით 5 წთ-ის განმავლობაში თხზავენ პატარა ამბავს. მოხალისეობის პრინციპით, 2-3 მოსწავლე კლასის წინაშე კითხულობს თავის მიერ შეთხზულ ამბავს, როგორც „ავტორი“, „საავტორო სკამის“ გამოყენებით. „საავტორო სკამზე“ ჯდება ის მოსწავლე/ავტორი, რომელიც საკუთარ ტექსტს

ხმამალა წაიკითხავს. ასეთი სკამი გაკვეთლზე ქმნის გაგსხვავებულ, შეიძლება ითქვას, საზეიმო განწყობილებასაც კი და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ნიჭი განსხვავებული ფორმით წარმოაჩინონ თანაკლასელების წინაშე.

აქტივობა 4. ტექსტის წაკითხვამდე მსჯელობენ, რა ინფორმაციის შემცველია მოცემული სურათები. მოსწავლეები ათვალიერებენ პოემის შესაბამისი ეპიზოდების ილუსტრაციებს (მასწავლებლის მომზადებული სლაიდ შოუს ან სახელმძღვანელოში არსებულს) და გამოთქვამენ ვარაუდს, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები პოემის შემდეგ თავებში. ილუსტრაციები დაეხმარება მოსწავლეებს ფანტაზიის სტიმულირებასა და ვარაუდების გამოთქმაში. მასწავლებელი ავსებს/აზუსტებს მოსწავლეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

აქტივობა 5. ნარატიული (თხრობითი) ტექსტების გააზრება და სიღრმისეული დამუშავება.

მოსწავლე სწორად იგებს, იაზრებს, აანალიზებს წაკითხულ ტექსტს. კლასი იყოფა მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე ჯგუფებად და დამოუკიდებლად ეცნობიან შესასწავლ ეპიზოდს: ტექსტს კითხულობენ აქტიური კითხვის მეთოდით და სათანადო ადგილების მარკირებით; ბავშვები ჩუმად კითხულობენ პოემის მონაკვეთებად დანაწევრებულ ტექსტს ინდივიდუალურად მონიშნავენ მათთვის უცნობ და/ან ბუნდოვან ლექსიკურ ერთეულებს და ცდილობენ ამოიცნონ მისი მნიშვნელობა კონტექსტის დახმარებით. საკუთარ ვარაუდებს აცნობენ ჯგუფის წევრებს და ახდენენ მათთვის მიცემული ეპიზოდის პარაფრაზირებას. ჯგუფის თითო წარმომადგენელი თანაკლასელებს აცნობს ეპიზოდის შინაარსს, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებენ სხვა მოსწავლეები და/ან ერთვება მასწავლებელი.

აქტივობა 6. პერსონაჟის/გმირის დახასიათება.

ტექსტის შინაარსის გაგება – გააზრების შემდეგ აკვირდება ეპიზოდის სათაურს და ცდილობს ამოიცნოს, რა ინფორმაციის შემცველია იგი; სწორად ამოიცნობს, აფასებს და ხსნის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების დანიშნულებას გმირის (ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის) მხატვრული სახის შექმნისათვის. სხვადასხვა მხატვრულ დეტალზე დაკვირვებით მსჯელობს პერსონაჟთა დახასიათების ხერხებზე; აკვირდება პერსონაჟების მეტყველებას და ცდილობს, ახსნას მათი ქცევის მოტივი და სხვ.

(მითითებები ჯგუფის წევრთა რაოდენობის შესაბამისად შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგრამ, სასურველია, ისე იყოს შერჩეული, რომ მოსწავლეებს დაეხმაროს, შეჯამების ფაზაზე პასუხი გასცენ საკვანძო შეკითხვას.

რა მიმართებაა სიყვარულსა და მსხვერპლის გაღებას/სხვის მსახურებას შორის?

ჯგუფები ავსებენ პერსონაჟის რუკას და თითო წარმომადგენელი აუდიტორიას აცნობს მათ მიერ გაანალიზებული ეპიზოდის მიხედვით გმირის დახასიათებას.

აქტივობა 7. მოსწავლეები საკუთარი და თანაკლასელების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამოლიანებენ ინფორმაციას და ავსებენ დიაგრამას „გადაჯაჭვული“. ადარებენ სამივე პერსონაჟის ქცევის მოტივს და ცდილობენ

ახსნან თითოეული პერსონაჟის გადანყვეტილება – ემსახურონ, მსხვერპლი გაიღონ მეგობრისათვის/სატრფოსთვის – რამდენადაა განპირობებული სიყვარულით. კოგნიტური დიაგრამა დაეხმარება მოსწავლეებს გაამთლიანონ სხვადასხვა სახით მიღებული ინფორმაცია.

აქტივობა 8. ძირითადი იდეების შეჯერება.

განსაზღვრავენ პრობლემურ საკითხს ნაკითხულ ტექსტში და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში ასახული ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მიმართ.

ჯგუფში მსჯელობენ დებულებაზე: „თუ მიყვარს, ვზრუნავ, ანუ მე აქტიურად ვმონაწილეობ ... სხვა ადამიანების გაბედნიერებაში“ და/ან: „სიყვარული ეს აქტიურობაა ... ეს დახმარებაა და არა გატაცება. ზოგადი სახით სიყვარულზე შეიძლება ვთქვათ, რომ ეს უფრო გაცემაა ვიდრე მიღება“ (ერის ფრომი – გერმანელი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და ფსიქოანალიტიკოსი). როგორ იქცევიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ე.წ. „სიყვარულის გამცემისა“ და „სიყვარულის მიმღების“ როლში.

მოსწავლეები წამოჭრილ პრობლემას განიხილავენ ჯგუფებში. ჯგუფური დისკუსიის დასრულების შემდეგ თავიანთ იდეებს და/ან შეხედულებებს უზიარებენ მთელს კლასს. ჯგუფის ლიდერი მოსწავლე გადმოსცემს ჯგუფის მოსაზრებებს. იმავე ჯგუფის სხვა მოსწავლეებს შეუძლიათ რამე დაამატონ.

მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევებზე დაკვირვების ცხრილი

მასწავლებელი დაკვირვების დაფის გამოყენებით აკვირდება და ინიშნავს მოსწავლეთა მიღწევებს შესაბამისი რუბრიკების მიხედვით.

უნარ-ჩვევა, რომელსაც ვაკვირდები:

- ფაქტების, იდეების მოძიება, გააზრება და ინტერპრეტაცია;
- შერჩეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით დამოკიდებულებების გამოხატვა და გადანყვეტილების მიღება;
- ათვისებული მასალის გამოყენება უცნობ სიტუაციებში.

უნარ-ჩვევა, რომელსაც ვაკვირდები	მოსწავლის სახელი და გვარი -----	მოსწავლის სახელი და გვარი -----	მოსწავლის სახელი და გვარი -----	მოსწავლის სახელი და გვარი -----	მოსწავლის სახელი და გვარი -----
ფაქტების, იდეების მოძიება, გააზრება და ინტერპრეტაცია.					
შერჩეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით დამოკიდებულ ლებების გამოსატყა და გადანაცვ-ტილების მიღება.					
ათვისებული მასალის გამოყენება უცნობ სიტუაციებში.					

სოციალურ უნარ-ჩვევებზე დაკვირვების ცხრილი

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები აფასებენ საკუთარ და თანაკლასელების მონაწილეობას ჯგუფურ მუშაობაში.

უნარ-ჩვევა, რომელსაც ვაკვირდები:

- პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება: დავალებას კეთილსინდისიერად ვასრულებდი; ვინაწილებდით პასუხისმგებლობებს;
- თანამშრომლობა: ვთანამშრომლობდით ჯგუფის სხვა წევრებთან, ვუსმენდით და საჭიროების შემთხვევაში, მივდიოდით კომპრომისზე;
- გადაწყვეტილების მიღება: ანგარიშს ვუნევდით სხვების მოსაზრებებს, ვაფერებდით ინფორმაციას კონსტრუქციული კამათის საფუძველზე შეთანხმების მისაღწევად.

ბაკვეთილი 3

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ მე-7-კლასი

თემა: სიყვარული – ორი მოთხრობა პირველ სიყვარულზე

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: ამირან ჭიჭინაძე – „სუფლიორი“.

საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგი:

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

ქართ.საბ. 7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

ქართ.საბ. 8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება

ქართ.საბ. 11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება;

ქართ.საბ. 12. სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

სამიზნე ცნება – ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია)

მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

მწერლის, ლირიკული გმირის / პერსონაჟის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მეხმარება ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა

როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს?

როგორ შეიძლება ამოვიცნოთ სიყვარული?

რამდენად მეხმარება მწერლის/ლირიკული გმირის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა?

კომპლექსური დავალება

ტექსტის გაგება-გააზრების შემდეგ პერსონაჟის დახასიათება მათ მიერვე შერჩეული კითხვის სტრატეგიით, დამაჯერებელი არგუმენტებით და მხატვრული დეტალების გათვალისწინებით;

პერსონაჟის ემოციებისა და ქცევის მოტივის მართებულად შეფასება საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით.

ინფორმაციის წარდგენა ვერბალურად და არავერბალურად, გრაფიკული ორგანიზებების საშუალებით.

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

- სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 11);
- ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ. საბ. 8, 11);
- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

აქტივობა 1. მასწავლებელი ფილმის ეპიზოდის ყურებამდე აკეთებს განმარტებას, რომ ფილმში წარმოდგენილი სიტუაცია ალბათ გაახსენებთ მათთვის ნაცნობ საკლასო სიტუაციას. მოსწავლეები უყურებენ ეპიზოდს ფილმიდან „შვიდი მოთხრობა პირველ სიყვარულზე“ (გადაღებულია ამირან ჭიჭინაძის მოთხრობა „სუფლიორის“ მიხედვით. <http://youtube.com/watch?v=gpcffiv4cQ&t=257s>) და შემდეგ მსჯელობენ რამდენად ნაცნობია მათთვის სალომესა და რეზიკოს კლასში არსებული ისტორია მათთვის. მოსწავლეები იხსენებენ სხვადასხვა სიტუაციებს თავიანთი პირადი გამოცდილებიდან.

აქტივობა 2. კითხვის სტრატეგიის შერჩევა/ინფორმაციის დახარისხება.

ტექსტის ნაკითხვამდე მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ კითხვის იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ხშირად მიმართავენ. მოსწავლეებს წყვილებში ურიგდებათ სტიკერები, რომლებზეც დაწერილია კითხვის მარტივი სტრატეგიები. მოსწავლეები ახარისხებენ ბარათებს იმის მიხედვით, რას აკეთებენ ისინი კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და ბოლოს, მოცემული ტექსტის ნაკითხვის შემდეგ. და აკრავენ შესაბამის სტიკერს ცხრილის სათანადო სვეტში (კითხვის დაწყებამდე/ კითხვის დროს / ნაკითხვის შემდეგ). საჭიროების შემთხვევაში, შეაქვთ ცვლილებები და შემდეგ მსჯელობენ, რომელი სტრატეგიების გამოყენება მიაჩნიათ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა ნარატიული ჩარჩოს გამოყენებით.

მასწავლებელი მოთხრობის ტექსტის სწორად გაგება-გაანალიზების მიზნით იყენებს **ნარატიულ ჩარჩოს**. პირველ რიგში გააცნობს ჩარჩოს შეკითხვებს, რომელიც ჩამონერძილი აქვს დაფაზე ან ეკრანზე და სთხოვს გაითვალისწინონ ეს შეკითხვები ტექსტზე მუშაობის დროს. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის პირველ თავს. კითხვის პროცესში მონიშნავენ ინფორმაციას, რომელიც ნარატიული ჩარჩოს კითხვებზე პასუხის გაცემაში დაეხმარებათ, უცნობი სიტყვის მნიშვნელობას აზუსტებენ ლექსიკონში ან ამოიცნობენ კონტექსტის დახმარებით. საკუთარ ვერსიას აზუსტებენ მენყვილესთან. ტექსტის პირველი ეპიზოდის ნაკითხვის დროს მასწავლებელი დროდადრო ჩერდება და მოსწავლეებს სთხოვს, პასუხი გასცენ შეკითხვებს:

- ✓ ვინ არიან მთავარი პერსონაჟები?
- ✓ სად და როდის ხდება ნაწარმოებში განვითარებული მოქმედება?
- ✓ როგორ იქცევიან მოქმედი გმირები?
- ✓ თქვენი აზრით, რა მიზანი ამოძრავებს თითოეულ პერსონაჟს?
- ✓ რა შედეგები მოიტანა მთავარი პერსონაჟის(სალომეს) მცდელობამ?

პირველი ეპიზოდის ნაკითხვისა და კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ შემაჯამებელ აბზაცს.

აგრძელებენ მოთხრობის მეორე ეპიზოდის კითხვას და პასუხს სცემენ მეორე ეპიზოდისათვის („მათემატიკის გაკვეთილზე“) მომზადებულ შეკითხვებს:

- ✓ რით იწყება მოქმედება მოთხრობის ამ კონკრეტულ მონაკვეთში?
- ✓ სად და როდის ხდება(გრძელდება) მოთხრობის ამ მონაკვეთში აღწერილი მოქმედება;
- ✓ ვინ არიან ამ ეპიზოდის მთავარი მოქმედი პირები (ვინ დაემატა ან დააკლდა)?
- ✓ რა მიზანი აქვთ მათ?
- ✓ როგორ ცდილობენ მთავარი პერსონაჟები მიზნის მიღწევას?
- ✓ რა შედეგი მოიტანა მთავარი პერსონაჟების მცდელობამ;
- ✓ როგორი ემოციური რეაქცია აქვთ მთავარ პერსონაჟებს ეპიზოდის ბოლოს?

(კითხვები სარეკომენდაციოა და მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს საჭიროებისამებრ)

მეორე ეპიზოდის ნაკითხვისა და კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ შემაჯამებელ აბზაცს.

აქტივობა 4. პერსონაჟის/გმირის დახასიათება.

სხვადასხვა მხატვრულ დეტალზე დაკვირვებით მსჯელობს პერსონაჟთა დახასიათების ხერხებზე; სწორად ამოიცნობს, აფასებს და ხსნის მათ დანიშნულებას მთავარი პერსონაჟების(სალომე, რეზიკო) მხატვრული სახის შექმნისათვის.

დავალება სრულდება წყვილებში. მასწავლებელი შეახსენებს, რომ ნაკითხულის უკეთ გააზრებისთვის დაისმება შემდეგი ტიპის შეკითხვები:

1. შეკითხვა, რომელიც მოითხოვს ტექსტში პირდაპირ წარმოდგენილი ინფორმაციის დამოუკიდებლად პოვნას;
2. შეკითხვა, რომელიც მოითხოვს ტექსტში არაპირდაპირ წარმოდგენილი ინფორმაციის ამოცნობას;
3. შეკითხვა, რომელიც მოითხოვს ტექსტის მონაკვეთებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვას, ტექსტიდან გამომდინარე დასკვნის დასასაბუთებლად;

4. შეკითხვა, რომელიც მოითხოვს ტექსტის მთლიანობაში აღქმას – მისი ძირითადი აზრის ამოსაცნობად;

მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს და ჯერ ინდივიდუალურად ასრულებენ დავალებას შემდეგი მითითებებით:

- მოიძიეთ პერსონაჟების პირდაპირი დახასიათება ტექსტში;
- გამოყავით ეპიზოდები, რომლებიც პერსონაჟთა არაპირდაპირ დახასიათებად შეიძლება ჩაითვალოს;
- რა შეგიძლიათ თქვათ ამ ეპიზოდებზე დაყრდნობით პერსონაჟთა ხასიათის შესახებ?
- დააკვირდით ტექსტის ენას, ამოიცანით გამოსახვის ხერხები, რომლითაც დახასიათებულია პერსონაჟი.
- ამოიცანით და შეაფასეთ როგორია მწერლის, დამოკიდებულება ამ პერსონაჟისადმი, რის თქმა უნდა ავტორს ამ პერსონაჟის ჩვენებით და რამდენად გეხმარებათ მწერლისა და გმირის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მოთხრობის მათავარი სათქმელის ამოცნობასა და პირადი გამოცდილების გამდიდრებაში;

ინდივიდუალურად დაძებნილ ინფორმაციას აჯერებენ მეწყვილესთან და შემდეგ ერთად ავსებენ ორი მთავარი პერსონაჟის რუკას და ინფორმაციას წარმოადგენენ გრაფიკული ორგანიზერის საშუალებით: პერსონაჟი – თვისება (ები) / დადასტურება ტექსტიდან- მწერლის დამოკიდებულება პერსონაჟისადმი – ჩემი დამოკიდებულება პერსონაჟისა და მწერლის პოზიციისადმი. ერთი წყვილი წარმოადგენს შესრულებულ დავალებას, პასუხობს თანაკლასელთა დასმულ დამაზუსტებელ შეკითხვებს და/ან თავად ავსებს ინფორმაციას.

აქტივობა 5. შედეგების სქემატური სახით წარმოდგენა. მოსწავლეები ამთლიანებენ ინფორმაციას და წერენ თხზულებას პერსონაჟების შედარების სქემის გამოყენებით. 2-3 მოსწავლე კითხულობს საკუთარ ნამუშევარს.

აქტივობა 6. მასწავლებელი ეკრანზე, ან ფლიპჩარტზე ჩამოწერს შეკითხვებს, რომლებიც დააფიქრებთ სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე, დაეხმარებათ მათი მიზეზების გაცნობიერებასა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვაში:

- ✓ რომელ შეკითხვაზე არ გქონდათ სწორი პასუხი?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია თქვენი შეცდომა?
- ✓ რა დაგეხმარათ სწორი პასუხის შერჩევაში?
- ✓ იყო თუ არა წყვილში სწორი ვერსია და თუ იყო, რამ შეგიშალათ ხელი სწორედ ეს პასუხი დაგეფიქსირებინათ?

წყვილები აფასებენ თანამშრომლობას ნარატიული ტექსტის გაგება-გააზრებისა და პერსონაჟის დახასიათების აქტივობებზე ზეპირი კომენტარებით.

პერსონაჟების შედარება

_____ და _____ ამ მოთხრობის ორი გმირია. _____ (გმირის სახელი)
_____ არის _____

(გმირის ხასიათი/თვისება) _____

მაშინ, როცა _____ (გმირის სახელი) _____ არის _____
(გმირის ხასიათი/თვისება) _____.

მაგალითად, _____ (ერთი) _____ ცდილობს _____

_____ (მეორე) _____, პირიქით, _____

ორივე არის _____ (საერთო თვისება/თვისებები) _____

გმირის დახასიათების შეფასების რუბრიკა

დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება (2 ქულა):

- დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული
- დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული

მოსაზრებების ადეკვატური ციტირება (3 ქულა):

- მოსაზრებების უმეტესობა ადეკვატურადაა ციტირებული;
- მოსაზრებების ნაწილი ადეკვატურადაა ციტირებული;
- მოსაზრებები არ არის ციტირებული, ან არაადეკვატურადაა ციტირებული.

მხატვრული თავისებურებების შეფასება (3 ქულა):

- დაძებნილი და გაანალიზებულია ყველა ძირითადი მხატვრული თავისებურება;
- დაძებნილი და გაანალიზებულია მხოლოდ ნაწილი მხატვრული თავისებურებებისა;
- არ საუბრობს მხატვრულ თავისებურებებზე, ან მხოლოდ აფიქსირებს, მაგრამ არ აანალიზებს მხატვრული ხერხების დანიშნულებას, ან ანალიზი არაადეკვატურია.

ენობრივი ნორმების დაცვა (2 ქულა):

- იცავს საფეხურის/კლასის შესაბამის გრამატიკულ წესებს. დაშვებულია არაუმეტეს 2 შეცდომისა;
- დაშვებული შეცდომები 2-ზე მეტია.

#	კრიტერიუმი	3	2	1
1	დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება.	X	დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.	დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.
2	მოსაზრებების ადეკვატური ციტირება.	მოსაზრებების უმეტესობა ადეკვატურადაა ციტირებული.	მოსაზრებების ნაწილი ადეკვატურადაა ციტირებული.	მოსაზრებები არ არის ციტირებული, ან არაადეკვატურადაა ციტირებული
3	მხატვრული თავისებურებების შეფასება.	დაძებნილი და გაანალიზებულია ყველა ძირითადი მხატვრული თავისებურება.	დაძებნილი და გაანალიზებულია მხოლოდ ნაწილი მხატვრული თავისებურებებისა.	არ საუბრობს მხატვრულ თავისებურებებზე, ან მხოლოდ აფიქსირებს, მაგრამ არ აანალიზებს მხატვრული ხერხების დანიშნულებას, ან ანალიზი არაადეკვატურია.
4	ენობრივი ნორმების დაცვა.	X	იცავს საფეხურის/კლასის შესაბამის გრამატიკულ წესებს. დაშვებულია არაუმეტეს 2 შეცდომისა.	დაშვებული შეცდომები 2-ზე მეტია.

გაკვეთილის 4

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ მე-7-კლასი

თემა: სიყვარული – ორი მოთხრობა პირველ სიყვარულზე (თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება).

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: ამირან ჭიჭინაძე – „სუფლიორი – რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი“.

საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგი:

მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება

ქართ. საბ.1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

ქართ. საბ. 2. ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

ქართ. საბ. 4. ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.

მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

მწერლის, ლირიკული გმირის / პერსონაჟის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა მეხმარება ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობაში, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა

როგორ გამოხატავენ ადამიანები სიყვარულს?

რამდენად მეხმარება მწერლის/ლირიკული გმირის ემოციების, სულიერი გამოცდილების გაცნობა?

რა ვიცი საკუთარ თავზე? როგორ მეხმარება სიყვარული (ან ამ გზაზე დაშვებული შეცდომა) საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში?

კომპლექსური დავალება/დავალებები

ინფორმაციის დახარისხება. მოსწავლეებმა მართებულად ამოიცნეს ტექსტში მოცემულ ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაცია, მოთხრობის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზებისა და სათანადო დასკვნების გამოტანის საფუძველზე;

ალტერნატიული ფორმის ტექსტის შექმნა. ამირან ჭიჭინაძის მოთხრობა „სუფლიორის“ მიხედვით შეიქმნება კომიქსებიანი წიგნი ონლაინ პროგრამა pixtonis – ის გამოყენებით. კომიქსებს უნდა ახლდეს მოთხრობის ინტერპრეტირებული ტექსტები.

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

- სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 11);

- სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა (ქართ.საბ. 12).

საგაკვეთილო აქტივობები

აქტივობა 1. შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს, იხსენებენ მოთხრობის წინა გაკვეთილზე შესწავლილ ეპიზოდებს, რაც დაეხმარებათ მოთხრობის შემდეგი ეპიზოდის მართებულად გააზრებაში.

სასურველია, კითხვარი წარმოდგენილი იყოს PP-პრეზენტაციით. სლაიდებზე გამოტანილი შეკითხვები 1-ლი და მე-2 თავებიდან შესაბამისი ილუსტრაციებით დაეხმარებათ მოსწავლეებს არა მხოლოდ ვერბალური ინფორმაციის გახსენებაში, არამედ წარმოსახვითი უნარების გააქტიურებაში.

აქტივობა 2. ნაცნობიდან უცნობ მასალაზე გადასვლის, ყურადღების კონცენტრირების მიზნით, მასწავლებელს სამსჯელოდ გამოაქვს მოთხრობის ბოლოს სახელმძღვანელოში დასმული ერთ-ერთი შეკითხვა:

ხომ არ აღმოაჩინეთ რეზიკოს/სალომეს საქციელზე დაკვირვებისას რამე თვისება, რომელის მათს ავტორისეულ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) დახასიათებაში არ ყოფილა აღნიშნული?

მოსწავლეების პასუხები მასწავლებელს გადააქვს ფლიპჩარტზე/დაფაზე, მოსწავლეები კი ცდილობენ თავიანთი ვარაუდების დადასტურებას ტექსტური მასალით და/ან პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული ვარაუდების გამოთქმით.

(თითოეული პერსონაჟისთვის ცნების რუკა იქმნება ცალცალკე). ცნების რუკა; მასწავლებელი ოვალში წერს პერსონაჟის სახელს და სწორედ ამ სიტყვის/ცნების გარშემო აგებენ ცნების რუკას, ანუ ასახელებენ იმ თვისებებს, რომლებიც, მათი აზრით, ახასიათებს პერსონაჟს.

აქტივობა 3. ტექსტის ნაკითხვა. მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობის შესასწავლი ეპიზოდის „რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი“ – პირველ მონაკვეთს (ვიდრე „...ორივე მონაწილე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა“). მონიშნავენ, მათი აზრით, ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან, მთავარ ადგილებს, რომლებიც დაეხმარებათ პერსონაჟების ემოციების, ხასიათის თვისებების უკეთ გააზრებაში. რის შემდეგაც უბრუნდებიან ცნების რუკას და ცდილობენ საკუთარი ვარაუდების დადასტურება დაძებნონ ნაკითხულ მონაკვეთში. აგრძელებენ ტექსტის ჯერ მეორე მონაკვეთის (ვიდრე „... ნახა კიდევ“), შემდეგ კი ტექსტს კითხულობენ ბოლომდე, კითხვის იმავე მეთოდით. ბოლოს, მსჯელობენ, რამდენად გამართლდა მათი მოლოდინი, ამ პერსონაჟების ხასიათის თვისებებთან დაკავშირებით.

აქტივობა 4. რეფლექსია. ანალიზის შედეგების სქემატური სახით წარმოდგენა.

მოსწავლეები ერთიანდებიან 4-5 კაციან ჯგუფებში და საკუთარი და თანაკლასელების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამთლიანებენ ინფორმაციას პერსონაჟის სრულყოფილი პორტრეტის შესაქმნელად. ავსებენ დიაგრამას – „პერსონაჟის ცვლილება“. დიაგრამის სხვადასხვა მონაკვეთში აფიქსირებენ, როგორია პერსონაჟის ხასიათი მოთხრობის დასაწყისში, რა ცვლილება განიცადა მან ამ პერიოდში და მსჯელობენ, რამდენად ლოგიკური იყო ეს ცვლილება სალომეს ხასიათიდან გამომდინარე. პერსონაჟის ქცევის ცვლილების დიაგრამები დაეხმარება მოსწავლეებს გაამთლიანონ ინფორმაცია. ერთ-ერთი ჯგუფი აცნობს თანაკლასელებს მათ მიერ შედგენილ პერსონაჟის პორტრეტს ორივე ეპიზოდიდან ამოკრებილი ინფორმაციის გათვალისწინებით. პასუხობენ თანაკლასელებისა და მასწავლებლის დამაზუსტებელ შეკითხვებს.

აქტივობა 5. მასწავლებელი დაფაზე წერს ისეთ დებულებას ან შეკითხვას, რომელიც კამათს გამოიწვევს, მაგალითად: „თუ ადამიანს შეუძლია სრულფასოვნად უყვარდეს, მას საკუთარი თავიც უყვარს. თუ ადამიანს მხოლოდ სხვები უყვარს, მას საერთოდ არ შეუძლია სიყვარული“ (ერის ფრომი – გერმანელი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და ფსიქონალიტიკოსი).

- მოსწავლეები აყალიბებენ ორ-სამ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ და რის გამოც შეიძლება შევეწინააღმდეგოთ.

- შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ, შესაძლოა, ჩამოთვლილი მიზეზები მათ პირად შეხედულებებს არ ემთხვეოდეს.

- მოსწავლეები ავსებენ „სადისკუსიო ქსელის“ სქემას თავიანთი მოსაზრებებით.

- მოსწავლეები წყვილებში ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს. განუმარტავენ მენწყილეს საკუთარ მოსაზრებებს და, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება საკუთარ სქემას ახალი მიზეზებიც დაამატონ.

- გაზიარებისა და დისკუსიის დასრულების შემდეგ რამდენიმე მსურველი ხმამაღლა გამოთქვამს თავის შეხედულებებს.

- შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამ მომენტისთვის „სწორი პასუხი“ არ არსებობს და რომ ყველა მოსაზრებას თანაბარი ძალა აქვს.

- განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს სქემის იმ მონაკვეთზე, სადაც წერია „დასკვნები“.

მეთოდის – „სადისკუსიო ქსელის“- გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოსატონ საკუთარი შეხედულებები თუ დამოკიდებულებები საკითხის მიმართ ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვამდე ან წაკითხვის შემდეგ. პროცესში მონაწილეობა სასარგებლოა ახალი ცოდნის განმტკიცებისთვის და გაღრმავებისთვის, წერის პროცესისთვის მომზადებისთვის, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისათვის.

აქტივობა 6. დავალების ზეპირად წარდგენის შემდეგ მოსწავლეები ხუთი წუთის განმავლობაში ინდივიდუალურად წერენ ესეს, რომელშიც საკუთარ, პიროვნულ პოზიციასა და შეხედულებებს გამოხატავენ მოცემულ საკითხზე / პრობლემაზე. მსჯელობისას შეუძლიათ გამოიყენონ სადისკუსიო ქსელში მოცემული მიზეზები და მათ მიერ შესწავლილი ტექსტი, რათა გაამყარონ საკუთარი არგუმენტები.

აქტივობა 7. შემაჯამებელი ბარათი. მასწავლებელი ჩამოწერს შეკითხვებს, მოსწავლეებმა კი თავიანთი პასუხები პატარა ფურცლებზე უნდა დაწერონ და ჩაყარონ ყუთში. ბარათები ივსება ანონიმურად და იყვება აზრების ყუთში. მეორე დღეს მასწავლებელი კომენტარებით გამოეხმაურება.

1. დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც დღევანდელ გაკვეთილზე ისწავლეთ;
2. დაწერეთ ერთი შეკითხვა, რომელიც დღეს მოსმენილის ან ნანახის შესახებ გაგიჩნდათ;

3. დანერეთ ერთი კომენტარი დღევანდელი გაკვეთილის შესახებ.

ეს აქტივობა მასწავლებლისთვის ყოველდღიური უკუკავშირის მიღების მნიშვნელოვანი საშუალებაა, მოსწავლეებს კი დღის განმავლობაში გამოყენებულ აქტივობებზე რეფლექსიისკენ უბიძგებს.

სადისკუსიო ქსელის სქემა

ვეთანხმები (pro)

ვუპირისპირდები (con)

დასკვნა: -----

სადისკუსიო ქსელის სქემის შეფასების რუბრიკა

დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება (2 ქულა):

- დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული;
- დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული

სადისკუსიო თემის დამადასტურებელი მოსაზრებები (3 ქულა):

- მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ სამ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ;
- მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ ორ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ;
- მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ.

სადისკუსიო თემის საპირისპირო მოსაზრებები (3 ქულა):

- მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ სამ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავუპირისპირდეთ;
- მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ ორ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავუპირისპირდეთ;
- მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავუპირისპირდეთ.

დასკვნა (2 ქულა):

- სადისკუსიო თემაზე გამოტანილია დასაბუთებული დასკვნა;
- სადისკუსიო თემაზე გამოტანილი დასკვნა დაუსაბუთებელია.

#	კრიტერიუმი	3	2	1
1	დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება	X	დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.	დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.
2	სადისკუსიო თემის დამადასტურებელი მოსაზრებები.	მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ სამ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ	მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ ორ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ.	მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ.
3	სადისკუსიო თემის საპირისპირო მოსაზრებები.	მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ სამ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავუპირისპირდეთ.	მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ ორ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავუპირისპირდეთ.	მოსწავლეები აყალიბებენ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ მიზეზს, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავუპირისპირდეთ.
4	დასკვნა		სადისკუსიო თემაზე გამოტანილია დასაბუთებული დასკვნა.	სადისკუსიო თემაზე გამოტანილი დასკვნა დაუსაბუთებელია.

გმირის ქცევის ცვლილების შეფასების რუბრიკა

დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება (2 ქულა):

- დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული;
- დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.

მოსაზრებების ადეკვატური ციტირება (3 ქულა):

- მოსაზრებების უმეტესობა ადეკვატურადაა ციტირებული;

- მოსაზრებების ნაწილი ადეკვატურადაა ციტირებული;
- მოსაზრებები არ არის ციტირებული, ან არაადეკვატურადაა ციტირებული.

პერსონაჟის ცვლილების ყველა ეტაპის სრულფასოვანი აღწერა (3 ქულა):

- დაძებნილი და გაანალიზებულია ქცევის მაგალითები, რომლებიც ახასიათებდა პერსონაჟს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ;

- დაძებნილი და გაანალიზებულია ქცევის მაგალითები, რომლებიც ახასიათებდა პერსონაჟს ცვლილებამდე, შემდგომ პერიოდზე კი საუბრობს სქემატურად ან საერთოდ არა აქვს გაანალიზებული;

- ანალიზი არაადეკვატურია, ვერ აფიქსირებს პერსონაჟის ცვლილებას, მხოლოდ ტექსტის პარაფრაზია.

ენობრივი ნორმების დაცვა (2 ქულა):

- იცავს საფეხურის/კლასის შესაბამის გრამატიკულ წესებს. დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა;

- დაშვებული შეცდომები 3-ზე მეტია.

#	კრიტერიუმი	3	2	1
1	დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება	X	დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.	დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.
2	მოსაზრებების ადეკვატური ციტირება	მოსაზრებების უმეტესობა ადეკვატურადაა ციტირებული.	მოსაზრებების ნაწილი ადეკვატურადაა ციტირებული.	მოსაზრებები არ არის ციტირებული, ან არაადეკვატურადაა ციტირებული.
3	პერსონაჟის ცვლილების ყველა ეტაპის სრულფასოვანი აღწერა	დაძებნილი და გაანალიზებულია ქცევის მაგალითები, რომლებიც ახასიათებდა პერსონაჟს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ.	დაძებნილი და გაანალიზებულია ქცევის მაგალითები, რომლებიც ახასიათებდა პერსონაჟს ცვლილებამდე; ცვლილების შემდგომ, პერიოდზე კი საუბრობს სქემატურად ან საერთოდ არა აქვს გაანალიზებული.	ანალიზი არაადეკვატურია, ვერ აფიქსირებს პერსონაჟის ცვლილებას, მხოლოდ ტექსტის პერიფრაზია.

4	ენობრივი ნორმების დაცვა	X	იცავს საფეხურის/ კლასის შესაბამის გრამატიკულ წესებს. დაშვებულია არაუმეტეს 3 შეცდომისა.	დაშვებული შეცდომები 3-ზე მეტია.
---	-------------------------	---	--	---------------------------------

გაკვეთილი 5

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ მე-7-კლასი

თემა: სიყვარული – (თემატური ბლოკი – ადამიანი და მისი ცხოვრება).

თემის (ადამიანი და მისი ცხოვრება – სიყვარული) შეჯამება.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები დამაჯერებელი არგუმენტებითა და ტექსტებიდან მოხმობილი მაგალითებით მსჯელობენ სასიყვარულო თემაზე სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებების მსგავსება-განსხვავებაზე.

საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგი:

ქართ.საბ.6. ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე;

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;

ქართ.საბ.8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

ცნება – მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა).

მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა

- სიყვარულზე შექმნილია განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- სხვადასხვა ეპოქაში (კულტურაში) შექმნილ ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს განსხვავებული დამოკიდებულებები/წარმოდგენები სიყვარულზე.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა

- რატომ წერენ მწერლები სიყვარულზე? / რატომაა სიყვარული ერთ-ერთი უმთავრესი თემა ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- რა მსგავსება-განსხვავებაა სიყვარულზე შექმნილ ტექსტებს შორის? რითია ისინი განპირობებული?

კომპლექსური დავალება/დავალებები

ანალიტიკური წერითი ნამუშევრების შექმნა. ამირან ჭიჭინაძის ორი მოთხრობის – „ცარცის წრისა“ და „სუფლიორის“ მთავარი პერსონაჟების (ლიკა/სალომე ; გუჯა/რეზიკო) შედარებითი დახასიათება (დახასიათებითი ესეს პრინციპების დაცვით);

ალტერნატიული ფორმის ტექსტის (მუსიკალური კლიპი, ვიდეო რგოლი ან პოსტერი) შექმნა სიყვარულის თამაზე შესწავლილი ნაწარმოებების მიმართ პირადი დამოკიდებულების წარმოსაჩენად.

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა

- სიყვარულზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (ქართ.საბ. 7, 8);
- სიყვარულზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა (ქართ.საბ. 6);
- სიყვარულზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7);

საგაკვეთილო აქტივობები

აქტივობა 1. მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს – პრეზენტაცია თემაზე: „ყველაზე შთამბეჭდავი ისტორია სიყვარულზე“ (სხვადასხვა ჯგუფი წარმოადგენს მათ მიერ შესწავლილი ნაწარმოებებიდან – „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ვეფხისტყაოსანი“, „სუფლიორი“ და „ცარცის წრე“ – ერთ-ერთის მიხედვით შექმნილ PP-პრეზენტაციას).

აქტივობა 2. თემაზე ყურადღების კონცენტრირების მიზნით მოსწავლეები უყურებენ ვიდეოკლიპს – „...სიყვარულს უშენებია“ და ექმნებათ ადეკვატური მოლოდინები შესჯამებელ თემასთან დაკავშირებით. ნაცნობი ინფორმაციის, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურების მიზნით მოსწავლეები ჯგუფებში იხსენებენ სხვადასხვა ცნებებს, ურთიერთობებს, რომლებიც სიყვარულის გრძნობას ეფუძნება, წერენ პაზლის ნაწილებზე და აწყობენ პაზლს გულის ფორმის დაჭრილი ფიგურებისგან.

აქტივობა 3. მასწავლებელი სვამს კითხვას:

- რატომ წერენ მწერლები სიყვარულზე?
- რატომაა სიყვარული ერთ-ერთი უმთავრესი თემა ყველა დროისა და კულტურის ლიტერატურასა და ხელოვნებაში?
- რა მსგავსება-განსხვავებაა სიყვარულზე შექმნილ ტექსტებს შორის?
- რამდენადაა ისინი განპირობებული ეპოქითა და ჟანრის თავისებურებებით?

მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს და მსჯელობისას იმონებენ მათ მიერ შესწავლილ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ განსხვავებული ჟანრის

ნაწარმოებებს. რის შემდეგაც ჯგუფებში ავსებენ ცხრილს და იხსენებენ მათ მიერ შესწავლილი ნაწარმოებების დაწერის დროს, ჟანრს, თემას და ამ თემასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემას, პრობლემის გადაჭრის გზას. ერთ-ერთი ჯგუფის წარმომადგენელი აცნობს თანაკლასელებს თავიანთ ნამუშევარს. სხვა ჯგუფები, საჭიროების შემთხვევაში, ასწორებენ და/ან აზუსტებენ წარმოდგენილ ინფორმაციას. შესაბამისობის ცხრილი მოსწავლეებს ეხმარება, გაამთლიანონ და ერთიანი წარმოდგენა შეიქმნან შესწავლილ თემაზე, მოახდინონ შესწავლილი თემების ორგანიზება.

აქტივობა 4. ნაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების საფუძველზე ცდილობენ მოცემული ინფორმაციის კლასიფიკაცია-კატეგორიზაციასა და გამთლიანებას. მასწავლებელი აკრავს ამბის პირამიდას. პირამიდის თითოეული საფეხურისთვის ეკრანზე/ფლიპჩარტზე შემდეგი მითითებებია ჩამოწერილი: 1. ნაწარმოების სათაური; 2. ორი სიტყვა, რომელიც ახასიათებს მთავარ პერსონაჟს; 3. სამი სიტყვა, რომელიც აღწერს გარემოებას; 4. ოთხი სიტყვა, რომელიც აღწერს პრობლემას და/ან რომლებიც დაკავშირებულია შესწავლილი ნაწარმოების თემატიკასთან/ გმირთან; 5. ხუთი სიტყვა, რომელიც გადმოსცემს პირველ მოვლენას; 6. ექვსი სიტყვა, რომელიც აღწერს მეორე მოვლენას; 7. შვიდი სიტყვა, რომელიც გადმოსცემს მესამე მოვლენას; 8. რვა სიტყვა, რომელიც პრობლემის შეჯამებას გამოხატავს.

თითოეული ჯგუფის ერთი წარმომადგენელი აცნობს თანაკლასელებს თავიანთ მიერ შედგენილ კოგნიტურ დიაგრამას – მოთხრობის (ამბის) პირამიდას. პასუხობენ თანაკლასელებისა და მასწავლებლის დამაზუსტებელ შეკითხვებს.

აქტივობა 5. მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას სიყვარულზე შექმნილი ტექსტების მიმართ. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს „ორმხრივ ჩანაწერთა დღიურის“ სქემებს. ორმხრივ ჩანაწერთა დღიური დაეხმარება მოსწავლეებს დღიურში შეტანილი ჩანაწერებით გამოხატონ საკუთარი განწყობა-დამოკიდებულებები ამა თუ იმ საკითხის/ მოვლენის/გმირის მიმართ. მოსწავლეები ჯგუფისთვის შეთავაზებული ნაწარმოებიდან იხსენებენ მათთვის ყველაზე შთამბეჭდავ/მნიშვნელოვან/ ემოციურ ეპიზოდს და ამოწერენ პირველ სვეტში, შემდეგ წერენ ჯერ კრიტიკულ და მერე ემოციურ კომენტარს. ჯგუფის წევრები ჯერ ერთმანეთს გააცნობენ საკუთარ ნამუშევარს და შემდეგ შეარჩევენ ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარს და აცნობენ თანაკლასელებს.

აქტივობა 6. სიყვარულის თემაზე შესწავლილი ნაწარმოებების შეჯამების მიზნით მოსწავლეები ავსებენ შეჯამების – განმარტებით ჩარჩოს. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს განმარტებითი ჩარჩოს ელემენტებს:

1. ცნება, რომელიც უნდა განიმარტოს;
2. დაჯგუფება – კატეგორია, რომელსაც ეს ცნება მიეკუთვნება;
3. მახასიათებლები – მახასიათებლები, რომლებიც მოცემულ ცნებას დაჯგუფებაში არსებული სხვა ცნებებისგან განასხვავებენ;
4. მცირე განსხვავებები – ობიექტების სხვა კლასები, რომლებიც მოცემული ცნების ქვეშ განლაგდებიან.

შემდეგ მასწავლებელი ურიგებს ბარათებს, რომელზეც ჩამონერილია განმარტებითი ჩარჩოს შეკითხვები:

1. სიყვარულის გამოვლენის რომელ ფორმაზე ვსაუბრობთ?
2. რომელ ზოგად ფასეულებებს ეფუძნება, თქვენი აზრით, განსხვავებული ჟანრისა და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ნაწარმოებები?
3. რა მახასიათებლებით განსხვავდება ქალვაჟური სიყვარულის ცნება განსხვავებული ჟანრისა და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებებში?
4. გარდა ქალვაჟური სიყვარულისა კიდევ რა თემებია ასახული თქვენ მიერ შესწავლილ თხზულებებში?

თხზულების სათაური	ჟანრი	დანერის დრო	ნაწარმოების მთავარი თემა	თემასთან დაკავშირებული პრობლემა	პრობლემის გადაჭრის გზა
თავფარავნელი ჭაბუკი -ხალხური					
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.					
ამირან ჭიჭინაძე – „სუფლიორი“.					
ამირან ჭიჭინაძე – „ცარცის წრე“.					

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ განმარტებითი ჩარჩოს ყველა შეკითხვაზე პასუხი მათ მიერ თემის (სიყვარული) ფარგლებში შესწავლილ თხზულებებშია მოცემული. მოსწავლეები ჯგუფებში პასუხს სცემენ კითხვებს და ამზადებენ შემაჯამებელ ტექსტს სიყვარულის თემაზე დანერული თხზულებების საფუძველზე. განმარტებითი ჩარჩოს მიზანია, წარმოადგინოს კონკრეტული ცნების განმარტება, ან მოახდინოს დაქვემდებარებული ცნებების იდენტიფიცირება. ჯგუფის წარმომადგენელი აცნობს კლასელებს განმარტებითი ჩარჩოს კითხვების საფუძველზე დანერულ შემაჯამებელ წერილობით ტექსტს.

აქტივობა 7. მასწავლებელი უბრუნდება გაკვეთილის მიზანს და სთხოვს მოსწავლეებს გაკვეთილი შეაფასონ სიტყვათა ჯაჭვით, დაამთავრონ ფრაზა: „ჩემთვის გაკვეთილი მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ ...“

პრეზენტაციის (საშინაო დავალების) შეფასების რუბრიკა

დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება (2 ქულა):

- დავალების პირობა ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული;
- დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.

დასაბუთებული მსჯელობა (3 ქულა):

- მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო არგუმენტებითა და ადეკვატურადაა გამყარებული ციტატებით;
- მსჯელობა ძირითადად დასაბუთებულია სათანადო არგუმენტებით, მაგრამ ყოველთვის არაა ადეკვატურად გამყარებული ციტატებით;
- მოსაზრებები არ არის დასაბუთებული. მსჯელობა არაა დამაჯერებელია.

ლოგიკური და თანმიმდევრული მსჯელობა (3 ქულა):

- მსჯელობა თანმიმდევრულად, აზრები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს;
- მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრულია, აზრები ყოველთვის ლოგიკურად არ ებმის ერთმანეთს;
- მსჯელობა არათანმიმდევრულია და ძირითადად არალოგიკური.

PP-პრეზენტაციის ფორმა და დიზაინი (2 ქულა):

- იცავს PP-პრეზენტაციის ფორმასა და დიზაინისთვის საჭირო ყველა წესს;
- არ იცავს PP-პრეზენტაციის ფორმასა და დიზაინისთვის საჭირო წესებს.

#	კრიტერიუმი	3	2	1
1	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	X	დავალების პირობა ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.	დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.
2	დასაბუთებული მსჯელობა	მსჯელობა დასაბუთებულია სათანადო არგუმენტებითა და ადეკვატურადაა გამყარებული ციტატებით.	მსჯელობა ძირითადად დასაბუთებულია სათანადო არგუმენტებით, მაგრამ ყოველთვის არაა ადეკვატურად გამყარებული ციტატებით.	მოსაზრებები არ არის დასაბუთებული. მსჯელობა არაა დამაჯერებელია.

3	ლოგიკური და თანმიმდევრული მსჯელობა.	მსჯელობს თანმიმდევრულად, აზრები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს.	მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრულია, აზრები ყოველთვის ლოგიკურად არ ებმის ერთმანეთს.	მსჯელობა არათანმიმდევრულია და ძირითადად არალოგიკური.
4	PP-პრეზენტაციის ფორმა და დიზაინი	X	იცავს PP-პრეზენტაციის ფორმასა და დიზაინისთვის საჭირო ყველა წესს.	არ იცავს PP-პრეზენტაციის ფორმასა და დიზაინისთვის საჭირო წესებს.

განმარტებითი ჩარჩოს შეფასების რუბრიკა

დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება (2 ქულა):

- დავალება ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული;
- დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.

კითხვებზე ადეკვატური და სრულყოფილი პასუხების გაცემა (4 ქულა):

- სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს 4-ვე შეკითხვას;
- სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს 3 შეკითხვას;
- სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს 2 შეკითხვას;
- სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს მხოლოდ 1 შეკითხვას.

შემაჯამებელი ტექსტი (4 ქულა):

- შემაჯამებელი ტექსტი სწორადაა აგებული აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება;
- შემაჯამებელი ტექსტი სწორადაა აგებული, აზრები თანმიმდევრულად ვითარდება, თუმცა შეინიშნება ლოგიკური მსჯელობის დარღვევის ერთეული შემთხვევები;
- შემაჯამებელი ტექსტი არასრულყოფილადაა შესრულებული, ხშირად დარღვეულია თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობა;
- შემაჯამებელ ტექსტში მსჯელობა არათანმიმდევრული და არალოგიკურია.

ენობრივი ნორმების დაცვა (2 ქულა):

- ძირითადად იცავს ენობრივ ნორმებს, დაშვებულია მხოლოდ 2-3 შეცდომა;
- დაშვებული შეცდომები 3-ზე მეტია.

#	კრიტერიუმი	4	3	2	1
1	დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება	X	X	დავალება ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული.	დავალება არ და/ან მეტნაკლებად ადეკვატურად აქვს გაგებული და გააზრებული.
2	კითხვებზე ადეკვატური და სრულყოფილი პასუხების გაცემა	სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს 4-ვე შეკითხვას.	სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს 3 შეკითხვას.	სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს 2 შეკითხვას.	სწორად პასუხობს განმარტებითი ჩარჩოს მხოლოდ 1 შეკითხვას.
3	შემაჯამებელი ტექსტი	შემაჯამებელი ტექსტი სწორადაა აგებული აზრები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ვითარდება.	შემაჯამებელი ტექსტი სწორადაა აგებული, აზრები თანმიმდევრულად ვითარდება, თუმცა შეინიშნება ლოგიკური მსჯელობის დარღვევის ერთეული შემთხვევები.	შემაჯამებელი ტექსტი არასრულყოფილადაა შესრულებული, ხშირად დარღვეულია თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობა.	შემაჯამებელ ტექსტში მსჯელობა არათანმიმდევრული და არალოგიკურია.
4	ენობრივი ნორმების დაცვა	X	X	ძირითადად იცავს ენობრივ ნორმებს, დაშვებულია მხოლოდ 2-3 შეცდომა.	დაშვებული შეცდომები 3-ზე მეტია.

გაკვეთილი 6

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ VII

თემა: ადამიანი და ბუნება. კავშირი ბუნებასთან. (მეორე თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება)

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: ვაჟა-ფშაველას „ხმელი ნიფელი“.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასებასა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

ქართ.საბ.5. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით).

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი გამოცდილების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.

მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება

ქართ.საბ.10. სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

ქართ.საბ.11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.

მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

ბუნებაზე შექმნილი ტექსტები გვეხმარება, გავიაზროთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა.

რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისაგან?

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.

ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 10, 11);

ბუნებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5, 11);

აქტივობა 1. საშინაო დავალების წარდგენა (3 წთ)

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება – სტრატეგია „ლექსიკური ერთეულებით ამბის შედგენა“ (5 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ტექსტში აღწერილი ამბავი ბუნების

კანონზომიერებას, ადამიანისა და ბუნების კავშირს შეეხება. შემდეგ მოკლედ ესაუბრება ვაჟა-ფშაველაზე, როგორც ბუნების ქომაგზე და ბავშვების დახმარებით გაიხსენებენ ბუნების თემაზე შესწავლილ მასალას წინა კლასებიდან. („შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მთის წყარო“, „ია“ და სხვ.)

აქტივობა 3. მოსწავლეთა გამოწვევის მიზნით გამოიყენებს „ლექსიკური ერთეულებით ამბის შედგენის“ აქტივობას. მასწავლებელი ტექსტიდან შეარჩევს 4-5 სიტყვას, რომლებიც ამოკრეფილია შეძლებისდაგვარად ზუსტი, ვარაუდების მისანიშნებლად, მაგრამ, ამავე დროს, არ ამჟღავნებს ნაწარმოების საიდუმლოს. მასწავლებელი ჩამოუნერსსიტყვებს დაფაზე(მაგალითად: ნიფელი, ტყე, გაზაფხული, მზე, კოდალა) და სთხოვს ამ სიტყვების გამოყენებით 5 წთ-ის განმავლობაში დაწერონ პატარა ამბავი და შეურჩიონ სათაური.

მოსწავლეები წერენ ინდივიდუალურად. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს (3-4) სურვილის მიხედვით დასხდნენ „საავტორო სკამზე“ და მთელი კლასის წინაშე წაიკითხონ შეთხზული ამბავი. მოსწავლეები სხდებიან და კითხულობენ , როგორც „ავტორები“, თანაკლასელები აჯილდოვებენ მათ ტაპით.

აქტივობა 4. (20 წთ.) შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ხმელ ნიფელს“ წაიკითხავენ ორიენტირებული კითხვის მეთოდით. ტექსტს წაიკითხავენ პაუზებით, (მაგალითად I პაუზა: „ყველას და, მათ შორის მეც, მიყვარს...ყურადღებას არ აქცევენ“; II პაუზა: „მხოლოდ ზამთრობით... უჩუმრად ცრემლსა ღვრის“; III პაუზა: „საბრალო ხმელი ნიფელი... შველას სთხოვდნენო“; IV პაუზა: „ზაფხულობით უფრო შესაბრალისია ხმელი ნიფელი კიდევ ახსოვთ იმისი სიდიადე“.) გამოთქვამენ ვარაუდებს. ამისათვის გამოიყენებენ ვარაუდების სქემას. მასწავლებელი ურიგებს ვარაუდების სქემას და უხსნის, როგორ უნდა იმუშაონ მასზე.

მონაკვეთები	როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაური			
I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
III მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
IV მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

მასწავლებელი წაუკითხავს მოთხრობის სათაურს: – „ხმელი ნიფელი“, – სთხოვს, დაფიქრდნენ და გამოთქვან ვარაუდი, რაზე იქნება საუბარი ამ ტექსტში. შემდეგ სთხოვს, რომ შეავსონ ცხრილის პირველი გრაფა – როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?

– და მეორე გრაფა: რატომ ფიქრობთ ასე? (ამ გრაფაში მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რა მინიშნება აქვთ საამისოდ.) ამის შემდეგ მოსწავლეები ნაიკითხავენ I ეპიზოდს. უნდა შეავსონ III გრაფა: „სინამდვილეში რა მოხდა?“

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გამოთქვან ახალი ვარაუდები, რა მოხდება შემდეგ ნაწილში? და რა მინიშნება აქვთ საამისოდ? ტექსტის მეორე ნაწილში განვითარებული მოვლენების შესახებ ახალი ვარაუდები I და II სვეტებში შეიტანონ. ასე გაიმეორებენ II -III -IV მონაკვეთების ნაკითხვის შემდეგ.

აქტივობა 5. ნაკითხული ტექსტის გააზრება-წვდომა. (8 წთ.)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ვინაა ამბის მთხრობელი მოთხრობაში?
- როგორ გვიხატავს გაზაფხულის მომხიბლავ სურათს ვაჟა-ფშაველა მოთხრობის დასაწყისში? ვაჟას როგორი დამოკიდებულება ჩანს ბუნებისადმი პირველ აბზაცში?
- სად დგას ხმელი წიფელი?
- როგორ გვიხატავს ვაჟა ხმელი წიფლის „პორტრეტს“?
- როგორი დამოკიდებულება აქვთ მისადმი სხვა ხეებს?
- როდის დაუახლოვდებიან „ცოტად თუ ბევრად“ სხვა ხეები ხმელ წიფელს?
- ვინ უამბობს მათ ზღაპარს „სიყვარულზე, სინამდევსა და სიცოცხლეზე“?
- როგორ ესობა გულში „ადგილის დედის“ სიტყვები ხმელ წიფელს და რა განცდა ეუფლება?
- ავტორის როგორი დამოკიდებულება ჩანს ხმელი წიფლისადმი მოთხრობის მეოთხე აბზაცში?
- როგორ ხატავს „ერთ დროს ამაყად გაბარჯულ“ წიფელს ვაჟა? როგორია მისი რეალური კონტრასტული სახე ?
- რატომ ვეღარ მიჰყვება ქარს ხმელი წიფელი სხვა ხეებივით ძველებურად?
- წელიწადის რომელ დროსაა უფრო შესაბრალისი ხმელი წიფელი? რატომ?
- როგორი დამოკიდებულება აქვს ხალხს ხმელ წიფელთან?
- რას ამბობს ავტორი უგუნურ ხეებზე, რომლებიც არ აფასებენ ხმელ წიფელს?
- როგორ ფიქრობთ, მოსწონს თუ არა ვაჟა-ფშაველას ახალგაზრდა ხეების ამპარტავანი დამოკიდებულება ხმელი წიფლისადმი? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

აქტივობა 6. (2 წთ) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეაჯამებს ნაკითხულ ტექსტს და გამოთქვამენ თავიანთ დამოკიდებულებას გაკვეთილისადმი გასასვლელი ბილეთებით. ავსებენ და ტოვებენ მასწავლებელთან მაგიდაზე. (გასასვლელი ბილეთები ანონიმურია).

აქტივობა 7. საშინაო დავალება. (2 წთ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადგინონ მოვლენათა ჯაჭვი მოთხრობის პირველი ნაწილის მიხედვით.


დაწერონ გამოხმაურება: რა შემიძლია ვისწავლო ხმელი წიფლისაგან;

გაკვეთილი 7

აქტივობა 1. საშინაო დავალების წარდგენა (5 წთ) მოსწავლეები (3-4 მოსწ.) მოხალისეობის პრინციპით ნაიკითხავენ წერით ნამუშევარს: „რა შემიძლია ვისწავლო ხმელი წიფლისაგან.“

აქტივობა 2. შემდეგ კოგნიტური სქემის სახით, მოვლენათა ჯაჭვის დახმარებით მოსწავლეები გადმოსცემენ მოთხრობის პირველი ნაწილის შინაარსს. (10 წთ)

მოვლენათა ჯაჭვის მაგალითი.



აქტივობა 3. მასწავლებელი ყოფს კლასს 4 ჯგუფად და სთხოვს შადგინონ ხმელი წიფლის უფლების დამცველი ნახატი/ პოსტერები. დრო: 5 წთ.

აქტივობა 4. მოსწავლეები გამოაკრავენ კედლებზე ნახატებს/პოსტერებს და მოაწყოებენ „გასეირნებას გალერეაში“, გაეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს. (3 წთ.)

აქტივობა 5. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ახალი გაკვეთილის თემას, რომ დღეს შეისწავლიან „ხმელი წიფლის“ მეორე ნაწილს. შემდეგ ერთ-ერთ

მოსწავლეს სთხოვს გამომეტყველებით წაიკითხოს მოთხრობაში ჩართული ლექსი. ასევე მთელ კლასს სთხოვს ინდივიდუალურად წაიკითხონ ლექსი და გააკეთონ მისი პარაფრაზი. (7 წთ.)

მასწავლებელი მათ სთავაზობს ცხრილს:

მონაკვეთი ტექსტიდან	ტექსტის პარაფრაზი

აქტივობა 6. დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი 3-4 მოსწავლეს აკითხებს შესრულებულ დავალებას.(3 წთ)

აქტივობა 7. (5 წთ.) ტექსტის გაგება-გააზრების მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა კითხვას სვამს ვაჟა-ფშაველა მოთხრობაში ჩართულ ლექსის პირველ სტროფში?
- იმსჯელეთ მწერლის შეხედულებაზე: „ათასს ცოცხალსა ბევრჯელა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.“
- რა ანუხებს ხმელი ნიფლის შემხედვარე პოეტს?
- როგორ გესმით, ლექსის ბოლო ორი ტაეპი : „ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი!“

აქტივობა 8. (5 წთ.) მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ვიდეო-კლიპის – „ხმელი ნიფელი“ – ფინალურ ეპიზოდს <https://www.youtube.com/watch?v=MfM4flg9lUA&t=49s>. სთხოვს ყურადღებით მოისმინონ და უპასუხონ კითხვებზე:

- როგორ დგას ხმელი ნიფელი, რაზე ფიქრობს, რა ანუგეშებს მას?
- გამოხატავს თუ არა ნაწარმოების იდეას ვაჟა-ფშაველა ტექსტში ჩართული ლექსით?
- თქვენი აზრით, რატომ დაწერა მწერალმა ეს მოთხრობა, რისი თქმა სურდა მას ჩვენთვის, მკითხველისათვის?

აქტივობა 9. საშინაო დავალება. შეადგინონ მოთხრობის მეორე ნაწილის მოვლენათა ჯაჭვი. დაწერონ ჩანახატი: „ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი!“

გაკვეთილი 8

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ VII

თემა: ადამიანი და ბუნება . კავშირი ბუნებასთან. (მეორე თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა , ახლის ძიება)

გაკვეთილის თემა: ალეკო შენგელიას „შველი“

მიზანი: მოსწავლე შეძლებს ბუნებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ადამიანის ტექსტების შესწავლა-გაანალიზებასა და ინტერპრეტირებას ნასწავლი ცნებებისა

და საკითხების გამოყენებით. მათ შეფასებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოსატყვას; იმსჯელებს, როგორი დამოკიდებულება ადამიანსა და ბუნებას შორის.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.საბ.1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება.

ქართ.საბ.2 ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა;

ქართ.საბ.6. ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება განსხვავებებზე;

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი გამოცდილების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.

მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.საბ.10. სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.საბ.11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.

ქართ.საბ.12. სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობა, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა.

- რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისაგან?
- რატომ და როგორ უნდა მივალწიოთ თანხმობას/ჰარმონიას ბუნებასთან?

შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.

ბუნებაზე შექმნილი განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა-გაანალიზება და ინტერპრეტირება ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით (**ქართ.საბ. 1, 2, 6, 7, 8, 9, 10, 11**);

ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (**ქართ.საბ. 7, 11**);

სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემაზე დაფიქრება, მათი მიზეზების გაცნობიერება; პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა (**ქართ.საბ. 12**).

აქტივობა 1. საშინაო დავალების წარდგენა (**5 წთ**)

აქტივობა 2. გამოწვევა (**5-7 წთ**). წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს ალექო შენგელიას ცხოვრებასა და შემოქმედებას. განწყობილების შესაქმნელად კლასს უჩვენებს ვიდეოკლიპს: <https://www.youtube.com/watch?v=mFmC-ym8l2I> ალექო შენგელია.

აქტივობა 3. (7 წთ.) შემდეგ მასწავლებელი სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, აცნობს მოსწავლეებს, რა საკითხს ეხება წასაკითხი ლექსი და სთხოვს შეავსონ სქემა, რისთვისაც მათ უნდა გაიხსენონ და პირველ გრაფაში ჩაწერონ ყველაფერი, რაც იციან, ან ჰგონიათ იციან შვლის შესახებ.

მეორე გრაფაში შეკითხვების სახით ჩამოაყალიბონ, რისი გაგებაც აინტერესებთ ამ ცხოველის შესახებ;

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 4 ჯგუფად, ურიგებს საინფორმაციო ტექსტებს შველზე და სთხოვს წაკითხვის შემდეგ შეავსონ მესამე გრაფა, რა ისწავლეს.

შველი (ლათ. *Capreolus*) — წყვილჩლიქოსანი ცხოველი ირმისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 150 სმ, მამლის მასა 55 კგ აღწევს, დედალი მომცროა. შველს აქვს მსუბუქი, მოხდენილი სხეული, გრძელი და წვრილი ფეხები, მოკლე კუდი, რქები 3 (ზოგჯერ 4) მორჩით (მამალს), დედალი ურქოა. გავრცელებულია ევროპაში, წინა აზიის დასავლეთით, კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, აგრეთვე სამხრეთ ციმბირის მთებში, მონღოლეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. უპირატესობას ანიჭებს მეჩხერ ფოთლოვან ან შერეულ ტყეებსა და კარგად განვითარებულ ქვეტყეს. იკვებება მცენარეული საკვებით. მაკეობა 9 თვემდე გრძელდება, შობს 1-2 ნუკრს, რომლის სხეული სწორხაზოვნად განლაგებული თეთრი ხალებითაა დაფარული. შველი ნადირობის ობიექტია. კარგად ეგუება ადამიანისაგან შეცვლილ ბუნებრივ პირობებს. მომრავლება მრავალ ადგილას არის შესაძლებელი და დიდი სარგებლობა მოაქვს. იყენებენ ხორცს, ტყავსა და რქებს. შველის ქვესახეობებიდან საქართველოში გვხვდება ევროპული შველი (ლათ. *Capreolus capreolus*) და ციმბირული შველი(ლათ.*Capreolus pygargus*). (მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია)

პარალელურად ეკრანზე გადის ვიდეოკლიპი შველზე: <https://www.youtube.com/watch?v=UzxZ8vg7Wlo&t=71s> (რათა ვიზუალურადაც აღიქვან)

აქტივობა 4. შემთხვევითობის პრინციპით ერთ-ერთი ჯგუფიდან ერთი მოსწავლე წარმოადგენს ნამუშევარს. დანარჩენი ჯგუფები დაამატებენ განსხვავებულ დეტალებს. (3წთ)

აქტივობა 5. ტექსტის კითხვა-გააზრება.(8 წთ.)

მასწავლებელი გამომეტყველებით უკითხავს ალექო შენგელიას ლექსს- „შველი“.

შემდეგ მოსწავლეები თავად კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.

ამოიკითხეთ როგორ არის აღწერილი ბუნების სურათი ლექსის დასაწყისში?

- რა მოლოდინს ბადებს ასეთი დასაწყისი?
- საკუთარი სიტყვებით გადმოცით, როგორ არის ლირიკული გმირის გარემო აღწერილი ლექსის მეორე მონაკვეთში?
- რა ქმნის მოულოდნელობის ეფექტს ლექსის მეორე მონაკვეთის ბოლო სტრიქონებში?

- რომელი სიტყვებითაა გადმოცემული შვლის სატკივარი ლექსის მესამე მონაკვეთის დასაწყისში?
- აღწერეთ როგორაა გადმოცემული ლექსში ადამიანისა და ბუნების თანხმობა/ჰარმონია?
- თქვენი აზრით, რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ-მხატვრულ საშუალებებს? (აფლურტულდნენ ბალახები... მამშვიდებდა შველი)
აქტივობა 6.(3 წთ) მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ორმხრივ ჩანაწერთა ცხრილებს და სთხოვს ამოიწერონ ერთ-ერთი მონაკვეთი, რომელმაც მათი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და შავსონ ცხრილი.

ციტატა	კრიტიკული კომენტარი	ემოციური კომენტარი

აქტივობა 7. კლასიდან შემთხვევითობის პრინციპით 3-4 მოსწავლე წარმოადგენს ნამუშევარს. (3წთ)

(სასურველია, წარმოდგენილი იყოს სავადასხვა მონაკვეთის ანალიზი.)

აქტივობა 8. დისკუსია – „მიკროფონი“. (6 წთ) (მოსწავლეები იცავენ შემოთავაზებულ სადისკუსიო წესს – ამ შემთხვევაში, ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც მიკროფონს გადასცემენ (მიკროფონი შეიძლება იყოს პირობითად ფანქარი, კალმისტარი და ა.შ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ ლექსს და იმსჯელონ, როგორ ეხმარება ბუნებაზე შექმნილი ტექსტები (ამ შემთხვევაში ლექსი „შველი“ და წინა გაკვეთილებზე ან წინა წლებში შესწავლილი სხვა ნაწარმოებები.) ადამიანს გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.

მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს, რომლებსაც გაამყარებენ შესაბამისი არგუმენტებით.

დისკუსიის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს და ჩამოწერს იმ მთავარ, აქტუალურ საკითხებს, რაც გამოიკვეთა დისკუსიის მსვლელობისას. მასწავლებელი მხოლოდ ადასტურებს მათ აზრს და ეხმარება მოსწავლეებს აზრის სწორად ფორმულირებაში.

აქტივობა 8. საშინაო დავალება. (2 წთ) დაისწავლონ ალექო შენგელიას ლექსი „შველი“ ზეპირად. დაწერონ წერიტი ნამუშევარი: გააგრძელეთ/ ან შექმენით ახალი ამბავი ლექსი „შველის“ მიხედვით.

გაკვეთილი 9

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ VII

თემა: ადამიანი და ბუნება . კავშირი ბუნებასთან. (მეორე თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა , ახლის ძიება)

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ტყის შვილები“.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს ბუნებაზე შექმნილი განსხვავებული

ტიპისა და ჟანრის ტექსტების შესწავლა -გაანალიზებასა და ინტერპრეტირებას ნასწავლი ცნებებისა და საკითხების გამოყენებით. გაეცნობა პერსონაჟის წარმოდგენის კიდევ ერთ ხერხს – პერსონაჟის მეტყველებას. შექმნიან „მკითხველის თეატრს“.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.საბ.5. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით).

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი გამოცდილების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.

ქართ.საბ.8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს)

მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.საბ.9. ენობრივ – გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

მიმართულება: სტრატეგიების გამოყენება.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ქართ.საბ.10. სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

ქართ.საბ.11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.

მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

- ავტორები/ ხელოვანები წარმოგვიდგენენ ბუნებას სხვადასხვა კუთხიდან, განსხვავებული საშუალებების (სიტყვების; ბგერების; ფერების, ხაზების, ფორმების) გამოყენებით.
- ბუნებაზე შექმნილი ტექსტები გვეხმარება გავიაზროთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.
- ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემოიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.

თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა.

- რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისაგან?
- რას გვასწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე შექმნილი ტექსტები? შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.
- ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (ქართ.საბ. 7, 10, 11);

- ბუნებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ქართ.საბ. 5,8,9,10, 11);

აქტივობა 1. კლასის ორგანიზება: მისალმება, დასწრების შემოწმება, გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა; შეფასების რუბრიკებისა და შესაბამისი კრიტერიუმების შეხსენება. (2 წთ)

აქტივობა 2. გამონვევის ფაზა. საშინაო დავალების (განმამტკიცებელი) შემოწმება.

შემთხვევითობის პრინციპით, 2-3 მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევრს: გააგრძელეთ/ ან შექმენით ახალი ამბავი ლექსი „შველის“. მიხედვით. (3წთ).

აქტივობა 3. წინარე ცოდნის გააქტიურება. (3 წთ.) მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს რევაზ ინანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ წინა კლასში შესწავლილი რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებები („ეთერი“, „მუხა“, „მირანდუხტ“, „უკულმა დაჭედილი“ და სხვა). მოსწავლეები იხსენებენ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს და პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს.

აქტივობა 4 (2 წთ). მასწავლებელი გადადის გაკვეთილის შემდეგ ფაზაზე და აღნიშნავს, რომ პერსონაჟის სრულყოფილად დახატვისათვის საკმარისი არაა მხოლოდ მისი პორტრეტისა ხასიათის გადმოცემა. ასევე მნიშვნელოვანია მისთვის დამახასიათებელი მეტყველება. სვამს სადისკუსიოდ კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ადამიანის (პერსონაჟის) ხასიათის ამოცნობა მისი გამონათქვამების, ხმის, ინტონაციის, სახის გამომეტყველების მიხედვით?

- თუ მიუბაძავთ ვინმეს მეტყველებისათვის? რა მიზნით ბაძავდნენ მას?

აქტივობა 8. დისკუსია – „მიკროფონი“. (3 წთ) (მოსწავლეები იცავენ შემოთავაზებულ სადისკუსიო წესს – ამ შემთხვევაში, ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც მიკროფონს გადასცემენ (მიკროფონი შეიძლება იყოს პირობითად ფანქარი, კალმისტარი და ა.შ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს იმსჯელონ, შეიძლება თუ არა ადამიანის (პერსონაჟის) ხასიათის ამოცნობა მისი გამონათქვამების, ხმის, ინტონაციის, სახის გამომეტყველების მიხედვით, ასევე, თუ მიუბაძავთ ვინმეს მეტყველებისათვის და რა მიზნით.

მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს, რომლებსაც გაამყარებენ შესაბამისი არგუმენტებით.

დისკუსიის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს და ჩამოწერს იმ მთავარ, აქტუალურ საკითხებს, რაც გამოიკვეთა დისკუსიის მსვლელობისას. მასწავლებელი მხოლოდ ადასტურებს მათ აზრს და ეხმარება მოსწავლეებს აზრის სწორად ფორმულირებაში.

აქტივობა 9. (5 წთ.) მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს გამომეტყველებით კითხვაზე. იგი აღნიშნავს, რომ გამომეტყველებითი კითხვის დროს, ისევე როგორც, საერთოდ, მეტყველების დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხმას. იგი მოლაპარაკის თავისებური „პორტრეტი“. ხმის უღერადობის მიხედვით

შეიძლება ამოვიცნოთ მოსაუბრეთა ემოციები (განცდები, გრძნობები) და მათი ურთიერთდამოკიდებულება.

შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ ცნობილი რომაელი ორატორის, ციცერონის გამონათქვამი სახელმძღვანელოში. დააკვირდნენ: „როგორ აისახება ემოციები ადამიანის ხმაში“ და ინდივიდუალურად შეავსონ ცხრილი.

სიტუაცია	ემოციები	ხმა
1. მოსაუბრეები ჩხუბობენ 2. 3. 4.	მრისხანება გალიზიანება	აღგზნებული მკვეთრი წყვეტილი

აქტივობა 10. შემდეგ მასწავლებელი მოასმენინებს ვიდეოკლიპს, – რევაზ ინანიშვილის „ტყის შვილები“ – სთხოვს ყურადღებით მოისმინონ, დააკვირდნენ პერსონაჟთა ხმას. (9 წთ.) <https://www.youtube.com/watch?v=e2OpH6hWwwE>

აქტივობა 11. (4 წთ.) დაყოფს კლასს ჯგუფებად (ჯგუფში იმდენი მოსწავლე გაერთიანდება, რამდენი მოლაპარაკე პერსონაჟიცაა კონკრეტულ ეპიზოდში), უნდა მოამზადონ სცენარი გამომეტყველებითი კითხვისთვის. მარკერით მონიშნონ საკუთარი სიტყვები მოთხრობაში.

აქტივობა 12. შემდეგ თითოეული ჯგუფი წარმოადგენს მოთხრობის ერთ ეპიზოდს და წაიკითხავს გამომეტყველებით.(თითოეულ ჯგუფს 3 წთ. სულ -12 წთ.)

აქტივობა 13. საშინაო დავალება. (2 წთ.) მოამზადონ აფიშები მკითხველის თეატრისათვის.

დაგჯუფდნენ და მოამზადონ სცენარი მკითხველის თეატრისათვის. მომდევნო გაკვეთილზე წარადგინონ საკუთარი ნამუშევარი კლასის წინაშე. შეაფასონ წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკის მიხედვით.

ბაკვეთილი 10

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/ VII

თემა: ადამიანი და ბუნება. კავშირი ბუნებასთან. (მეორე თემატური ბლოკი – სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება).

გაკვეთილზე შესასწავლი ტექსტი: ადამიანი და ბუნება – თემის შეჯამება.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასებასა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება

ქართ.საბ.5. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით).

ქართ.საბ.7. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი გამოცდილების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.

მიმართულება: ენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყენება

ქართ.საბ.10. სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

ქართ.საბ.11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.

მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა.

- ბუნებაზე შექმნილი ტექსტები გვეხმარება გავიაზროთ ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანის პასუხისმგებლობა ბუნების მიმართ.
თემატური საკვანძო შეკითხვების დასმა.
- რა და როგორ შეიძლება ვისწავლოთ ბუნებისაგან?
შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.
- ბუნებაზე შექმნილი ტექსტების შეფასება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (**ქართ.საბ. 7, 10, 11**);
- ბუნებაზე საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მიზნით ტექსტების შედგენა ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (**ქართ.საბ. 5,11**);

აქტივობა 1. (2 წთ.)კლასის ორგანიზება: მისალმება, დასწრების შემოწმება, გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა; შეფასების რუბრიკებისა და შესაბამისი კრიტერიუმების შესხენება.

გამოწვევის ფაზა.

საშინაო დავალების შემოწმება.

აქტივობა 2. (10 წთ.) მოსწავლეების ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრების – პრეზენტაციას – „ამეტყველებული ბუნებ“ სხვადასხვა ჯგუფი წარმოადგენს მათ მიერ შესწავლილი განსხვავებული ნაწარმოების – „ხმელი ნიფელი“. „იას უთხარით ტურფასა“; „შველი“; „ტყის შვილები“ მიხედვით ამეტყველებული მცენარის, ქვის კლდის, მდინარის, წვიმის წვეთისა და სხვა, – **PP-პრეზენტაციას.**

აქტივობა 3. (2 წთ)პოზიტიური განწყობის შექმნისა და ყურადღების კონცენტრირების მიზნით მოსწავლეები უყურებენ ვიდეოკლიპს – „ადამიანი და ბუნება“, (<https://www.youtube.com/watch?v=rJ6oLL1qVfl>) რათა შეექმნათ ადეკვატური მოლოდინები შესჯამებელ თემასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის გახსენება

შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება.

აქტივობა 4. მოსწავლეები ჯგუფებში იხსენებენ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ბუნების მიმართ. რა განცდა უჩნდებათ ბუნების წიაღში გასულთ; რას აკეთებენ, რა მოსწონთ და აშინებთ. რას ხედავენ, ესმით და რას შეიგრძნობენ. **5 წთ-ის** განმავლობაში შეადგენენ პოსტერს, რომელიც ასახავს მათ კავშირს ბუნებასთან.

შემდეგ ჯგუფიდან ერთი წევრი წარმოადგენს მათ მიერ დამზადებული პოსტერის პრეზენტაციას.

აქტივობა 5. (10 წთ) მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანი არ უფროთხილდება ბუნებას. აბინძურებს, ანადგურებს. შემდეგ სთავაზობს ანიმაციას: „რა ზიანს აყენებს ადამიანი გარემოს“ <https://www.youtube.com/watch?v=ZRzwo96F7-0> . სთხოვს ისაუბრონ „მიკროფონის“ გამოყენებით იმაზე, თუ რამდენად სწორია ადამიანის მხოლოდ მომხმარებლური, ხარბი დამოკიდებულება ბუნების მიმართ.

- როგორ არის ეს პრობლემა დახატული ვაჟა-ფშაველას, ალექო შენგელიასა და რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებებში?

აქტივობა 6. (2 წთ) მასწავლებელი დასძენს: ალბათ შეგინიშნავთ, რომ ბუნებაზე შექმნილ ნაწარმოებებში მწერალი ცოცხალივით წარმოგვიდგენს ბუნებას. მწერალი კი არ გვარიგებს, ჭკუას კი არ გვასწავლის, რომ არ უნდა მოვკლათ შველი, არ უნდა მოვჭრათ ჯანსაღი ხე, არ უნდა დავაბინძუროთ წყალი, არამედ განსაკუთრებულ მხატვრულ ხერხს მიმართავს თავისი მოთხრობის პერსონაჟების გასულიერებითა და ამეტიყველებით. სთხოვს გაიხსენონ ეს მხატვრული ხერხი და განმარტონ.

აქტივობა 7. (5 წთ.) მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად. ყველა ჯგუფი მუშაობს სხვადასხვა ტექსტზე. მასწავლებელი სთხოვს ამოიწერონ გაპიროვნების ნიმუშები და წარმოადგინონ.

აქტივობა 8. (4 წთ) მოსწავლეები მოძებნიან ტექსტში გაპიროვნებას, ამოიწერენ ფლიფჩარტზე და გააკეთებენ პრეზენტაციას.

შემდეგ კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან გაკვეთილის თემას და შეაჯამებენ.

აქტივობა 9. საშინაო დავალება (2 წთ.) წერიტი ნამუშევარი: „ბუნების საოცრება“. აღწერონ ყველაზე გასაოცარი საგანი ან მოვლენა, რომელიც ბუნებაში უნახავთ. აღწერონ რით იყო მათთვის გასაოცარი და განსაკუთრებული.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმი	ქულა
	პრეზენტაცია გამართულია და სრულყოფილადაა აწყობილი	1
	აზრი მკაფიოდ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული	2
	მსჯელობა მრავალფეროვანია, მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი არგუმენტებით.	2
	მსჯელობა ლოგიკურად გამართული და თანამიმდევრულია.	2
	პრეზენტატორი ფლობს აუდიტორიას, იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია)	1
	ეფექტიანად იყენებს თვალსაჩინოებას.	1
	იცავს დროის ლიმიტს.	1

ლიტერატურის სახელმძღვანელოს ზოგიერთი პარაბრაფის ენობრივი მასალის კომენტარები

როგორც უკვე ითქვა, თქვენ წინაშეა სახელმძღვანელო, რომელშიც ქართული მასალის მიხედვით VII კლასის დონეზე ხორციელდება ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების პრინციპი, თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი აუცილებელ პირობათაგანი. ეს იმას გულისხმობს, რომ ენობრივი ამოცანები სახელმძღვანელოში დასმულია შესასწავლი ტექსტებიდან გამომდინარე და იმ ამოცანებთან მიმართებით, რაც ამ ტექსტების მხატვრულსა თუ ფუნქციონალურ რეალიზებას უკავშირდება. ამ გზით, ლიტერატურული და ენობრივი საკითხების ავტონომიურობასთან ერთად, მათ დიფერენცირებულ შესწავლასთან ერთად, მოზარდი რწმუნდება, რომ ტექსტი – როგორც აზრობრივი კონსტრუქცია – და მისი განმარტებელი ენა ერთი განუყოფელი მთლიანობაა და ტექსტის შექმნის ამოცანის გადწყვეტა უშუალოდ ენობრივ გამოცდილებასა და ძიებას უკავშირდება.

ამდენად, ეს არის ენის არა სისტემური (იზოლირებულ-გრამატიკული, რასაც ენის ცალკე გამოყოფილ სახელმძღვანელოში გთავაზობთ), არამედ შემოქმედებითი სწავლება, რომელიც უპირველესად ენობრივი გრძნობის განვითარებას, დედაენასთან კავშირის შემოქმედებითი იმპულსების გაღვივებას, ენობრივი თვალსაწიერის გაფართოებას ემსახურება.

სახელმძღვანელოში ტექსტები, ტრადიციისამებრ, ადაპტირებული სახით არის წარმოდგენილი; ოღონდაც ეს არ გულისხმობს იმას, რომ ლიტერატურული ტექსტები “ტერილურ” სალიტერატურო ქართულად არის გარდაქმნილი. ჯერ ერთი, პერსონაჟთა მეტყველებაში შესაბამისი სტილისტიკური ელემენტები შენარჩუნებულია; მეორეც, ზოგჯერ მიზანმიმართულად არის დატოვებული მწერლის (ძირითადად – კლასიკოსთა) ენის ის თავისებურებები, რომლებიც შესაბამის მოვლენებზე (არქაულზე, დიალექტურზე და სხვ.) საუბრის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

უნდა ითქვას ისიც, რომ სწავლების ამ საფეხურისათვის აუცილებელი გარკვეული სისტემური გრამატიკული საკითხები (სახელები: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი) ცალკე არის წარმოდგენილი, როგორც სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენელი ნაწილი.

სიტყვით საჩვენებელი მაგალითი

ეზობე (ძვ. წ. VI საუკუნე) – ბერძენი მეიგავე, ლეგენდის თანახმად, კოჭლი მონა.

ა) ლექსიკა.

თანამედროვე მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკის გაღარიბება პირველ რიგში კვალს აჩნევს ისეთ აქტიურ ლექსიკას, როგორიც ამ შემთხვევაში მეტყველების გამომხატველი ზმნებია. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ თქვა და უთხრა ზმნების სინონიმები 20 ერთეულს აჭარბებს, მაგრამ მათგან ბევრი აქტიურად აღარ გამოიყენება.

მოცემული სავარჯიშო მიზნად ისახავს, გავააქტიუროთ ეს ცოდნა, სულხან-საბას ტექსტების მაგალითზე მივცეთ უკეთესი ვარიანტის შერჩევის საშუალება. კერძოდ, მითითებულ კონტექსტში ასეთი შეიძლება იყოს (თანამიმდევრობით): ჰკითხა, მიუგო, უპასუხა, სთხოვა, ჩამოსძახა.

შეადარეთ ეს პასუხები მოსწავლეების შერჩეულ ვარიანტებს და მსჯელობის

საგნად აქციეთ თითოეულის არჩევანის შესაძლებლობა.

ანალოგიურ სავარჯიშოდ შეგიძლიათ აიღოთ რომელიმე სხვა დიალოგი.

ბ) გრამატიკა.

ეს რუბრიკა შეიცავს რამდენიმე ამოცანას.

პირველი ამოცანა, თავისი ორი ქვეპუნქტით, მიზნად ისახავს, თავისთავად გრამატიკულ მოთხოვნასთან ერთად, წარმოაჩინოს ენობრივი მასალის მნიშვნელობა მხატვრული ამოცანის გადანყვეტაში. აქ, ცხადია, იგულისხმება ის, რომ აღწერით სურათს ზედსართავი სახელების სიმრავლე ქმნის, ხოლო ზმნები მოვლენათა განვითარებას, დინამიკას ემსახურება. თუ რომელი ჭარბობს იგავებში, ეს უკვე მხოლოდ მონაცემების ანალიზით არის გადანყვეტი.

რაც შეეხება თვით მითითებულ ზმნათა და ზედსართავ სახელთა გამოკრებაკლასიფიკაციას, შეგიძლიათ ასეთი სქემა გამოიყენოთ:

ზმნა			ზედსართავი
წარსული	აწმყო	მომავალი	

რუბრიკის მეორე პუნქტში დასმული ამოცანა (და ამ ტიპის სხვა სავარჯიშოები) მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩაბმას მოითხოვს მის გადანყვეტაში. კერძოდ, აქ არასწორი ფორმების მოძიება-გასწორება კი არ არის საქმე, არამედ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ფორმათა შინაარსობრივი შესატყვისების ძიება, რაც უმეტეს შემთხვევაში ძნელი განსახორციელებელი არ არის.

ამგვარი სავარჯიშო ააქტიურებს როგორც ძველი ქართულის ორგანულ აღქმას, ისე ორთოგრაფიული ჩვევების ქმედითად შემონახვას.

მართლწერა.

ვინაიდან მოსწავლეები უკვე იცნობენ სხვათა სიტყვის გამოყენების პრობლემას, აქ არსებითად შესამოწმებელი ტესტია მოცემული და მისი “.მოხსნა“ ძირითად სწორი პუნქტუაციის დასმაზეა დამოკიდებული.

რა შეუძლიათ ლექსებს?

ბესიკ ხარანაული (დაიბადა 1939 წელს) – პოეტი, თავისუფალი ლექსის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართულ პოეზიაში. მინიჭებული აქვს სახელმწიფო (1992 წ.) და რუსთაველის (2006 წ.) პრემიები.

შოთა ჩანტლაძე (1928 – 1969) – პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. საზოგადოება შოთა ჩანტლაძის შემოქმედებას მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული კრებულებით გაეცნო.

ომა წიკლაური – ხალხური მთქმელი ხევსურეთის სოფელ როშკიდან. XX ს-ის 50-იან წლებში გადასახლებული იყო ქედში (დედოფლისწყაროს რაიონი), იქვე გარდაიცვალა.

ტიციან ტაბიძე (1895 – 1937 წ.წ.) – პოეტი, “.ისფერი ყანების“ ლიტერატურული ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გატაცებული იყო პუბლიცისტიკით, ქმნიდა პროზაულ მინიატურებს, წერდა წერილებს ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე, დაინტერესებული იყო თეატრალური ხელოვნებით, აწყობდა პოეზიის საღამოებს, თარგმნიდა საყვარელ

პოეტთა ნაწარმოებებს, ეწეოდა ქართული მწერლობის პოპულარიზაციას. პოეტი შეენირა 1937 წლის რეპრესიებს.

ა) ლექსიკა.

სინონიმების ამოცნობისა და გამოყენების პრობლემას მოსწავლეები სწავლების ადრეული პერიოდებიდანვე იცნობენ. მაგრამ ზუსტი და არაზუსტი (სტილისტიკური) სინონიმების გარჩევის საკითხი მათ წინაშე არსებითად არ მდგარა. ეს საკითხი, საზოგადოდ, მარტივი არ არის და იმასაც კი ამბობენ, ენაში ზუსტი სინონიმები არ არსებობს, რადგანაც ენას ასეთი “.იჭარბე“ არ სჭირდებაო.

ამ საკითხის განსახილველად შემოთავაზებული ინფორმაციის გარდა, მთავარი მაინც ის არის, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ მითითებულ ტექსტებში სასურველი სინონიმების მოძიება. აქ გადამწყვეტი არ არის, შეძლებენ თუ არა ისინი იმ კუთხის ზუსტად დასახელებას, რომელსაც ეკუთვნის ესა თუ ის სინონიმი.

ბ) სიტყვათა სიჭარბე ლექსში.

სად პოეზიის სისხარტე და ლაკონიზმი და სად “.იტყვათა სიჭარბე“? მაგრამ პოეტური ამოცანის გადწყვეტა ზოგჯერ საჭირო სიტყვების ხელგაშლილად ანუ ჭარბად გამოყენებასაც გულისხმობს, მაგალითად, პოეტური ენის სიმდიდრით გამოირჩევიან – შოთა რუსთაველი, ლადო ასათიანი, გიორგი ლეონიძე...

სიტყვათა სიჭარბე ლექსში არცთუ იშვიათად ლექსის საზომით ჩანს განპირობებული. ამისი მაგალითები მოიძებნება ზემოდასახელებულ მწერალთა შემოქმედებაში. როგორც ამბობენ, ლექსი, თუ ის ჭეშმარიტია, ბევრ რამეს იტანს და, მათ შორის, ისეთ შემთხვევებსაც, რომელნიც არსებითად გრამატიკულ სიჭარბეს გულისხმობს. მაგალითად, დამონებული მივიმღერი ფორმა.

შეგიძლიათ დამატებით მოიძიოთ და შესთავაზოთ ამგვარი ზმნები: მოჩურჩულებს, დანიკნიკებს, გადმოჩნრიალებს...

გ) ეს საინტერესოა

ამ რუბრიკაში დასმული საკითხები, ლიტერატურათმცოდნეობითი შინაარსისა, ძალზე მოკლედ გვთავაზობს ცნობებს ლექსისა და რითმის ისტორიის შესახებ.

შეგიძლიათ დამატებით ამოცანად შესთავაზოთ რითმებზე დაკვირვება სახელმძღვანელოში შეტანილი ლექსების მიხედვით.

დ) სინტაქსი და პუნქტუაცია.

ამ რუბრიკის I პუნქტში განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები წარმოდგენილია მიმართვის სახით. პოეზიაში მიმართვა ხშირად გამოიყენება და ამ შემთხვევაში სწორი პუნქტუაცია ერთ-ერთი ნიშანია წერიტი კულტურისა. ამავე დროს, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის, რომ სასვენი ნიშნების დასმა ლექსში არცთუ ადვილი ამოცანაა, ვინაიდან ლექსის რიტმი, ტერფებად და მუხლებად დაყოფა არ ემთხვევა ფრაზის სინტაქსურ დანაწევრებას.

რაც შეეხება სასვენი ნიშნების დასმას თეთრ ლექსში, ამ შემთხვევაში, მოყვანილი ლექსის გარდა, შეიძლება მივმართოთ გიომ აპოლინერის პატარა კრებულს (თარგმანი გივი გეგეჭკორისა). აპოლინერი პრინციპულად არ იყენებდა სასვენ ნიშნებს და შეგიძლიათ ამაში მონაფეები დამატებით გამოსცადოთ.

ყურადღება: ყოველი მომდევნო სტრიქონი უნდა დასრულდეს წერტილით; დანარჩენ შემთხვევებში კი მძიმეები, სამუშაო მიზნით, დამოუკიდებლად დასვან მოსწავლეებმა.

წიგნი თუ კომპიუტერი

უმბერტო ეკო (დაიბადა 1932-2016 წ.წ.) – ცნობილი იტალიელი მეცნიერი და მწერალი. მსოფლიო აღიარება მოუტანა რომანმა “.არდის სახელი“. უმბერტო ეკო იკვლევს ენის ბუნებას, ლიტერატურას ხელოვნებას. მისი წიგნები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიცემა.

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

რუბრიკაში არსებითად ორი ამოცანაა დასმული.

1. პირველი ამოცანა ეხება სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებას, რაც ზმნებში უფრო იშვიათ და თავისებურ მოვლენას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მეტია ფრაზეოლოგიური (ხატოვანი) შინაარსი. ეს კარგად ჩანს თვით ისეთ არამხატვრულ ტექსტში, რომლიდანაც საილუსტრაციო მაგალითებია (მოკლავს, აწრთობს, დაიპყრო) ამოღებული. აქ პირველ ზმნასთან დაკავშირებით ლოგიკური ოპერაცია (არის ჩატარებული (კითხვების ფორმით) იმის დასამტკიცებლად, რომ “.ოკლავს“ ზმნა არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული. ანალოგიური მსჯელობის ორგანიზებაა საჭირო დანარჩენი ორი ზმნის პირდაპირ მნიშვნელობებზე დაყრდნობით (წრთობა – რკინის გაფოლადება, დაპყრობა – რაიმეს დაუფლება). აქ შეიძლება სხვა ზმნების მაგალითებიც მოვიშველიოთ (მაგ. გააცოცხლებს, ააყვავებს და სხვ.).

2. ერთი ძირის სიტყვები მოკვდავი, მომაკვდავი და უკვდავი იმით არის საყურადღებო, რომ მათ, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებასთან ერთად, პარონიმულობაც ახასიათებს. კერძოდ, მოზარდები ხშირად ურევენ ერთმანეთში სიტყვებს მოკვდავი და მომაკვდავი. როდესაც ისინი დამოუკიდებლად იპოვიან ამ სიტყვების განმარტებას, მათი განსხვავებაც უკეთ დაამახსოვრდებათ.

ამავე თემას თავისებურად აგრძელებს ამოცანა სათაურით “.ეიგრძენით დედა-ენის მაღლი“. რას ნიშნავს ენის გრძნობის განვითარება? იმას, რომ ადამიანმა ერთი და იმავე აზრის გამომხატველი ორი ან მეტი ფრაზიდან გამომსახველობითი თვალსაზრისით უკეთესი შეარჩიოს. ამჯერად ეს ეხება ზმნების ეფექტურობას. კერძოდ, სრულიად აშკარაა, რომ აქ აზრის უშუალოდ გამომხატველი ზმნები უფრო ნაკლებ გამომსახველია, ვიდრე ხატოვანი ან მთქმელის დამოკიდებულების გამომხატველი (საორიენტაციოდ: მოცემულ წყვილებში ასეთებია – უფრთხის, გაუღვივოს, გადმოსცვივდეს, მოკალათდება, უნდობლობით ეკიდებოდნენ... ანუ ამ სიტყვათა შემცველი ფრაზები).

ბ) სინტაქსი.

ფორმალურად ამოცანა სინტაქსურია, რამდენადაც მასში მისათითებელი სიტყვებისა და კავშირების აუცილებელ სტრუქტურულ მიმართებაზეა საუბარი, მაგრამ ეს ამოცანა დასმულია შინაარსობრივი კუთხით; კერძოდ, წინ არის წამოწეული ის, თუ რა შინაარსის გამოხატვას ემსახურება ეს სტრუქტურები. ძირითადი განსხვავება, რომელიც აქ არის აქცენტირებული, არის ის, რომ შესაძლებელია რთული წინადადებით მხოლოდ მოვლენების (რაიმე ორი მოქმედების) უბრალო დროული თანამიმდევრობა იყოს გამოხატული (მაგ. “.ერ წიგნები ჩაალაგა, შემდეგ კი ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო“); უფრო ხშირად კი ეს მოქმედებები ურთიერთით არის განპირობებული, ანუ მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირია (მაგ.: “.კოლაში იმიტომ ვერ წავიდა, რომ სიცხემ აუწია“).

ამოცანის მიზანი ამგვარ შემთხვევებზე დაკვირვება და მათი სწორად აგების ჩვენების გამომუშავებაა.

გ) მართლწერა.

ეს საკითხი, თავისთავად, ორთოგრაფიული არ არის. ის, როგორც ამოცანა, ტექსტის აგების ტექნიკას ეკუთვნის. კერძოდ, აქ აქცენტი კეთდება იმაზე, როგორ გამოვიყენოთ ჩართული კომენტარი და რა ფორმალური საშუალებით (სასვენი ნიშნებით) ჩავრთოთ ის ტექსტში. ფრჩხილები ამ შემთხვევაში თითქმის შეუცვლელია.

საორიენტაციოდ – მითითებულ თემაზე “.ომენტარებიანი“ თხზულების დასაწყისი შეიძლება ასეთი იყოს:

“.ლასში დირექტორი შემოვიდა და დამრიგებელი გააფრთხილა, რომ მოსწავლეებმა სკოლის ფორმები უნდა შეიძინონ. მან (დირექტორმა) აღნიშნა, რომ ისინი (სკოლის ფორმები) მხოლოდ ცენტრალურ უნივერსიტეტში (ანუ – “.ბილისში“) იყიდება, მან ისიც თქვა, რომ ჩვენ (ე. ი. მოსწავლეებს) ეს კეკლუცობის (მისი სიტყვით, “.რომანეთისთვის თვალების დაბრმავების“) საშუალებას მოგვისპობს...

ბალადა – ლექსად გადმოცემული ამბავი

“.ავფარავნელი ჭაბუკის“ ერთ მეტად საინტერესო პარალელს – “.ეროს და ლეანდროსს“ – მასწავლებელი გაეცნობა “.იზანტიური მწერლობის ქრესტომათიის“ I ტომში (1994 წ.) – მთარგმნელი ოლღა ბერიძე.

ა) გრამატიკა.

ნასახელარი ზმნების წარმოების მოდელი – ობ სუფიქსით მეტად პროდუქტიულია და ეს ამ შემთხვევაშიც ჩანს. როგორც ხედავთ, აქ გვერდი აქვს ავლილი – ობდა დაბოლოების დაშლის ამოცანას, ვინაიდან ამ მიმართულებით საკითხის წაყვანა დასმულ ამოცანას უმიზნოდ გაართულებდა. მიზანი კი ასეთია: ერთ-ერთი სიტყვანარმოებითი პოტენციის ჩვენება.

ბ) მართლწერა.

უკვე საკმაო მაგალითები დაგროვდა იმისათვის, რომ გარკვეული გრამატიკული დარღვევები ლექსის ენის თანამდევ მოვლენად დავინახოთ. რაც მთავარია, ლექსში ამგვარი ფორმების გასწორებაც უმეტესად არ ხერხდება. ამიტომაც უნდა მივმართოთ მეორე გზას: ასეთი შემთხვევები გამოვიყენოთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ამა თუ იმ ფორმის მართლწერა ყურადღების მიქცევას მოითხოვს. მათგან ზოგი უფრო ფართო ორთოგრაფიული პრობლემაა (მაგ. უგლეჯავდა) და ამისთვის სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიხმოთ.

გ) პუნქტუაცია.

სასვენი ნიშნების დასმა ლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტუაციური სავარჯიშოა, ვინაიდან ლექსის რიტმი ხშირად არის მიზეზი სასვენი ნიშნების არასწორი დასმისა. კერძოდ, ამის მიზეზი ის არის, რომ ლექსში ორგვარი რიტმული დანაწევრება ედება ერთმანეთს: სალექსო და სინტაქსური. მაგ.: “.რთი ავსული ბებერი / ვაჟისთვის ავსა ლამობდა“ სალექსო რიტმის თვალსაზრისით ორ მუხლს შეიცავს (იხ. გამყოფი ხაზი), მაგრამ სინტაქსურად ის ერთი მთლიანობაა. ამდენად, გამყოფი ხაზის ადგილას მძიმის დასმა შეცდომა იქნებოდა.

ამგვარი მაგალითების გამოყენება, რაც შეიძლება, რეგულარული უნდა იყოს.

ბუნების სურათები

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

ლექსიკური ამოცანა უპირველესად დასმულია „მელი ნიფლის“ ტექსტს ნამძღვარებულ ლექსიკონთან დაკავშირებით. კერძოდ, აქ ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ მწერლის ენაში, საერთოქართულ ლექსიკასთან ერთად, დიალექტური ლექსიკაც ვლინდება და ტექსტის აღქმა ბევრად არის დამოკიდებული ამ მასალის მართებულ გაგებაზე. ეს კი უპირველესად ამგვარი ლექსიკის საერთო ლექსიკისაგან გამოყოფას მოითხოვს, რათა კონტექსტისა თუ სპეციალური ლექსიკონების დახმარებით დადგინდეს მათი მნიშვნელობა.

რუბრიკა „ს საინტერესოა!“ დიად დადასტურებითი ნაწილაკის წარმომავლობას შეეხება. ეს თავისთავად საინტერესო ინფორმაცია შეიძლება დავუკავშიროთ ადამიანის ქვეშაირიტებასთან დამოკიდებულების ეტიკურ ასპექტს, ვინაიდან ამ ნაწილაკით გამოხატული დადასტურებითი პასუხი არსებითად ღვთის სახელით დაფიცებას გულისხმობს: „იდ არს, ღმერთო, სახელი შენი!“

ბ) გრამატიკა.

ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი თვისება კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობისა მსაზღვრელ-საზღვრულის დღევანდელისაგან განსხვავებული ბრუნებაა. ვაჟა-ფშაველას მოთხრობის ტექსტში ამგვარი მაგალითები სწორედ იმ მიზნით არის „ენახული“, რომ მოსწავლეებმა მათზე დაკვირვების გზით გაააქტიურონ შესაბამისი ბრუნებისა და მართლწერის საკითხები.

გ) პუნქტუაცია.

მოცემული ორი ვარიანტიდან მეორეა სწორი. მთავარია, მოსწავლეებს შემოწმება შეეძლოთ: თუ წინადადება ჩართულია, მისი ამოღების შემდეგ „ამთლიანებული“ წინადადება გამართული უნდა იყოს. ეს კი პირველ შემთხვევაში შეუძლებელია: „ხვა ხეები კი დატვირთულნი დგანან“.

სიმღერებად ქცეული ლექსები

მედია კახიძე (1933 – 2006) – პოეტი, მთარგმნელი. პირველი ლექსები დაიბეჭდა 1950 წელს, ლექსების წიგნი – 1955 წელს. გამოცემული აქვს არაერთი სალექსო კრებული.

დათო მაღრაძე (დ. 1962 წ.) – პოეტი, პენკლუბის (მწერალთა საერთაშორისო გაერთიანების) ქართული ცენტრის პრეზიდენტი. 2005 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ა) გრამატიკა

აქ ლექსში გამოყენებული გამოცანის მოქნილი ფორმულის („კეცე, ვკეცე, ვერ დაკეცე“) საფუძველზე დასმულია „რული-უსრული“ ასპექტური ოპოზიციის საკითხი და ამგვარი ცოცხალი მასალის გამოყენებით არის წარმოდგენილი ზმნისწინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის საკითხი. თუ ბავშვები თვითონაც მოინდომებენ ასეთი „ამოცანების“ შედგენას, გონებამახვილობასთან ერთად, ასპექტის წარმოდგენილი მექანიზმის არსს უფრო ღრმად ჩასწვდებიან.

ბ) მართლწერა

რუბრიკა ორ ამოცანას მოიცავს: პირველ რიგში დასმულია ტირეს ფუნქციის, როგორც წინადადების გამოტოვებული წევრის აღმნიშვნელის, მეტად მოქნილი გამოყენება პოეზიაში და დასმული კითხვები, რის ადგილს იკავებს ეს ნიშანი მოყვანილ სტროფში და სიტყვის განმარტებისას, ცხადია “.რის“ მეშველი ზმნის გამოტოვებას გულისხმობს. ხოლო რაც შეეხება მურმან ლებანიძის ლექსებს, მათში ტირეს გამოყენების სრულიად თავისებური შემთხვევა გვხვდება, აქ ის რიტმული პაუზის ადგილს იკავებს და მას ერთგვარი მხატვრული ფუნქცია უნდა მივანეროთ. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ სწორედ რიტმულ საზღვარზე არის ტირეთი გაყოფილი მთლიანი სიტყვა: **ნითელ-ფეხება**, რაც რუბრიკის მეორე მონაკვეთშიც არის დამატებითი კითხვით გამყარებული. რაც შეეხება დარღვევებს ლექსში, მისი მიზეზი არაერთგვაროვანია: პირველ შემთხვევაში ამისი მიზეზი ლექსის საზომია (მარჯვენს, რით), მეორეში კი რითმის მოთხოვნა (მხარამდი).

გ) ციტატისა და პერიფრაზის წარმოდგენის დროს დასმულია ფრიად საჭირო პრაქტიკული ამოცანა: როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ციტატა და პერიფრაზი და, რაც მთავარია, როგორ გამოიყენონ ის მოსწავლეებმა ისე, რომ ყოველგვარი გაუგებრობისაგან თავი დაიზღვიონ.

ჩემი ოჯახი

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებამისაქცევია ის ინფორმაცია, რომელიც ლექსიკონის თავისებურებებთან არის დაკავშირებული; კერძოდ, ლექსიკონებში ყველაზე ფართო გამოყენება აქვს ტერმინთა შემოკლებებს, რომელთა ცოდნაზე დიდად არის დამოკიდებული ლექსიკონის სწორად გამოყენება. აუცილებელია მიუთითოთ ისიც, რომ ლექსიკონებს, ჩვეულებისამებრ, ახლავს შემოკლებათა განმარტება და თუ რამდენიმე ბავშვს ამ მონაცემებს ამოვაკრებინებთ, სამუშაო უფრო ცოცხალი და საინტერესო გამოვა.

ფრაზეოლოგიზმების ბლოკში შემოდის ოთხში ამოღება და ყურმოჭრილი მონა. ფრაზეოლოგიზმთა დიდ ნაწილს წარმოშობის მეტად საინტერესო ისტორია აქვს, დაკავშირებული ტრადიციებთან და რწმენა-წარმოდგენებთან. მოცემული ფრაზეოლოგიზმები ამისი ნიმუშია. აქვე არის ტექსტში ფრაზეოლოგიზმების დამოუკიდებელი ძიების ამოცანა, რაც საკმაოდ რთულია, ვინაიდან ფრაზეებზე გულდასმით და კვალიფიციურ დაკვირვებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია არაერთი შეცდომა, მაგრამ აქ არსებითია ამ მიმართულებით დაკვირვება-ძიება და მოპოვებული მასალა კლასში მუშაობის დროს გაიცხრილება.

ბ) გრამატიკა.

ზმნის საწყისის თემა აქ პირველად შემოდის პრაგმატული ასპექტით – როგორ გამოიყენება ის ლექსიკონში, როგორც ზმნის ათეულობით ფორმის შინაარსობრივად გამაერთიანებელი ერთეული. მოცემული ცხრილი, რომლის გაზრდაც შეგიძლიათ, საშუალებას იძლევა მოსწავლემ დამოუკიდებლად აწარმოოს ფორმები.

გ) მართლწერა.

აქ „ართლწერა“ ფართო მნიშვნელობით არის რუბრიკის სათაურად შემოტანილი, სინამდვილეში საკითხი ეხება გარკვეული სასვენი ნიშნების (ბრჭყალების) გამოყენებას პერსონაჟის ფიქრის გადმოსაცემად. ეს ხერხი მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ და დააკვირდნენ პირდაპირი ნათქვამისა და ამგვარი ფრაზების მსგავსებასა და განსხვავებას.

ჩემი სკოლა

მერაბ ბერძენიშვილი (დაიბადა 1929 წ.) – მოქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1975 წ.). მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებებია: „უსთაველი“ (1956), „ავით გურამიშვილი“ (1965), „ედეა“ (1968), „იორგი სააკაძე“ (1971), „უზა“ (1971), „იდეაც დაიბრუნებინა“ (1975), „ავით აღმაშენებელი“ (1996) და სხვ.

მოგონებაში („ამნაშავე დასჯილია“) ნახსენებია ქართული ფეხბურთის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – თბილისის „ინამოსა“ და იუგოსლავიის „არტიზანის“ შეხვედრა. ეს მატჩი გაიმართა II მსოფლიო ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ – 1946 წლის 11 აგვისტოს.

ა) გრამატიკა.

1. იმ სახელების ბრუნება, რომლებიც ძირითადად მსაზღვრელის როლში გვევლინება, როგორც ცნობილია, ორგვარ სურათს გვიჩვენებს: მსაზღვრელად წარმოდგენისას ნაწილობრივ იბრუნება, ხოლო თუ არსებითი სახელის როლს ასრულებს, ისევე იბრუნება, როგორც მსგავსი არსებითი სახელი; მეტიც, რიცხვის ფორმებიც კი ეწარმოება.

ამოცანა მიზნად ისახავს ამ ორგვარი შემთხვევის გარჩევას ტექსტზე მუშაობის დროს და ისეთი უჩვეულო ფორმების ახსნას, როგორცაა „რები“ და მისთ.

2. ამავე თემას უკავშირდება კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება არსებითთან ერთად. ამ შემთხვევაში თავს იჩენს არსებითთან შეთანხმების მთელი რიგი თავისებურებანი, რაც ქართული მართლწერის ერთ-ერთ მტკივნეულ უბანს წარმოადგენს. შესაბამისი სქემისა და პრაქტიკული ამოცანის კიდევ ერთხელ წარმოდგენა მიზნად ისახავს შესაბამისი ჩვევების კიდევ ერთხელ ჩამოყალიბება-განმტკიცებას.

შესაძლებელია, მითითებულის მსგავსი სქემა ნაწარმოებიდან მაგალითების გამოსაკრებად საშინაო დავალების სახითაც მივცეთ:

კუთვნილებითი ნაცვალსახელი	რიცხვითი სახელი	ზედსართავი სახელი

ბ) სინტაქსი.

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეთანხმების ის საკითხი, რომელიც წინა ბლოკში უკვე დაისვა, თავისებური კუთხით წარმოადგენს კრებითობის შინაარსის

ისეთი სახელების გამოყენებას, რომლებიც არა მორფოლოგიურად (ნიშნით), არამედ შინაარსობრივად გამოხატავენ სიმრავლეს და ამის გამო შესაბამის სახელებსა და ზმნებს მხოლობითის ფორმით შეიწყობენ. ესეც ორთოგრაფიის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

გ) მართლწერა.

ქართული მართლწერის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად საკონტროლებელი უბანი – ეს არის თემის ნიშანთა გაჩენა ზმნათა გარკვეულ ჯგუფებში და შესაბამისი ცვლილებები საწყისებში. როგორც ჩანს, ამგვარ შემთხვევებს რაც შეიძლება ხშირად უნდა შევეხოთ, რომ შესაბამისი ჩვევა მოსწავლეებში საბოლოოდ განმტკიცდეს.

პერსონაჟის პორტრეტი...

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია “აცია-ადამიანის?!“ მხოლოდ რამდენიმე თავი (ისიც შემოკლებით), რომელთა გაგებაც VII კლასელ მოსწავლეებს ხელენიფებათ (სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგენლების აზრით, მოთხრობის სრული ტექსტი, მასში დასმული რთული პრობლემებითურთ, სკოლის ზედა საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს).

პერსონაჟისა და მისი საცხოვრებელი გარემოს ერთობლიობაში მოსააზრებლად მასწავლებელს შეიძლება გამოადგეს ერთი ბრძნული გამონათქვამი, რომელიც დიდ ქრისტიან ლიბანელ მწერალს ჯიბრან ჰალილ ჯიბრანს ეკუთვნის: “.დამიანის სახლ-კარი მისივე სხეულია, ოღონდ ბევრად უფრო დიდი“.

“ახალისო დავალების“ რუბრიკაში ჩართული იტალიელი მხატვრის არჩიმბოლდოს (XVI ს.) მიერ შექმნილი ერთი ნამუშევრის მიხედვით ლუარსაბის ზეპირი პორტრეტის შექმნა ბავშვებს სილალეს, შემოქმედებით თავისუფლებას მიანიჭებს (სახელმძღვანელოს პილოტირების პროცესში მოსწავლეებმა ამ თემაზე საინტერესო ნახატები შექმნეს).

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

რუბრიკა ორი დამოუკიდებელი ამოცანისაგან შედგება:

1. პირველი ნაბიჯები ლექსიკონის შესადგენად. დასმული ამოცანა საკმაოდ რთული და შრომატევადია; ის პირველად დაისმის და საკმაოდ დიდ პედაგოგიურ შინაარსს შეიცავს. ტექსტზე მუშაობა თავისთავად გულისხმობს ლექსიკონის გამოყენების ჩვევების გამომუშავებას, მაგრამ აქამდე ის მხოლოდ შესაბამისი სიტყვის მოძებნას მოითხოვდა. ამგვარად კი მოსწავლე აქტიურად უნდა ჩაებას სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენაში. საქმე ის არის, რომ სიტყვათა დიდი წილი პოლისემიურია, ანუ სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობას გამოავლენს. ამისი გაუთვალისწინებლობა შეცდომის საფუძველი შეიქმნება. მოცემულ სქემაში ამოცანაა ის, რომ მოსწავლემ ორი და მეტი მნიშვნელობიდან ამოარჩიოს ის, რომელიც ზუსტად შეესაბამება ილიასეულ კონტექსტში გამოყენებულს. (სწორი პასუხები: შეხედულება – 1; ჭკვიანი – 1; გვერდი – 1; ქეიფი – 2).

2. ნიშან-თვისებათა გამომხატველი სიტყვების – ზედსართავების – შესარჩევად გამიზნული ამოცანა თავისთავად მარტივია, მხოლოდ არსებითი და ზედსართავი სახელების შესაბამისობის მოძებნას მოითხოვს. მაგრამ ანალოგიური ამოცანის შედგენა სხვა პასაჟის გათვალისწინებით მოსწავლეთა ძალების უფრო მეტად მობილიზებას შეუწყობს ხელს.

ბ) გრამატიკა.

ნაზმნარ ზედსართავ სახელებზე ანუ მიმღობებზე დაკვირვება და შესაბამისი მასალის მოძიება მიზნად ისახავს, ჯერ ერთი, იმ მექანიზმის გაგებას, რომლითაც ზმნა სახელის ფორმით მოგვევლინება (უკვე რამდენჯერმე ვნახეთ, რომ ასეთი მიმღობები ძალიან აქტიური ელემენტებია “.ქონებლობის“ გამომხატველი რთული სიტყვების წარმოსაქმნელად), მეორეც, მნიშვნელოვანია ამგვარი ფორმების შინაარსი, როგორც მოქმედების შედეგის წარმომდგენი სიტყვებისა.

“.ვიმატი კითხვა“ პასუხად გულისხმობს იმას, რომ “.კეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“ ვერ მოგვცემს დაკეცილი სიტყვას, რადგან ვერ გამოორიცხავს ამას.

გ) მართლწერა.

აქ თავმოყრილია თითქმის ყველა ის შემთხვევა, რომლის დროსაც “.იმრავლე“ ფორმით (ნიშნებით) კი არა, არამედ შინაარსობრივად არის გამოხატული და ქართულ ენაში ასეთ შემთხვევაში მათთან შეწყობილი სახელიც და ზმნაც მხოლოდითი ფორმით იქნება წარმოდგენილი. ამ ორთოგრაფიული ამოცანის აქტუალობას ამჯერად XIX საუკუნის კლასიკოსებისათვის, კერძოდ – ილიასათვის, დამახასიათებელი შინაარსობრივი შეთანხმების წესი განაპირობებს. მოყვანილ სავარჯიშოებში ეს კარგად ჩანს. ანალოგიური შეცდომები მოსწავლეთა ნაწერებშიც ხშირად დასტურდება, ამიტომაც თემა მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

ლიტერატურული პარალელი...

ალფონს დოდე (1840 – 1897) – ფრანგი მწერალი. ა. დოდეს მსოფლიო აღიარება მოუტანა ნაწარმოებებმა: “.არტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“, “.ერილები ჩვენი ნისქვილიდან“, “.რშაბათობით მონათხრობი ამბები“ და სხვა მოთხრობებმა და ნარკვევებმა.

ა) ლექსიკა.

რუბრიკის ეს ბლოკი არსებითად უკავშირდება მართლწერისა და მართლმეტყველების ერთ ფრიად გავრცელებულ შემთხვევას – ცალკეული სიტყვების არაზუსტ გამოყენებას ან გარკვეული ფრაზების გაუმართლებელ შერევას (კონტამინაციას), რის სავალალო მაგალითსაც დღეს წარმოადგენს “.ადლობას მოუხდის“ და მისთ. ამავე დროს, ამგვარ ფრაზებზე მუშაობა პირდაპირ უკავშირდება სტილისტიკის ამოცანას.

ბ) სიტყვანარმოება.

ეს თემა კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსწავლეებს ყველაზე გავრცელებული მექანიზმების სუფიქსების (-ოსან, – იან) არსებობას; ამავე დროს, აქ არსებითია ამ წარმოების ირონიის მიზნით გამოყენება ბოლო ფრაზაში.

გ) სინტაქსი-სტილი.

პირველ ორ მონაკვეთში სტილისტიკურად გამართული ვარიანტის შერჩევა თუ შედგენა ამოცანად დასახული და ამგვარი სამუშაო, როცა სათანადო მასალა გვაძლევს ამის საშუალებას, ყოველთვის აქტუალურია. რაც შეეხება ამ რუბრიკის მე-2 პუნქტს, აქ ვუბრუნდებით უკვე განვილილ მასალას და “.არტარენის“ ტექსტის საფუძველზე ვეძებთ “.იტორიკული შეძახილისა“ და ჩვეულებრივი ძახილის წინადადების გარჩევის გზებსა და ხერხებს.

დ) პუნქტუაცია.

მრავალწერილი ზოგჯერ იმაზე მეტს ამბობს, რასაც თვით ტექსტი და ამ „ატოვებული სათქმელის“ გაგრძელებაც საკმაოდ დიდი ცთუნების შემცველია. ამიტომაც ამ შემთხვევაში ყურადღება გაამახვილეთ არა მრავალწერილის ტექნიკურ ფუნქციაზე, არამედ მის შინაარსობრივ მხარეზე.

ასევე, ორწერილის გამოყენების ამოცანა დასმულია არა ჩვეულებრივი, არამედ განსაკუთრებული კუთხით: ის ამჯერად ჩამოთვლას კი არ ემსახურება, წინა წინადადებაში მოკლედ გამოთქმული აზრის გავრცობასა და განვითარებას.

ამით ეს ორი ამოცანა გარკვეულად ერთმანეთსაც უკავშირდება.

მკითხველის თეატრი

ამ პარაგრაფის არსებითი დანიშნულებაა, მოსწავლეთა გავარჯიშება გამომეტყველებით კითხვაში.

ა) პერსონაჟის ხასიათის ენობრივი შტრიხები. ეს შესიტყვება იმიტომ არის მოულოდნელი, რომ შტრიხი „აზს“ გულისხმობს და ის აქ გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული, ვინაიდან პერსონაჟის ენობრივი „ახის“ შექმნას უკავშირდება.

ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით მოყვანილია საბა ჩხიკვის გამონათქვამები და მათ საფუძველზე ჩხიკვის „ორტრეტის“ დასახატად შემოთავაზებულია ანტონიმურ წყვილთა ტესტი, რომელთა შერჩევითაც უნდა მივიღოთ ის შვიდი ნიშანი, რაც საბას ბუნებას დაგვანახებს (კერძოდ, ამ მონაცემების მიხედვით, ის არის: მოხუცი, მშვიდი, კეთილი, მომთმენი, ინტერესიანი, ირონიული, სამართლიანი).

გაითვალისწინეთ ის, რომ პერსონაჟის ენობრივ მახასიათებლებზე დაკვირვება ამზადებს ნიადაგს სწორი გამომეტყველებითი კითხვისათვის, ანუ გარკვეული გარდასახვისათვის, რაც II პუნქტშია ხაზგასმული. ამდენად, ამ პარაგრაფის ძირითადი მიზანი – მოსწავლეთა სამეტყველო ჩვევების განვითარება – ენობრივი მასალის წინასწარი დამუშავებით არის განმტკიცებული.

ბ) ლექსიკა.

რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ჯერ ერთი, არსებითია მათი ჯგუფების წარმოდგენა და მოთხრობის თავისებურებიდან გამომდინარე იმაზე მითითება, რომ საკუთარ სახელთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნადირფრინველთა სახელებს, მეორეც, საკუთარ სახელებში არცთუ იშვიათად არის გამოხატული შესაბამისი ნიშან-თვისებები (გარეგნობა, ფერი, ხასიათი...). ამ ასაკის ბავშვები უკვე ხალისით აკვირდებიან ამგვარ სახელთა და მეტსახელთა ბუნებასა და წარმომავლობას.

გ) მართლწერა.

ამოცანა მიზნად ისახავს ფუძედრეკად ზმნათა ფორმანარმოების გარკვეულ ტენდენციებზე დაკვირვებას. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ სქემა ახალი ფორმებით განავრცოთ.

როგორ ვიკითხოთ სასწავლო და

საინფორმაციო ლიტერატურა

შოთა ძიძიგური (1911 – 1994) – ენათმეცნიერი, აკადემიკოსი. იკვლევდა ქართული ენის დიალექტებს, სტილის საკითხებს. დღემდე დიდი ინტერესით იკითხება მისი “.ართული ენის თავგადასავალი“, “.ენათმეცნიერო საუბრები“, “.იტყვის ცხოვრება“.

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

წარმოდგენილი ლექსიკოლოგიური ბლოკი ეხება სიტყვათა სემანტიკური შეხამებისა და ზუსტი ფრაზეოლოგიის საკითხებს, რაც არსებითად ენობრივ გამოცდილებას, აქტიურ უნარ-ჩვევებს ეფუძნება და ამავე მიმართულებით – ჩვევების განმტკიცების მიზნით – მოითხოვს მუდმივ მუშაობას.

პასუხებისათვის: ა) მოდულება (ყავის, ჩაის, რძის, ბურღულის), ადულება (ჩაის, რძის, წყლის), მოხარშვა (ხორცის, ნაბლის, კარტოფილის, ბალახის ძირების); ბ) ყავის გამოყენება; გ) ენა ამოიდგა; ფეხი აიდგა.

ბ) გრამატიკა.

უნახაობის გადმოცემის ორგვარი შესაძლებლობა (ზმნის ფორმების და ნაწილაკის მეშვეობით) გარკვეულად უკავშირდება ტექსტის სტილის საკითხს და ამიტომაც ამ მონაცემებზე დაკვირვებას პრაქტიკული მიზანდასახულება აქვს.

რუბრიკის მეორე მონაკვეთში შემოდის ჩართული სიტყვები და გამოთქმები და მას პუნქტუაციის პრობლემაც უკავშირდება.

მაგრამ საკითხი, რომელიც ამ სავარჯიშოს პირობად არის დასმული, თქვენს ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ამგვარ ელემენტებს (“.ართულებს“) საგანგებო ფუნქცია, დანიშნულება ენიჭება შესაბამისი ტექსტის კონსტრუირების თვალსაზრისით. თუ თქვენ ამოკრებილ მასალაში გვერდიგვერდ განიხილავთ ჩართულებიან და მათ გარეშე წარმოდგენილ ფრაზებს, აშკარად დაარწმუნებთ მოსწავლეებს, რომ მოლაპარაკის დამოკიდებულება და ნება ხშირად სწორედ ამ ჩართულ ელემენტებზეა დამყარებული.

გ) სტილი.

ეს არის მცირე პრაქტიკული ამოცანა, რომელიც პირველ რიგში მოზარდთა ცნობილი “.ენისაგან“ – ტავტოლოგიისაგან თავის დაზღვევას ისახავს მიზნად. შესაძლებელი ვარიანტები: “.ერძენი ფილოსოფოსები პირველები იყვნენ, ვინც ამ საკითხით დაინტერესდა და სცადა დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა დასმულ კითხვაზე“. “.რავინ იცის, პირველად ვინ დაიწყო ყავის გამოყენება. ამის შესახებ არაბებს შექმნილი აქვთ შემდეგი იგავი“.

რისთვის წარენ მიმზარებს?

ნიკო ბაგრატიონი (ბური) (1868 – 1933 წ.წ.) – ქართველი დიდგვაროვანი, ბაგრატიონების მუხრანბატონთა შტოს წარმომადგენელი. თავისი ფათერაკებიანი თავგადასავალი ნიკო ბაგრატიონმა აღწერა წიგნში “.ურებთან“. ნიკო ბურის თავგანწირვისა და ვაჟკაცობის ფაქტებს მრავალი უცხოური ჟურნალი და გაზეთი გამოეხმაურა.

ა) ლექსიკა.

ამ რუბრიკით მოცემულია, დაახლოებითობის გამოხატვის საშუალებები. ტექსტიდან მოყვანილი “სი კაცი ვიქნებოდით” – ასევე შეიძლება გადმოიციეს: “.ახლოებით ასი კაცი ვიყავით”; “.ითქმის...”; “.ავარაუდოდ...”; “.სიოდე...”

მეორე მონაკვეთში ყურადღება გამახვილებულია ავტორისეულ კომენტარებზე (“ართვებზე”) მემუარულ ტექსტებში, რომლებშიც სუბიექტური დამოკიდებულებები, საზოგადოდ, დიდ როლს თამაშობს. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ დამოუკიდებლად მოიძიონ ტექსტში შესაფერისი მასალა, შემდეგ კი აქტიურად შეაჯერონ ეს მონაცემები ერთმანეთთან.

ბ) გრამატიკა.

ქცევის ზმნური ფორმებით კუთვნილებითი შინაარსის გამოხატვა მოსწავლეებისათვის, ასე თუ ისე, ცნობილია. ამჯერად მათ საშუალება ეძლევათ ერთხელ კიდევ დააკვირდნენ მათი გამოყენების შემთხვევებსა და მონაცვლეობის წესს პირების მიხედვით.

ისტორიული პოემა

აკაკი წერეთლის “.ორნიკე ერისთავი“ VII კლასის სახელმძღვანელოში ჩართული ერთადერთი ვრცელი ტექსტია.

შეიძლება ტექსტის სიდიდემ მოსწავლეებს ყურადღება გაუფანტოს, ცოცხალი შთაბეჭდილება ერთგვარად გაუნელოს. მასწავლებელს დროული ჩართვით, აქცენტების სწორი დასმითა და გადანაწილებით ამგვარი საფრთხის თავიდან აცილება არ უნდა გაუჭირდეს.

I ნაწილი

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

პოემაში გამოყენებული სახუმარო ლექსები ანუ ზმნები ომონიმური რითმებით არის განწყობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სარიტმო ერთეულები ლექსიკური ომონიმები კი არ არის (მაგალითად, ისეთი, როგორიცაა: ბარი “.აბლობი ადგილი” – ბარი “.ამუშაო იარაღი”), არამედ შედგენილობით ურთიერთდამთხვეული სიტყვები: სულელო – სულ ელო, მასხარაო – მასხა რაო. ამგვარი შედგენილი რითმები, სარიტმო ოსტატობის გარდა, სიტყვათა აზრობრივ თამაშსაც გულისხმობს.

მომდევნო მონაკვეთები შეეხება “.არბის შეხრის“ მსგავს ხატოვან გამონათქვამებს და ამგვარი გამონათქვამების შერწყმით მიღებულ რთულ სიტყვებს (“ირნახული”).

აქვე შემოთავაზებულია კონტექსტის მიხედვით სიტყვის განმარტებისა და სინონიმთა ნიუანსობრივი განსხვავების დამოუკიდებლად გამოვლენის ამოცანები.

ბ) გრამატიკა.

აქ კვლავ წამოწეულია მეტყველების ზმნების გამოყენების აქტუალური თემა, კერძოდ, ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ამ ზმნათა ფუნქციონირების ერთ ასპექტზე: მათი გამოყენების დროს შეიძლება ამ ზმნების შინაარსში პერსონაჟისადმი მოსაუბრის დამოკიდებულებაც გამოჩნდეს; მაგ.: მიბრძანა მაღალი წრის

ადამიანის მიმართ არის გამოყენებული, ხოლო მითხრა ზმნა უფრო დაბალი სოციალური კატეგორიის პირებს მიემართება. ამას შეიძლება პოემის ტექსტის მიხედვით საინტერესო მაგალითები მოვუძებნოთ.

გ) სტილის რუბრიკაში შემოთავაზებულია ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთი აქტიური ფორმა – პოემის I ნაწილის ენობრივ – სტილისტიკური საშუალებების მოძიება და დაჯგუფება; მასზე მუშაობა, კერძოდ, განსაზღვრებებისა და ეპითეტების მოძიების ამოცანა მოსწავლეებს უფრო აქტიურად ჩააბამს ტექსტის შესწავლის პროცესში.

დ) მართლწერა.

ამ შემთხვევაში კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად ისწავლონ ტექსტის კრიტიკული კითხვა და ამოცანისთვის შესაფერისი მაგალითების მოძიება.

II ნაწილი

ა) გრამატიკა.

როგორც უკვე ითქვა, ტექსტების ენობრივი ადაპტაცია არ გულისხმობს მათი სრული სტერილურობის მიღწევას სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით; ჯერ ერთი, ხდება სტილისტიკურად აუცილებელი ელემენტების შენარჩუნება, მეორეც, ეპოქისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები გამოყენებულია მიზანმიმართულად: მათზე დაყრდნობით დასმულია სტილისა თუ მართლწერის ამოცანები.

ამჯერად “.ორნიკე ერისთავის“ ის ენობრივი თავისებურება, რომელიც მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან არის დაკავშირებული, როგორც დავალება, მოცემულია ტიპური შეთანხმებული პარადიგმის ფონზე. ამიტომაც მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, თვითონ შეადაროს არანორმატიული ნორმატიულს და სათანადოდაც გამართოს ეს ფრაზები. თუმცა ამით ლექსის წყობა ვერ შენარჩუნდება, ვინაიდან ამგვარ დარღვევათა უმეტესობა სწორედ პროსოდით არის განპირობებული.

დამატებით შეგიძლიათ ორ რამეზე მიაქცევინოთ ბავშვებს ყურადღება: 1. რა შემთხვევაშია ასეთი დარღვევა ლექსის საზომით განპირობებული და რა შემთხვევაში – არა; 2. პოემის ტექსტში დაიძებნოს ისეთი მაგალითები, რომლებშიც მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება ნორმის ფარგლებშია.

ბ) სინტაქსი.

ლექსის წყობა და რიტმიკა განაპირობებს იმასაც, რომ ძალზე ხშირად წინადადების ბუნებრივი სინტაქსური წყობა პოეზიაში დარღვეულია, სალექსო მოთხოვნებს არის დაქვემდებარებული. ამიტომაც იმ ტიპის “.ასამართი“ სტრიქონები, რომლებიც რუბრიკაშია მოყვანილი, სხვაც შეიძლება არაერთი იქნეს მოხმობილი. ამგვარი სავარჯიშო, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეს უვითარებს წინადადების წყობასა და სტილზე დაკვირვების უნარს.

გ) მართლწერა.

საკითხი ეხება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან – გან თანდებულთ ნაწარმოებს ფორმებს:

სწორია	არასწორია
ჩვენგანი თქვენგანი მათგანი	ჩვენთაგანი თქვენთაგანი მათთაგანი

III ნაწილი

ა) ლექსიკა

იხსენებს – იხსენიებს ზმნები პარონიმულ ფორმებს განეკუთვნება, რამდენადაც ისინი მსგავსი აგებულების, მაგრამ განსხვავებული შინაარსისა და ფუნქციის ერთეულებია. თანაც ისინი წარმოშობით საერთო ძირის სიტყვებია, რომლებიც მხოლოდ ფორმანარმოებით განსხვავდნენ. ამდენად, ისინი ლექსიკურ პრობლემას იმდენად განეკუთვნებიან, რამდენადაც თანამედროვე ქართულში განსხვავებული ლექსიკური ერთეულების სახით წარმოგვიდგებიან.

ბ) დანარჩენ სამ რუბრიკაში სხვადასხვა ხასიათის მართლწერის საკითხებია წარმოდგენილი: პირველი შეეხება სუბიექტის მრავლობითობის – ნენ დაბოლოებას ზმნაში; მეორე – მისი, თავისი, თავიანთი ნაცვალსახელების შესაფერისად გამოყენებას, ხოლო მესამე – “.ინტაქსის“ რუბრიკით წარმოდგენილი – მიზეზისა და მიზნის გარემოებათა აღრევის ერთ შემთხვევას ასახავს.

მომზაურობა სულიერი გმირობის სავანეში

ამ პარაგრაფის მიზანია მოსწავლეების მაქსიმალური გააქტიურება. ისინი ეჩვევიან კვლევას, ძიებას, საჭირო მასალის დამოუკიდებლად მოპოვებას, თავმოყრასა და გამთლიანებას. პილოტირების პროცესში მოსწავლეთა რამდენიმე ჯგუფმა ძალზე საინტერესო გზამკვლევის შედგენა მოახერხა.

ა) ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

რუბრიკის I მონაკვეთი მიზნად ისახავს დარგობრივ ლექსიკაზე დაკვირვებისა და დარგობრივი ლექსიკონის შედგენაზე მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას. შესაძლებელია ამგვარ დარგად რომელიმე სამეურნეო სფერო იქნეს არჩეული, შესაძლებელია რომელიმე სამეცნიერო დარგის შერჩევა. ამგვარ თემებზე ამ ასაკის ბავშვები ლექსიკის შეკრების მიზნით ინტერესით მუშაობენ.

მეორე მონაკვეთი მართლწერასთან არის ფართო მნიშვნელობით დაკავშირებული და გამეორების სახე აქვს, ვინაიდან მანძილზე და განმავლობაში ზმნიზედების აღრევა უკვე იყო მითითებული.

რუბრიკის მე-3 მონაკვეთად წარმოდგენილია რთული შედგენილობის ტერმინებზე დაკვირვება და მათი წარმომავლობის (მოტივირებული შედგენილობის) ანალიზი.

ბ) მართლწერა.

მოსწავლეთათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა გარკვეული ქცევის ფორმებზე ზმნისწინთა დართვის შემთხვევაში სამი ერთნაირი (ან განსხვავებული) ხმოვნის თავმოყრის შემთხვევები (გაანალიზებს ტიპისა). სქემა დაეხმარება მათ მართლწერის ამ ამოცანაში (რომელიც, თავისთავად, წარმოთქმის სირთულეს უკავშირდება) მოვლენის სისტემური სურათი დაინახონ.

შესაძლებელია მაგალითების რაოდენობა გაიზარდოს. საინფორმაციო ხასიათის ტექსტებში, ბუნებრივია, იშვიათი არ არის სხვადასხვაგვარ შემოკლებათა გამოყენება, ამიტომაც ამოცანა ეხება მათი სწორად გამოყენებისა და შესაფერისად განმარტების (სრულად წარმოდგენის) საკითხს.

მოსწავლის შეფასების პრინციპები შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილია ორი ტიპის შეფასება: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

განმავითარებელ შეფასებას (რომელიც თავის თავში მოიცავს **თვითშეფასებასაც**) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასება. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მონაფეს აძლევს რჩევას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უფითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მონაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

განმსაზღვრელი შეფასება კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დაწერა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემეჯამებელ აქტივობებს: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონ-

ტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მონაფის დონეს, შესაბამისად, მას არ ახლავს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

განმავითარებელი შეფასების მეთოდები

მასწავლებლის დაკვირვება — ჩანანერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

კომენტარი — ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნეება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყველაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომელიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამონებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ სავარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს.

წერითი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:

სახელი, გვარი----- თარიღი -----
როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ -----

გავაუმჯობესე -----
ვამაყობ, რომ -----
კვლავ მჭირდება განმტკიცება -----
შემდგომ წერით დავალებაში შევეცდები, რომ -----

გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიმუშების გამოყენებით)

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მივყავდით პრობლემის გადანივრეტამდე (პირობითი ნიმუში მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვეხმარებოდი გაკვეთილის „აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, არცთუ წარმატებულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდა სწორ გზას ვცდებოდი (ჩაშვებული ღუზა);
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ ვდუმდი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მასწრებდნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ) (დაკეცილი კონვერტი);
- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები);
- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა, რაზე?), ვფიქრობდი, ვინ-

ერდი საშინაო დავალებას (ღრუბლები).

ამგვარად, მონაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მონაფის დუმილის უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“). მასწავლებელი დროდადრო კრეფს თვითშეფასების ფურცლებს და არშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მონაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).

შემაჯამებელი შეფასების სქემა

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა ზეპირმეტყველებაში

დავალების ტიპი: ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა

	ქულები
გამართული და სწორი მეტყველება	
მეტყველებს გამართული, სალიტერატურო ენით, იყენებს შესაფერის ლექსიკას	0—1
სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს, ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს.	0 — 0,5-1
სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა	
მსჯელობის დაწყებამდე აყალიბებს თეზისს (გამოკვეთს მსჯელობის თემას).	0 — 1-2
ბოლომდე მიჰყავს დაწყებული მსჯელობა (ანუ აზრს დაუსრულებელს არ ტოვებს); აკეთებს ლოგიკურ (მსჯელობიდან გამომდინარე) დასკვნას.	0 — 1-2 0-0,5 - 1
კონტაქტი აუდიტორიასთან, თვალსაჩინოების გამოყენება	
აქვს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.	0—1
საჭიროების მიხედვით იყენებს შესაბამის თვალსაჩინოებას (სქემას, ნახატს).	0—1
შემოქმედებითი უნარები	
ამჩნევს ტექსტში საინტერესო დეტალებს და მარჯვედ იშველიებს მათ საკუთარი მსჯელობის დასასაბუთებლად.	0—1

სტანდარტთან შესაბამისობა:

ქართ. საბ. 8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს);

ქართ. საბ. 9. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს);

ქართ. საბ. 10. სტრუქტურული და ორგანიზაციული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა კითხვაში

დავალების ტიპი: უცხო ტექსტის წაკითხვა-გააზრება

	ქულები
ტექსტის ტიპის ამოცნობა	
ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს; ყოფს ტექსტს შინაარსობრივ ნაწილებად; აკავშირებს სათაურს ტექსტთან.	0—1-2-3
ტექსტის შინაარსის გადმოსცემა საკუთარი სიტყვებით	
ამოკრებს ტექსტიდან საჭირო ინფორმაციას; მოკლედ გადმოსცემს ვრცელ შინაარსს, ითვალისწინებს არსებითს.	0 — 1-2-3-4
ტექსტის თემისა და დედააზრის ამოცნობა	
ამოიცნობს ტექსტის თემას; დასაბუთებულად მსჯელობს ტექსტის დედააზრის შესახებ.	0 — 1-2-3

სტანდარტთან შესაბამისობა: ქართ. საბ. 1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

ქართ. საბ. 2. ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

ქართ. საბ. 3. ტექსტის კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;

ქართ. საბ. 4. ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.

შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა წერაში

დავალების ტიპი: მოთხრობის გაგრძელება

	ქულები
იცავს თხრობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას	
ამბავს აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; მითითებულია მოქმედების დრო და ადგილი; გამოკვეთილნი არიან პერსონაჟები.	0 — 1-2-3
აქვს მდიდარი ლექსიკა	
იყენებს სინონიმებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, ფრაზეოლოგიზმებს.	0—1-2

იყენებს თხრობის ტიპის ტექსტისთვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს (ერთხელ, შემდეგ, ბოლოს...).	0—0,5-1-2
შემოქმედებითი უნარები	
გვთავაზობს სიუჟეტის განვითარების ორიგინალურ გადაწყვეტას.	0—1
ნაშრომის ორგანიზებულობა	
იცავს მართლწერის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.	0—0,5-1-2

სტანდარტთან შესაბამისობა:

ქართ. საბ. 8. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს);

ქართ. საბ. 9. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს);

ქართ. საბ. 10. სტრუქტურული და ორგანიზაციული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერიტი მეტყველების დროს).

(შენიშვნა: შეფასების კრიტერიუმები და ქულები ყოველი კონკრეტული დავალების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს).

* * *

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნებისმიერი დავალება და სავარჯიშო, შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისათვის.

ენის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების კა- სუსები

§1. სიტყვათა გრამატიკული კლასები, ანუ მეტყველების ნაწილები

დავალება (გვ.10).

ფორმაცვალებადი: შველი, თოვლი, მუხა, მზე.

ფორმაუცვლელი: და, ისევ, რომ, მაგრამ, მერე, ხან, ისე.

§2. არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით

დავალება 1 (გვ.15).

„ვინ“	„რა“	სულიერი	უსულო
მეფე	ისარი	მეფე	ისარი
პაპა	ხობობი	ხობობი	წყალი
გოგონა	წყალი	პაპა	ამბავი
	ამბავი	დათვი	ნუში
	დათვი	გოგონა	ატამი
	ნუში	ძალლი	ვაშლი
	ატამი		მსხალი
	ვაშლი		ტყემალი
	მსხალი		ზაფხული
	ტყემალი		მზე
	მზე		ფიჭვნარი
	ფიჭვნარი		თოფი
	ძალლი		ყეფა
	თოფი		სროლა
	ყეფა		
	სროლა		

დავალება 2 (გვ.15).

საზოგადო

მთქმელი	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
მოჭიდავე	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ფალავანი	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
წერო	— „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
წნორი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
გლეხი	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ხელი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
მონადირე	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.

მეთევზე	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
მენისქვილე	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ოცნება	— „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.

საკუთარი

პატარძეული	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
დარიალი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ხაზარეთი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ივერია	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
მტკვარი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ტბეთი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
შატბერდი	— „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ელეფთერი	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ელიოზი	— „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.

დავლება 3 (გვ.15).

კრებითი

ცხვარი	— „რა“ ჯგ., სულიერი, კონკრ.
ფარა	— „რა“ ჯგ., სულიერი, კონკრ.
საქონელი	— „რა“ ჯგ., სულიერი, კონკრ.
ნახირი	— „რა“ ჯგ., სულიერი, კონკრ.
ქარავანი	— „რა“ ჯგ., სულიერი, კონკრ.

ნივთიერებათა

ღვინო	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.
წყალი	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.
ვერცხლი	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.
ოქრო	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.
ტყვია	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.
ფოლადი	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.

მოქმედების

მგზავრობა	— „რა“ ჯგ., უსულო, აბსტრ.
გალობა	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.
გაცნობა	— „რა“ ჯგ., უსულო, აბსტრ.
დაბნევა	— „რა“ ჯგ., უსულო, აბსტრ.
გამარჯვება	— „რა“ ჯგ., უსულო, აბსტრ.
ბრწყინვა	— „რა“ ჯგ., უსულო, კონკრ.

§3. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი

დავალემა 1 (გვ. 18).

სახლის (1)	სახ. სახლი	კარი (1)	სახ. კარი
სახლით (2)	მოთ. სახლმა	კარო (3)	მოთ. კარმა
სახლო (3)	მიც. სახლს	კარით (5)	მიც. კარს
სახლს (4)	ნათ. სახლის	კართან (5)	ნათ. კარის
სახლად (6)	მოქ. სახლით	კარსაც (7)	მოქ. კარით
სახლი (7)	ვით. სახლად	კარის (8)	ვით. კარად
სახლო (9)	წოდ. სახლო	კარმა (10)	წოდ. კარო
სახლმა (11)		კარად (12)	

დავალემა 2 (გვ.19).

ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხის ნიმუში:

ბიჭი დილით ადრე გამოვიდა საკუთარი სახლიდან. გზად მოხუცს წამოეწია, რომელსაც შესანამლი აპარატი ხვნიემა-ხვნიემით მიჰქონდა ვენახში. ბიჭმა იფიქრა, დავეხმარებოდი, მაგრამ სკოლაში დამაგვიანდებაო. ჩქარი ნაბიჯით გაუსწრო მოხუცს, მაგრამ ბიჭს ახლა სხვა ფიქრი შეუჯდა თავში: ეს კაცი პაპაჩემი რომ ყოფილიყო, ასე ხომ არ მოვიქცეოდიო! სწორედ ამ დროს, თიბქოს ბიჭის ფიქრი გაიგო, მოხუცმაც დაუძახა: — შვილო, პატარაზე ხელი შემაშველე, ახლოს მივდივარ, დიდ დროს არ დაკარგავო! გზადაგზა მოხუცი ყმანვილს აქებდა: ასეთი ბიჭით შენმა მშობელმა უნდა იამაყოს. ბიჭად მაშინ ხარ საქები, თუ გაჭირვებულისთვის ხელის შეშველება შეგიძლიაო. ვენახის ბოგირთან კი ტვირთი ჩამოართვა და კიდევ ერთხელ შეაქო: — ყოჩაღ, ბიჭო, გახარება შენს გამზრდელსო!

§4. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები

დავალემა 1 (გვ.22).

სახ.	-ი
მოთ.	-მა
მიც.	-ს
ნათ.	-ის
მოქ.	-ით
ვით.	-ად
წოდ.	-ო

დავალეზა 2 (გვ.22).

ფუძეთანხმონიანი: გველი, ბარტყი, მეგობარი, მგელი, ცხენი. მერცხალი, სოფელი, გვერდი, მატარებელი,სარკმელი, ხალხი,ბალი, მსხალი, კალამი, თევზი, მეზობელი, საძირკველი, ნიგნი, ჩანჩქერი, სკამი, კურდღელი, კარავი, მასწავლებელი, მხატვარი.

ფუძეხმონიანი: ძმა, მაგიდა, წყარო, ტყე, მზე, ღამე, ეზო, თივა, ხურო, მელია, წერო.

§5. ფუძეთანხმონიანი სახელები. ფუძის კუმშვა

დავალეზა 1 (გვ.26).

უკუმშველი: ვენახი, თავადი, მამული, გვირაბი, ღარიბი, გარეუბანი, ტაძარი, ქვაბი, საკლავი.

კუმშვადი: მატარებელი, პირჯვარი, მონასტერი, ჭერამი, სტუმარი, მასპინძელი, ბუხარი, საყდარი, გალავანი, კედელი, შადრევანი, შავარდენი.

დავალეზა 2 (გვ.26).

1. მტკვრის; 2. ლერწმის; 3. ძვლები; 4. ორთქლმავლების; 5. წუთისოფლის; 6. თავშესაფრიდან; 7. სავარძელის; 8. ღრუბლად; 9. მსხლის, ტყემლის; 10. ხმლის; 11. ფანჯრიდან; 12. პამიდვრის; 13. ქარიშხლის.

§6. ფუძეხმონიანი სახელები. ფუძის კვეცა

დავალეზა 1 (გვ.30).

სახ.	ბებერა	წყარო	კუ	ეკალა	წინიბო	ჩაი
მოთ.	ბებერა-მ	წყარო-მ	კუ-მ	ეკალა-მ	წინიბო-მ	ჩაი-მ
მიც.	ბებერა-ს	წყარო-ს	კუ-ს	ეკალა-ს	წინიბო-ს	ჩაი-ს
ნათ.	ბებერა-ს(ი)	წყარო-ს(ი)	კუ-ს(ი)	ეკალა-ს(ი)	წინიბო-ს(ი)	ჩაი-ს(ი)
მოქ.	ბებერ-თი	წყარო-თი	კუ-თი	ეკელა-თი	წინიბო-თი	ჩაი-თ(ი)
ვით.	ბებერა-დ	წყარო-დ	კუ-დ	ეკალა-დ	წინიბო-დ	ჩაი-დ
წოდ.	ბებერა-ვ	წყარო-ვ	კუ-ო	ეკალა-ვ	წინიბო-ვ	ჩაი-ვ

დავალეზა 2 (გვ.30).

სახ.	ზღვა	მთვარე	მანქანა	კლდე	მხარე
მოთ.	ზღვა-მ	მთვარე-მ	მანქანა-მ	კლდე-მ	მხარე-მ
მიც.	ზღვა-ს	მთვარე-ს	მანქანა-ს	კლდე-ს	მხარე-ს
ნათ.	ზღვ-ის	მთვარ-ის	მანქან-ის	კლდ-ის	მხრ-ის
მოქ.	ზღვ-ით	მთვარ-ით	მანქან-ით	კლდ-ით	მხრ-ით
ვით.	ზღვა-დ	მთვარე-დ	მანქანა-დ	კლდე-დ	მხრ-ად
წოდ.	ზღვა-ვ	მთვარე-ვ	მანქანა-ვ	კლდე-ვ	მხარე-ვ

დავალეზა 3 (გვ.30).

1. პეპლის; 2. რცხილის; 3. მთვარის; 4. საფრთხის; 5. ქვეყნის; 6. ფანჯრის;
7. პაპის; 8. ჭიანჭველის; 9. ქარხნის; 10. მხრიდან.

§7. ბრუნების ტიპები

დავალეზა 1 (გვ.34).

სახ.	საბელ-ი (2)	ვაშლ-ი (1)	ქარხანა (5)	თარო (3)	სარეკე (4)
მთ.	საბელ-მა	ვაშლ-მა	ქარხანა-მ	თარო-მ	სარეკე-მ
მიც.	საბელ-ს	ვაშლ-ს	ქარხანა-ს	თარო-ს	სარეკე-ს
ნათ.	საბლ-ის	ვაშლ-ის	ქარხნ-ის	თარო-ს(ი)	სარეკ-ის
მოქ.	საბლ-ით	ვაშლ-ით	ქარხნ-ით	თარო-თი	სარეკ-ით
ვით.	საბლ-ად	ვაშლ-ად	ქარხნ-ად	თარო-დ	სარეკე-დ
წოდ.	საბელ-ო	ვაშლ-ო	ქარხანა-ვ	თარო-ვ	სარეკე-ვ

დავალეზა 2 (გვ.34).

1. ღმრთის; 2. ამბით; 3. ამბად; 4. ღვინის; 5. ამბით; 6. დროით; 7. ღმრთისაგან;
8. ატმით; მატარებლით; 9. მხრის; 10. შვლის; 11. ბატკნის; 12. სარკით; 13. ფურცლის;
14. პამიდვრით; 15. ალუბლისა; წყლისა; 16. ღვინით.

§8. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა

დავალეზა 1 (გვ.37).

სახ.	სახრე	სარეკელა	ღორჯო	კუ	ბურთ-ი	კუთხე
მთ.	სახრე-მ	სარეკელა-მ	ღორჯო-მ	კუ-მ	ბურთ-მა	კუთხე-მ
მიც.	სახრე-ს(ა)	სარეკელა-ს(ა)	ღორჯო-ს(ა)	კუ-ს(ა)	ბურთ-ს(ა)	კუთხე-ს(ა)
ნათ.	სახრ-ის(ა)	სარეკელა-ს(ი)	ღორჯო-ს(ი)	კუ-ს(ი)	ბურთ-ის(ა)	კუთხ-ის(ა)
მოქ.	სახრ-ით(ა)	სარეკელა-თი	ღორჯო-თი	კუ-თი	ბურთ-ით(ა)	კუთხ-ით(ა)
ვით.	სახრე-დ(ა)	სარეკელა-დ(ა)	ღორჯო-დ(ა)	კუ-დ(ა)	ბურთ-ად(ა)	კუთხე-დ(ა)
წოდ.	სახრე-ვ	სარეკელა-ვ	ღორჯო-ვ	კუ-ო	ბურთ-ო	კუთხე-ო

დავალეზა 2 (გვ.37).

1. ჯოხებითა; 2. ვედრებას; 3. ბობოქრობითა; 4. ხმით; 5. გულადობითა;
6. თოვლსა; 7. შებრალებასა; 8. ეტლს; 9. ოჯახისა; 10. ჭისა; 11. დედასა; 12. ზღვისა;
13. მთის, ქვებისა; 14. დაჩვეულს; 15. შევარდნად.

§9. საკუთარ სახელთა ბრუნება

დავალება 1 (გვ.41).

1. კაკუშაძის; 2. დაჩიმ, გორგასლის; 3. ნუგზარმა; 4. მაჩაბელი, მაჩაბლის; 5. ალაზნის; 6. დარეჯანის; 7. გეგუჩაძე; 8. პაატა; 9. სონლულაშვილო; 10. მცხეთავ.

დავალება 2 (გვ.42).

1. აბაშიძე; 2. ოთარმა; 3. მტკვრისა; 4. გოდერძი; 5. ალუდა; 6. წერეთლისა; 7. ვაჟა; 8. ეთერმა; 9. ზურაბ! 10. კაკალაშვილო; 11. თევდორე; 12. მიხეილ!

§10. არსებითი სახელის რიცხვის წარმოება

დავალება 1 (გვ.45)

სახ.	მეგობრ-ებ-ი	მეგობარ-ნ-ი	ფრინველ-ებ-ი	ფრინველ-ნ-ი
მოთ.	მეგობრ-ებ-მა	მეგობარ-თ(ა)	ფრინველ-ებ-მა	ფრინველ-თ(ა)
მიც.	მეგობრ-ებ-ს	„-----“	ფრინველ-ებ-ს	„-----“
ნათ.	მეგობრ-ებ-ის	„-----“	ფრინველ-ებ-ის	„-----“
მოქ.	მეგობრ-ებ-ით	„-----“	ფრინველ-ებ-ით	„-----“
ვით.	მეგობრ-ებ-ად	„-----“	ფრინველ-ებ-ად	„-----“
წოდ.	მეგობრ-ებ-ო	მეგობარ-ნ-ო	ფრინველ-ებ-ო	ფრინველ-ნ-ო

სახ.	ტოროლ-ებ-ი	ტოროლა-ნ-ი	წინაპრ-ებ-ი	წინაპარ-ნ-ი
მოთ.	ტოროლ-ებ-მა	ტოროლა-თ(ა)	წინაპრ-ებ-მა	წინაპარ-თ(ა)
მიც.	ტოროლ-ებ-ს	„-----“	წინაპრ-ებ-ს	„-----“
ნათ.	ტოროლ-ებ-ის	„-----“	წინაპრ-ებ-ის	„-----“
მოქ.	ტოროლ-ებ-ით	„-----“	წინაპრ-ებ-ით	„-----“
ვით.	ტოროლ-ებ-ად	„-----“	წინაპრ-ებ-ად	„-----“
წოდ.	ტოროლ-ებ-ო	ტოროლა-ნ-ო	წინაპრ-ებ-ო	წინაპარ-ნ-ო

სახ.	მდინარე-ებ-ი	მდინარე-ნ-ი
მოთ.	მდინარე-ებ-მა	მდინარე-თ(ა)
მიც.	მდინარე-ებ-ს	„-----“
ნათ.	მდინარე-ებ-ის	„-----“
მოქ.	მდინარე-ებ-ით	„-----“
ვით.	მდინარე-ებ-ად	„-----“
წოდ.	მდინარე-ებ-ო	მდინარე-ნ-ო

დავალება 2 (გვ.45).

1. გლეხნი, აზნაურნი, თავადნი, სამღვდელონი, იმერნი, ამერნი (სახ.); 2. ლაშქარნი, დროშანი (სახ.); 3. ძალებმაც (მოთხ.), მშივრებმა, მუცელგალასტულებმა, გაალმასებულებმა (მოთხ.); 4. ძმათ (ნათ.), სალოცავთ (ნათ.); 5. დეკანი, ბალახნი,

ქვანი, ქვიშანი (სახ.); 6. წყალნი (სახ.), ტყეთ (მიც.), ტყენი (სახ.), მდინარეთ (მიც.), ყვავილნი (სახ.), მცენარეთ (მიც.).

§11. თანდებულიანი ბრუნვები

დავალება 1 (49).

- სახ. ცეცხლივით
- მოთ.
- მიც. ლურსმანზე, პირუტყვსავით, მდინარეში, მაგიდასთან, ბუხართან, კედელთან, სახეზე
- ნათ. სკოლისაკენ, ბუნებისათვის, სამხრეთისაკენ, ბრაზისაგან, ელვისებრ, სნეულებისაგან, მოსვლისთანავე, ჩემებრ
- მოქ. თავლიდან, ოჯახითურთ
- ნოდ.

დავალება 2 (გვ.49).

- 1. სალამომდე; 2. ზოგიერთებივით; 3. ჩემთვის; 4. ხნიდან, იმერეთიდან, ქართლიდან;
- 5. წიგნებიდან; 6. ცხენზე; 7. კედელთან, ცხვირებზე; 8. აქამდე; 9. გზაზე, ზევიდან, ქვევიდან; 10. მათიაზე და ელგუჯაზე; 11. დილიდან, გვერდიდან, მეორეზე.

დავალება 3 (გვ.50).

- 1. ქვეშ (თანდ.); 2. უკან (თანდ.); 3. ქვეშ (ზმნიზ.); 4. უკან (ზმნიზ.); 5. შუა (თანდ.);
- 6. წინ (თანდ.); 7. გარშემო (თანდ.); 8. წინ (ზმნიზ.); 9. გარშემო (ზმნიზ.); 10. გამო (თანდ.);
- 11. იქით (თანდ.); 12. ქვევით (ზმნიზ.); 13. ახლოს (ზმნიზ.); 14. ახლოს (თანდ.).

§12. ზედსართავი სახელი. ძირითადი სემანტიკური ჯგუფები

დავალება (გვ.54)

ფერი	გემო	ფორმა	მოცულობა	წონა	ძალა	თვისება
ქროს-ფერი ვარდის-ფერი ქათქათა თეთრი მენამული	ტკბილი უტკბილესი უტკბესი მწარე ტკბილი	მოგრძო მაღალი ბრტყელი ოკრობოკრო მომრგვალო გრძელი წვრილი მაღალი	მუშტისო- დენა ვეებერ- თელა უზარმა- ზარი დიდი ფრჩხი- ლისოდენა დიდი	მძიმე მსუ- ბუქი	სუსტი ძლიერი	ხვავრიელი კაფანდარა ცვრიანი ფეხშიშველა ავი მკვრივი თხელი შორეული ხალისიანი მოქნილი გახუნებული

§13. ზედსართავ სახელთა ჯგუფები წარმომავლობის მიხედვით

დავალება (გვ.57).

ვითარებითი:

სუფთა, დაბალი, პატარა, ლანირაკი, თამამი, თბილი, შავი, მწარე, ნაზი, თეთრი, შავი, უღრანი, ბნელი, ხმელი, მთელი, ცივი, ტიტველი.

მიმართებითი:

დიდებული, თავხედი, დიდთავა, დაფეხვილი, განრისხებული, ენერგიული, შეუპოვარი, საშინელი, საზარელი, ნორმალური, ჭკვიანი, დაღლილი, ფერმკრთალი, ტანსწორი, დაფენილი, გაჩერებული, მიბნედილი, გამოუთქმელი, მიბუნდებული, დაბურული, ფერნასული, დამჭკნარი, გაყვითლებული, მონითალო, დაბურული, საბრალო, გაბარჯლული, დიდრონი, შხაპუნა, საცოდავი, გამხმარი.

§14. ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოება

დავალება 1(გვ. 59).

1. უ-ნეტარ-ეს-ი, უ-ელვარ-ეს-ი, უ-ტკბ-ეს-ი; 2. უ-მხურვალ-ეს-ი, უ-ღრმ-ეს-ი, უ-მწარ-ეს-ი, უ-სათნო-ეს-ი, უ-ნაზ-ეს-ი, უ-სათუთ-ეს-ი, უ-წმინდ-ეს-ი; 3. უ-დიდ-ეს-ი; უ-ჭკვიან-ეს-ი, უ-მძლავრ-ეს-ი, უ-მშვენიერ-ეს-ი, უ-საყვარლ-ეს-ი; 4. უ-მარტივ-ეს-ი; 5. უ-ძვირფას-ეს-ი, უ-ნეტარ-ეს-ი, უ-ტკბ-ეს-ი; 6. უ-ტკბილ-ეს-ი, უ-ძვირფას-ეს-ი; 7. უ-გრძ-ეს-ი, უ-ღრმ-ეს-ი.

დავალება 2 (გვ.60).

1. მო-წითალ-ო; 2. მო-ყავისფრ-ო; 3. მო-მყავ-ო; 4. მო-ლურჯ-ო; 5. მო-ყავისფრ-ო, მო-თეთრ-ო; 6. მო-ყავისფრ-ო, მო-ნაცრისფრ-ო, მო-წითალ-ო; 7. მო-ლურჯ-ო, მო-წითალ-ო, მო-შავ-ო.

დავალება 3 (გვ.60).

1. უ-უ-შორ-ეს-ი; 2. უ-უ-დიდ-ეს-ი; 3. უ-სანატრ-ეს-ი; 4. უ-უ-მჭიდრო-ეს-ი, უ-უხანგრძლივ-ეს-ი; 5. უ-უ-ღრმ-ეს-ი, უ-უ-ბასრ-ეს-ი; 6. უ-უ-ძველ-ეს-ი, უ-უ-მძლავრ-ეს-ი; 7. უ-უ-კიდურ-ეს-ი; 8. უ-მზე-ეს-ი; 9. უ-უ-ძვირფას-ეს-ი; 10. უ-უ-ღრმ-ეს-ი; 11. უ-უ-დიდ-ეს-ი; 12. უ-უ-ღრმ-ეს-ი, უ-უ-ფართო-ეს-ი; 13. უ-მზ-ეს-ი.

§15. ზედსართავი სახელის ბრუნება

დავალება 1 (გვ.64).

1. ხმელ (მიც.), ჩამოსულ (მიც.) ფოთოლს; 2. სუსტი (სახ.) ღობე, ქუდმოხდილი (სახ.) ქვევრი, ღვინიანი (სახ.) კოპე; 3. დაბალი (სახ.) კარი; 4. კეთილ (მიც.) გუნებაზე; 5. პაწაწინა (ნათ.) ლიფსიტების; 6. დიდ (მიც.), შავ (მიც.), დაბურულ (მიც.) ტყეში; 7. უდაბურ (მიც.) ტყეში; ტაძარს დარღვეულს (მიც.); დიდი (ნათ.) თამარის; ძველ (მიც.) კედელზე.

დავალეზა 2 (გვ.64).

1. დიდი; 2. მთელი; 3. მაღლიან; 4. ბნელი; 5. ტკბილი; 6. სწრაფი; 7. უკეთესი.

დავალეზა 3 (გვ. 65).

1. მიყრუებული; 2. შუაგული; 3. შესაფერისი; 4. პირველი; 5. მცხოვრები; 6. მაქსიმალური; 7. გოლიათური; 8. შავნაბდიანი; 9. ჩამობნელებული; 10. ბნელი, გავლებული, მეგრული; 11. ფერადი; 12. მახლობელი; 13. შემოჭრილი; 14. დაორთქლილი, დანამული; 15. სქელი.

§16. რიცხვითი სახელი

დავალეზა 1 (გვ.68).

1. ბევრი; 2. უამრავ ლეგენდას; 3. ბევრი; 4. ცოტა; 5. ბევრ; 6. ბევრი; 7. უამრავი; 8. ბევრი; 9. ბევრს, ბევრი; 10. ბევრი დაავადება; 11. ბევრს; 12. უამრავი ქვეყნიდან; 13. ბევრი; 14. უამრავი პროექტი; 15. ბევრ ღონისძიებაში; 16. აუარებელი მონა; 17. უამრავი კულტურა; 18. უთვალავი; 19. მრავალი; 20. სამი ძმა; 21. ბევრი შემთხვევა; 22. უამრავი პრობლემა, მრავალი გამარჯვება.

დავალეზა 2 (გვ. 69).

1. მე-19; 2. 29-ე; 3. 57-ე; 4. 95-ე; 5. 21-ე.

დავალეზა 3 (გვ.69).

1. მე-5, ოცდაათიან; 2. XVI-XVII; 3. ოცდამეერთეში; 4. XX; 5. XI; 6. XIX; 7. მე-16; 8. 1-ლ, სამი მეხუთედი; 9. ოცდამეერთე; 10. მე-60; 11. მე-11, მე-12; 12. მე-17; 13. X.

§17. რიცხვითი სახელის ბრუნება

დავალეზა 1 (გვ.73).

სახ.	სამ-ი	ძმა	ასი	ათას-ი	მეომარ-ი	სამივე	საკითხ-ი
მოთ.	სამ-მა	ძმა-მ	ასი	ათას-მა	მეომარ-მა	სამივე	საკითხ-მა
მიც.	სამ-	ძმა-ს	ასი	ათას	მეომარ-ს	სამივე	საკითხ-ს
ნათ.	სამ-ი	ძმ-ის	ასი	ათას-ი	მეომრ-ის	სამივე	საკითხ-ის
მოქ.	სამ-ი	ძმ-ით	ასი	ათას-ი	მეომრ-ით	სამივე	საკითხ-ით
ვით.	სამ-	ძმა-დ	ასი	ათას	მეომრ-ად	სამივე	საკითხ-ად
ნოდ.	სამ-ო	ძმა-ვ	ასი	ათას-ო	მეომარ-ო	სამივე	საკითხ-ო

დავალეზა 2 (გვ.73).

1. მილიონ სანთელს; 2. ცხრა ყური, ცხრა თვალი; 3. ცხრა მთას; 4. თხუთმეტი-ოცი კომლი; 5. ორასამდე ცხვარი, ოთხი-ხუთი ცხენი, სამოცი ცხვარი; 6. თორმეტი სვეტი; 7. პირველივე დღიდან; 8. ორ დღეში, ორი წიგნი; 9. პირველი ტირაჟი; ოთხი ათას ეგზემპლარს. 10. ორ-სამ წელიწადში; 11. ოც წელს; 12. მეთორმეტე დღეს.

დავალეზა 3 (გვ.73).

1. სამივენი, 2. ორივეს; 3. —; 4. —; 5. ორივენი; 6. ოთხი ათას (კაცს); 7. მეოცის;
8. ორივე; 9. სამივე; სამივე; 10. ხუთივენი; 11. სამივე; 12. თოთხმეტივე; 13. ათასივე;
14. ჩვიდმეტივე; 15. სამოცდახუთი; თხუთმეტი.

§18. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები

დავალეზა 1 (გვ.76).

პირის	ჩვენებთი	კუთვნილ.	კითხვითი	განსაზღვ.	განუსაზღვ.	უარყოფ.	მიმართებ.
ჩემსკენ	იმ	ჩემი	რა	ყველას	ერთს	არაფერმა	რომელნიც
ჩემთან	იმ	ჩემი		თვითონ	რალაც	არაფერი	რასაც
იმას	ეს	ჩვენს		სხვის			
მე	ეს	ჩემი		ყველას			
მე	ის	ჩემი		ყველას			
ჩემამდის	ეს	ჩემი		ყველას			
ჩემთვის		ჩემი					
მე		ჩემმა					
ჩემთვის		ჩვენს					
ჩემს წინ							
ჩემს ახლოს							
იმასაც							
ჩემსავით							
თავი							
თავი							
ჩვენ							
ისინი							
მე							
თავის							
ჩვენ წინ							
ჩვენს იქით							
ჩვენ წინ							
იმასაც							
ის							
ჩემს წინ							
მე							
მე							
ჩემამდის							

დავალება 2 (გვ.77).

თავი	ვინ?	რა?	რომელი?	ზოგი	ერთი
თავისი თავიანთი თვით თვითონ თითოეული	ვისი? ვინც ვილაც ვინმე არავინ ვერავინ ნურავინ	როგორი რამდენი რისი/რისა? რაც როგორიც რამდენიც რალაც რამე არარა ვერარა ნურარა	რომელიც რომელილაც რომელიმე	ზოგიერთი	ერთმანეთი ერთურთი ერთიმეორე ურთიერთი

§19. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები

დავალება 1 (გვ.81).

1. იგი (პირის); 2. მას (პირის), მე (პირის); 3. ეს (პირის), იმ (ჩვენებითი); 4. მაგ (ჩვენებითი); თქვენ (პირის); 5. მაგას (პირის); 6. ეგ (ჩვენებითი), იმათ (პირის); 7. ამ (ჩვენებითი), მე (პირის); 8. ამით (პირის).

დავალება 2 (გვ.82).

1. შენ გარდა (ნათ., მხ.), მე (სახ., მხ.); 2. შენ (სახ., მხ.); 3. ჩემზედ (მიც., მხ.), ის (სახ., მხ.); 4. ამისგან (ნათ., მხ.), ჩემზე (მიც., მხ.); 5. შენ (სახ., მხ.), მე (სახ., მხ.). 6. იგი (სახ., მხ.); 7. ჩვენთვის (ნათ., მრ.); 8. ჩვენთან (მიც., მრ.); 9. თქვენც (მიც., მრ.); 10. ჩემსკენ (ნათ., მხ.); 11. ჩვენთვის (ნათ., მრ.).

დავალება 3 (გვ.82).

1. თავი (ნაცვ.); 2. თავი (ნაცვ.); 3. თავი (არს. სახ.); 4. თავი (ნაცვ.); 5. თავი (არს. სახ.), თავს (ნაცვ.); 6. თავი (ნაცვ.).

დავალება 4 (გვ. 82).

1. ეგ (სახ., მრ.) სიმღერებიც; ეს (სახ., მხ.) ცა, ეს (სახ., მხ.) წყალი; 2. ამ (მიც., მრ.) ციყუნია-ბიჭუნებს; 3. ამ (მიც., მხ.) წუთშიც; 4. ამ (ნათ., მხ.) ამბის; 5. მაგ (მიც., მხ.) სახლში; 6. იმ (ვით., მრ.) ქვეყნებამდე; 7. ეგ (სახ., მრ.) ხრიკები.

§20. კუთვნილებითი ნაცვალსახელი

დავალება 1 (გვ. 87).

1. შენი (სახ.); 2. შენ (მიც. შენს); 3. ჩვენი (სახ.); 4. ჩვენს (მიც.); 5. ჩემის (ნათ. ჩემი); 6. ჩემს (მიც.), ჩემსა (მიც., ჩემს (მიც)); 7. ჩემ (მიც. ჩემს); 8. შენი (სახ.), ჩვენს (მიც);

9. ჩემთ (ნათ. ჩემთა); ჩვენთა (ნათ.); 10. ჩემ (მიც. ჩემს); 11. ჩვენს (მიც.); 12. ჩემს (მიც.); 13. თავის (მიც.); 14. მის (მიც.), მისი (სახ.).

დავალება 2 (გვ.87).

1. თავისი; 2. თავისი; 3. თავის; 4. მის; 5. თავისი; 6. მისი; 7. თავიანთი; 8. მათი; 9. თავისი; 10. მისი; 11. მისი.

დავალება 3 (გვ.87).

1. მისი; 2. ჩემს; 3. თავისი; 4. თავისი; 5. თავისი; 6. ჩემს (თავს); 7. თავიანთ; 8. თავიანთი; 9. ჩემს; 10. შენს.

§21. კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

დავალება 1 (გვ.90).

1. რას (მიც., მხ.); 2. ვინ (სახ., მხ.), ვისი (მოქ., მხ.); 3. ვისი (ნათ., მხ.); 4. რისი (ნათ., მხ.); 5. რომელი (სახ., მხ.); 6. ვის (მიც., მხ.); 7. რას (მიც., მხ.); 8. რისი (სახ., მხ.); რას (მიც., მხ.); 9. რა (სახ., მხ.); ვინ (სახ.მხ.); ვის (მიც.მხ.); ვის (მიც.მხ.); 10. ვინ (სახ., მხ.), ვისი (სახ., მხ.), ვისით (მოქ., მხ.); 11. ვინ (სახ., მხ.), ვისით (მოქ., მხ.); 12. რომელი (მოქ., მხ.); 13. რომლის (ნათ., მხ.); 14. ვისმა (მოთ., მრ.).

დავალება 2 (გვ. 91).

1. ვისი; 2. ვისა და ვის შორის; 3. ვის; 4. რისი; 5. რისი; 6. რომელმა; 7. რომელი; 8. რომლის; 9. ვინ; 10. ვინ; 11. რა.

§22 . განსაზღვრებითი და ურთიერთობითი ნაცვალსახელები

დავალება 1(გვ.94).

1. ყოველივე (განს., სახ., მხ.); 2. თვითეულ (განს., მიც.); 3. ყველა (განს., სახ., მხ.); 4. ყველა (განს., სახ., მხ.); 5. სხვასა (განს., მიც., მხ.); 6. ყველა (განს., სახ., მხ.); 7. თითოეული (განს., სახ.); 8. თვითეულ (განს., მიც); 9. ყველა (განს., სახ., მხ.); 10. ერთმანეთისათვის (ურთიერთ., ნათ.); 11. ურთიერთ. ნათ.); 12. ყველა (განს., სახ., მხ.); 13. თითოეული (განს., სახ.); 14. ერთიმეორის (ურთიერთ., ნათ); 15. თვითეული (განს., სახ.); სხვაზე (განს., მიც., მხ.); 16. ყველაზე (განს., მიც., მხ.); 17. თვითონაც (განს.); ყველანი (განს., სახ. მრ.); 18. თვითონ (განს.); 19. სხვასთან (განს., მიც., მხ.); 20. თვითონაც (განს.); 21. ყველაზე (განს., მიც., მხ.); 22. ყველა (განს., სახ., მხ.); 23. ყველას (განს., მიც., მხ); 24. თვითონ (განს.).

დავალება 2 (გვ. 95).

1. თვითონაც; 2. თითოეული; 3. ერთმანეთს; 4. თითოეული; 5. ყველაფრის; 6. ერთმანეთს; 7. თვითონ; 8. ყოველი; 9. ყოველი; 10. თვითონაც; 11. თითოეული.

§23. მიმართებითი, განსაზღვრებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები

დავალემა 1(გვ.99).

1. რაც (მიმართ., სახ., მხ.); 2. ვინმე (განუს., სახ., მხ.); 3. ვისაც (მიმართ., მიც., მხ.); 4. რალაცის (განუს., ნათ., მხ.); 5. არაფერი (უარყ., სახ., მხ.); 6. ველარაფერს (უარყ., მიც., მხ.); 7. აღარავის (უარყ., ნათ., მხ.); 8. არავინ (უარყ., სახ., მხ.); 9. არაფერი (უარყ., მოთ., მხ.); 10. აღარავინ (უარყ., სახ., მხ.); 11. ვერავინ (უარყ., მოთ., მხ.); 12. ვილაც (განუს., მოთ., მხ.); 13. რომელიმე (განუს., მიც., მხ.); 14. ვილაცის (განუს., ნათ., მხ.); 15. რალაცა (განუს., სახ., მხ.); 16. ვილაცამ (განუს., მოთ., მხ.); 17. რალაც (განუს., მიც., მხ.); 18. ვილაცას (განუს., მიც., მხ.); 19. არავის (უარყ., ნათ., მხ.); 20. რაც (მიმართ., სახ., მხ.); 21. ვინმე (განუს., სახ., მხ.); 22. რალაცაზე (განუს., მიც., მხ.); 23. ვერაფერი (უარყ., სახ., მხ.); 24. ვილაც (განუს., სახ., მხ.); 25. რამეს (განუს., მიც., მხ.); 26. რომელიმე (განუს., მიც., მხ.); 27. რომელიც (მიმართ., სახ., მხ.); 28. არავინ (უარყ., მოთ., მხ.); 29. რაც (მიმართ., სახ., მხ.); 30. რალაც-რალაცები (განუს., სახ., მრ.).

დავალემა 2 (გვ.100).

1. რალაც-რალაცები; 2. ვილაც-ვილაცები; 3. ვინმეს; 4. ვილას; 5. ვინმეს; 6. ვინმეს; 7. არაფრის; 8. ვინმეს; 9. ვილას; 10. ვინმეს; 11. რამდენიმე; 12. ვილაცებმა; 13. რამეს; 14. რამდენიმე.

§24. ნაცვალსახელთა მართლწერის ზოგი სხვა საკითხები

დავალემა (გვ. 103).

1. ყველა ჩინგისხანი; 2. ჩვენგანმა; 3. ყველა ვარსკვლავი; 4. შენ ქვეშ; 5. შენკენ; 6. ჩემ წინ; 7. თქვენგანი; 8. ჩვენ მიერ; 9. ერთსა და იმავეს; 10. შენ გარდა; 11. ჩემ ირგვლივ; 12. ჩვენგანი; 13. ჩემ შესახებ; 14. ჩემს ქალაქში; 15. მათგანი; 16. ჩემ წინ; 17. რამდენიმე; 18. ერთსა და იმავეს; 19. რამდენიმეგან; 20. ერთსა და იმავედ.

I

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2008.
2. სწავლება და შეფასება; თბილისი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო; თბილისი, 2008.
4. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა;
http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka
5. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; 2007.
6. ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება; 2009.
7. როგორ ვასწავლოთ აზროვნება; 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 2008.
9. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ., ეფექტური სწავლება სკოლაში; 2009.
10. მასწავლებლის წიგნი — ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში, მაია ფირჩხაძე, მაია ჯალიაშვილი, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბერაშვილი, რუსუდან თედორაძე, სოფიკო ლობჯანიძე, 2017. mastsavlebeli.ge/?cat=34&paged=2.
11. მასწავლებლის წიგნი — განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, ანა ჯანელიძე, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ნინო ლაბარტყავა, ქეთევან ქობალია, 2015. mastsavlebeli.ge/?cat=34&paged=2.
12. კითხვის ეფექტური მეთოდები 2 (სასწავლო მეთოდური ფილმი და მისი გზამკვლევი), 2015. mastsavlebeli.ge/?cat=34&paged=2.
13. მასწავლებლის წიგნი — შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი, შიდა სასკოლო, გიორგი ნოზაძე, თამთა კობახიძე, მაია ინასარიძე, მანანა ბოჭორიშვილი, 2017. mastsavlebeli.ge/?cat=34.
14. მასწავლებლის წიგნი — გამჭოლი კომპეტენციები, თამარ მოსიაშვილი, მაია ბლიაძე, მანანა რატიანი, მანანა სეხნიაშვილი, ნატო ინგოროყვა, ცირა ბარბაქაძე, 2017. mastsavlebeli.ge/?cat=34.
15. როგორ ვასწავლოთ კითხვა, დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის, ნათელა იმედაძე, დალი ფარჯანაძე, მარიამ მირიანაშვილი, 2010. გამოცდების ეროვნული ცენტრი.
16. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, 2010. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
17. ქართული ენა და ლიტერატურა, I-IV კლასები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, თამარ ჯაყელი, ირინა სამსონია, ნინო დობორჯგინიძე, თინათინ ცერაძე, ქეთევან თოფაძე, მაია ინასარიძე, მაია ლორთქიფანიძე, 2011. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი.

18. მედიანიგნიერება სკოლაში, თამარ მოსიაშვილი, სიმონ ჯანაშია, ირინა სამსონია, ეკატერინე კორძაძე, მანანა ბოჭორიშვილი, ბუბა ოჩიაური, 2015. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

II

19. ნოდარ დუმბაძის მოთხრობის, „ჰელადოსის“, წაკითხვის შემდეგ, სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ჩაგვრის (ბულინგის) ფენომენზე მოზარდებს შორის. კარგი იქნება, თუ ამ თემას ცალკე გაკვეთილი მიეძღვნება. სანიმუშო გაკვეთილის სცენარი იხილეთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: https://befriend.mes.gov.ge/article/?id=saklaso_ganxilvis_scenari_moswavleta_shoris_dzaladobis_temaze.

შესაძლებელია, მოსწავლეებს შევთავაზოთ აგრეთვე ევროსაბჭოს მიერ მომზადებული ვიდეოფილმის „დაამარცხე ბულინგი“ ქართული ვერსიის ნახვა. იხ.:

<https://www.youtube.com/watch?v=hX9wwsl34GI> (ან უბრალოდ ჩანერეთ გუგლის საძიებელში ფილმის სათაური: „დაამარცხე ბულინგი“).

შეგიძლიათ, გამოიყენოთ აგრეთვე ანიმაცია „ბულინგი სკოლაში“ :

(<https://www.youtube.com/watch?v=V7nm9rxCWIA>).

20. ბუნების თემის დამუშავებისას, სასურველია, შევახსენოთ მოსწავლეებს, რა არის ეკოსისტემა და ბიომრავალფეროვნება (ეს ცნებები მათ V კლასის ბუნების სახელმძღვანელოდან იციან). ან ვთხოვოთ, წაკითხონ შესაბამისი სტატიები ვიკიპედიაში (ეკოსისტემა, ბიომრავალფეროვნება). ვაჩვენოთ ვიდეოფილმი: „ბიომრავალფეროვნება“ (<https://www.youtube.com/watch?v=K9fUzjV9aqK>).

და გავმართოთ მსჯელობა თემაზე: რა მოხდება, თუ ვაჟა-ფშაველას „ხმელნიფელში“ მოხსენიებული რომელიმე მცენარე ან ტყის სხვა ბინადარი (მაგალითად, შველი) გადაშენდება, რა დაემართება ამ შემთხვევაში ტყეს, როგორც ეკოსისტემას?

